

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2010, № 11

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი
პ რ ო ც ე ს ი

1. აცილება
 - მოსამართლის აცილება
 - თვითაცილება
2. საპროცესო ხარჯები
 - ბაჟის გადახდილად ჩათვლა
 - ბაჟის გადახდის გადავადება
 - ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის აუცილებლობა
 - ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება
 - ბაჟის უკან დაბრუნება
 - საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება
 - სასამართლო ხარჯების განაწილება
 - სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილება
3. უწყების ჩაბარება
 - განჩინების არასწორ მისამართზე ჩაბარება
 - კერძო საჩივარი უწყების ჩაბარებაზე
 - სასამართლო უწყების ჩაბარების წესი
 - უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
4. მხარეები
 - ა. მესამე პირი
 - აუცილებელი (სავალდებულო) მოწვევის მესამე პირის ჩაბმა პროცესში
 - დაინტერესებულ პირები
 - კერძო საჩივარი მესამე პირის შეცვლაზე
 - მესამე პირად ჩაბმა; სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა
 - ბ. არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა
 - გ. უფლებამონაცვლეობა

1. აცილება

მოსამართლის აცილება

განჩინება აცილების შესახებ

1ბს-1608-1662(კ-08) 28 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე
ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად განიხილა მ. ჭ-ის განცხადება მოსამართლე ნ. სხირტლაძისათვის საქმის აცილების თაობაზე და

გამოარკვია:

მოსამართლე ნ. ს-ძეს 08.12.08წ. განსახილველად გადაეცა მ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი (საქმე 1ბს-1608-1561(კ-08)) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.04.08წ. განჩინებაზე.

23.01.09წ. კასატორმა – მ. ჭ-იამ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა მოსამართლე ნ. ს-ძის საქმის განხილვისაგან აცილება.

საკასაციო პალატა გაეცნო მ. ჭ-ის განცხადებას და მიიჩნევს, რომ მითითებული საქმის განხილვისაგან აცილებულ უნდა იქნეს მოსამართლე ნ. ს-ძე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლში ჩამოთვლილია მოსამართლის (სასამართლო შემადგენლობის) აცილების საფუძვლები, რომლებიც გამომდინარეობს საქმის მიუკერძოებელი განხილვის ინტერესებიდან. თუ არსებობს მოსამართლის აცილების ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი აცილების ერთ-ერთი საფუძველი, მოსამართლეს ეკრძალება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მის განხილვაში და იგი აცილებულ უნდა იქნეს.

მ. ჭ-ის განცხადების განხილვისას გამოიკვეთა რიგი გარემოებები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მხარის ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობაში, რის გამოც საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, რომ მოსამართლე ნ. ს-ძე აცილებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული საქმის განხილვისაგან.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;

2. ადმინისტრაციულ საქმეზე 1ბს-1608-1662(კ-08) მ. ჭ-ის საკასაციო საჩივრის გამო მოწინააღმდეგე მხარეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.04.08წ. განჩინებაზე მოსამართლე ნ. ს-ძე აცილებულ იქნეს განხილვისაგან;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითაცილება

განჩინება თვითაცილების შესახებ

1ბს-820-784(კ-09)8 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. წკეპლაძემ

ერთპიროვნულად

გამოვარკვით:

ამა წლის 29 მაისს განსახილველად გადმომეცა ადმინისტრაციული საქმე 1ბს-820-784(კ-09) ლ. ს-ძის საკასაციო საჩივრით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებაზე.

გავეცანი რა მითითებულ საქმის მასალებს, სსსკ 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, ვალდებული ვარ, საქმის განხილვისაგან განვაცხადო თვითაცილება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ საქმესთან დაკავშირებული სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2008 წლის 24 სექტემბრის 101/27/11-2715 და 2008 წლის 31 ოქტომბრის 1251 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის ნორმებიდან. კონკრეტულად, მოსარჩელემ მოპასუხისაგან მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ივნისის განჩინების სამოტივაციო ნაწილში "გამოყენებული ნორმატიული აქტის ("სამართლის დოქტრინა"), როგორც საჯარო ხასიათის დოკუმენტის დამოწმებული ასლი.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით არ დაკმაყოფილდა ზ. ი-შვილის განცხადება და ადმინისტრაციული საჩივარი. "სამართლის დოქტრინა", რომელსაც როგორც საჯარო ხასიათის დოკუმენტს ითხოვს მოსარჩელე, გამოყენებულია საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განჩინებაში, რომელიც დადგენილია ჩემი, როგორც სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის, მონაწილეობით.

აღნიშნული განჩინება, როგორც საქმეზე მომხსენებელი მოსამართლისა, ჩამოყალიბებულია ჩემ მიერ, შესაბამისად, ჩემი სამოსამართლო მსოფლმხედველობისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

განჩინების სამოტივაციო ნაწილში გადმოცემული სასამართლო მსჯელობა საფუძველი გახდა წინამდებარე სარჩელის წარმოებისა, რის გამოც მიმაჩნია, რომ არ უნდა მივიღო განსახილველ საქმეში მონაწილეობა სსსკ-ის 31.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მეორე წინადადების გათვალისწინებით, კერძოდ, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

მიმაჩნია, რომ მხარის (მოსარჩელის) უფლება სამართლიანი სასამართლოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობის უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორედ სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლების საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს, რომ დაუშვებელია, მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ მის მიმართ არ არსებობს ნდობა. ვითვალისწინებ იმ გარემოებას, რომ საკასაციო საჩივარში კასატორი შუამდგომლობს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, რათა საქმე არ განიხილოს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განჩინების გამომტანმა მოსამართლეებმა, შესაბამისად, მაქვს საფუძველი ვივარაუდო შემდეგი: ეს შუამდგომლობა განპირობებულია უნდობლობით, რომ სასამართლო იქნება მიკერძოებული. როგორც მოსამართლე, ჩემი პროფესიული თავმოყვარეობის საგნად და ვალდებულებად მივიჩნევ, უზრუნველყო იმგვარი პირობები, რათა საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებს შეეძინათ განცდა მიუკერძოებელი და ობიექტური ეროვნული სასამართლოსი; სრულად ვიზიარებ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ უფლების – დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას /საქმე – ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წ. 23.05 გადაწყვეტილება; საქმე, დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1997 წ. 26.08 გადაწყვეტილება/, შემდეგზე, რომ კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება – სუბიექტური მხარე, არამედ

ისიც, უზრუნველყოფს თუ არა მოსამართლე საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კანონიერი ეჭვი – ობიექტური მხარე. მოსამართლის მიუკერძოებლობის შემოწმების ობიექტური ტესტის /მიდგომის/ გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება გარეგან გამოვლინებებსაც.

“მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება” გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელ და ამასთან, ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

საქართველოს სასამართლოები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვალდებული არიან, სრულად და განუხრელად უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტები, რაც მოცემულ შემთხვევაში მესმის ასე – ჩემი მონაწილეობით წინამდებარე საქმის განხილვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის კანონიერ მოლოდინს – ძირითადი უფლების, როგორც მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების, რეალიზაციას. წინამდებარე საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობა მაქვს მიღებული არა სხვა ინსტანციის, არამედ, იმავე ინსტანციის სასამართლოში, მოცემული საქმეები იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, კერძოდ, წინამდებარე სარჩელის აღძვრა განპირობებულია საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ჩამოყალიბებული სასამართლო მსჯელობის და სამართლებრივი დასკვნების ინტერპრეტაციით, მიმაჩნია, რომ ჩემი, როგორც საკასაციო სასამართლოს მოსამართლის, მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებული საქმის სამართალწარმოებაში გატარებული საპროცესო ღონისძიების მოქმედების სფერო და ხასიათი არსებითი მნიშვნელობის მქონეა. შესაბამისად, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი არა ვარ, მონაწილეობა მივიღო, მის განხილვაში.

ვიხელმძღვანელებ რა ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 31.1; 32; 34.3; 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-820-784(კ-09) ლ. ს-ძის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებაზე, ვაცხადებ თვითაცილებას.

2. განჩინება არ საჩივრდება.

თვითაცილება

განჩინება

(თვითაცილების თაობაზე)

¹ბს-950-924(კ-10)

9 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქადაგიძემ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე თვითაცილების საკითხი ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-950-824(კ-10) ე. ქ-შვილის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით.

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 20 დეკემბერს ე. ქ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მოპასუხე ვაკის რაიონის გამგეობის მიმართ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ალმასკომის 1982 წლის 24 ნოემბრის ¹31.50.2003 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის მოსამზადებელ სხდომაზე მესამე პირად საქმეში ჩაბმულ იქნა ვ. ქ-შვილი.

თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, ე. ქ-შვილის სარჩელი ადმინისტრაციული აქტის გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთა-

ლოს სასამართლოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე რაიონულ სასამართლოს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ვ. ქ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ქ-შვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ე. ქ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

ე. ქ-შვილის საკასაციო საჩივრის გაცნობისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ მითითებული საქმის განხილვისაგან აცილებულ უნდა ვიქნე შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო (იმ დროს საოლქო) სასამართლოში მონაწილეობა მაქვს მიღებული მითითებული საქმის განხილვაში, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვაცხადებ თვითაცილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელებ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 32-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქ-ძე აცილებულ ვიქნე საქმის ¹ბს-950-824(კ-10) განხილვისაგან ე. ქ-შვილის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაზე;
2. განჩინება თვითაცილების თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითაცილება

**განჩინება
(თვითაცილების თაობაზე)**

¹ბს-1247-1213(კ-10) 11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე ნ. ქადაგიძემ**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე თვითაცილების საკითხი ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-1247-1213(კ-10) შპს "...-ის" საკასაციო საჩივართან დაკავშირებით.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 4 იანვარს შპს "...-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ და მოითხოვა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 1 დეკემბრის ¹20/1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მა", რომლითაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს "...-მა", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

შპს "...-ის" საკასაციო საჩივრის გაცნობისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ მითითებული საქმის განხილვისაგან აცილებულ უნდა ვიქნე შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე წარმოიშვა გარემოებები, რომელმაც შესაძლოა ეჭვი გამოიწვიოს ჩემს მიუკერძოებლობაში, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვაცხადებ თვითაცილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელებ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 31-ე, 32-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქ-ძე აცილებულ ვიქნე საქმის ¹ბს-1247-1213(კ-10) განხილვისაგან შპს "...-ის" საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებაზე;
2. განჩინება თვითაცილების თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითაცილება

**განჩინება
თვითაცილების შესახებ**

¹ბს-1553-1514(კ-10) 19 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
მოსამართლე ნ. წკეპლაძემ**

**ერთპიროვნულად
გამოვარკვითე:**

2010 წლის 11 ნოემბერს განსახილველად გადმომეცა ადმინისტრაციული საქმე 1ბს-1553-1514(კ-10) შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებაზე (ადმინისტრაციული საქმე სს "...-ის" სარჩელის გამო შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ, საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის შესახებ).

გავეცანი რა მითითებულ საქმის მასალებს, სსსკ 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, ვალდებული ვარ, საქმის განხილვისაგან განვაცხადო თვითაცილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მიმაჩნია, რომ არ უნდა მივიღო განსახილველ საქმეში მონაწილეობა სსსკ-ის 31.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მე-2 წინადადების გათვალისწინებით, კერძოდ, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს წარმოადგენს სს "...", რომელთანაც ამა წლის სექტემბრიდან ვიმყოფები სახელმძღვანელო ურთიერთობაში.

მიმაჩნია, რომ მხარის (მოსარჩელის) უფლება სამართლიანი სასამართლოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობის უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორედ სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მოითხოვს, რომ დაუშვებელია, მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ მის მიმართ არ არსებობს ნდობა. სრულად ვიზიარებ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცული უფლების – დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას /საქმე, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წ. 23.05 გადაწყვეტილება; საქმე, დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1997 წ. 26.08 გადაწყვეტილება/, შემდეგზე, რომ კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება – სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, მოსამართლე უზრუნველყოფს თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კანონიერი ეჭვი – ობიექტური მხარე. მოსამართლის მიუკერძოებლობის შემოწმების ობიექტური ტესტის /მიდგომის/ გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება გარეგან გამოვლინებებსაც.

"მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება" გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელ და ამასთან, ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

საქართველოს სასამართლოები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ვალდებული არიან სრულად და განუხრელად უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტები, რაც მოცემულ შემთხვევაში მესმის ასე – ჩემი მონაწილეობით წინამდებარე საქმის განხილვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის (მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს) კანონიერ მოლოდინს – ძირითადი უფლების, როგორც მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების რეალიზაციას. მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე, ჩემსა და "...-ს" შორის ჩამოყალიბებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის გამო, ჩემი მონაწილეობა გავლენას იქონიებს კასატორის ნდობის ხარისხზე სასამართლოს მიმართ. ვფიქრობ, რა, რომ მართლმსაჯულება მხარეთა მაღალი ნდობის გარეშე არ არსებობს, რომლის უზრუნველსაყოფად მოვალედ მივიჩნევ თავს, განვაცხადო, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი არა ვარ, მონაწილეობა მივიღო საქმის განხილვაში.

ვიხელმძღვანელებ, რა ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 31.1; 32; 34.3; 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ადმინისტრაციულ საქმეზე 1ბს-1553-1514(კ-10) შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებაზე ვაცხადებ თვითაცილებას;

2. განჩინება არ საჩივრდება.

თვითაცილება

განჩინება თვითაცილების შესახებ

1ბს-1558-1519(23-10) 19 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. წკეპლაძემ

ერთპიროვნულად

გამოვარკვიე:

2010 წლის 11 ნოემბერს განსახილველად გადმომეცა ადმინისტრაციული საქმე 1ბს-1558-1519(23-10) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრებით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებაზე (ადმინისტრაციული საქმე სს "...-ის" სარჩელის გამო შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ, მესამე პირის – ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, საგადასახადო მოთხოვნების ბათილად ცნობის შესახებ).

გავეცანი რა მითითებულ საქმის მასალებს, სსსკ 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, ვალდებული ვარ, საქმის განხილვისაგან განვაცხადო თვითაცილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მიმაჩნია, რომ არ უნდა მივიღო განსახილველ საქმეში მონაწილეობა სსსკ-ის 31.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მეორე წინადადების გათვალისწინებით, კერძოდ, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს წარმოადგენს სს "...", რომელთანაც ამა წლის სექტემბრიდან ვიმყოფები სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

მიმაჩნია, რომ მხარის (მოსარჩელის) უფლება სამართლიანი სასამართლოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობის უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორედ სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლების საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს, რომ დაუშვებელია, მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ მის მიმართ არ არსებობს ნდობა. სრულად ვიზიარებ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ უფლების – დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას /საქმე, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წ. 23.05 გადაწყვეტილება; საქმე, დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1997 წ. 26.08 გადაწყვეტილება/, შემდეგზე: კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება – სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, უზრუნველყოფს თუ არა მოსამართლე საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კანონიერი ეჭვი – ობიექტური მხარე. მოსამართლის მიუკერძოებლობის შემოწმების ობიექტური ტესტის /მიდგომის/ გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება გარეგან გამოვლინებებსაც.

"მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება" გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელ და ამასთანავე, ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

საქართველოს სასამართლოები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვალდებული არიან, სრულად და განუხრელად უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტები, რაც მოცემულ შემთხვევაში მესმის ასე, რომ ჩემი მონაწილეობით წინამდებარე საქმის განხილვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის (მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს) კანონიერ მოლოდინს – ძირითადი უფლების, როგორც მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების რეალიზაციას. მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე, ჩემსა და "...-ს" შორის ჩამოყალიბებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის გამო, ჩემი მონაწილეობა გავლენას იქონიებს კასატორის ნდობის ხარისხზე სასამართლოს მიმართ. ვფიქრობ, რა, რომ მართლმსაჯულება მხარეთა მაღალი ნდობის გარეშე არ არსებობს, რომლის უზრუნველსაყოფად მოვალედი მივიჩნევ თავს, განვაცხადო, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი არა ვარ, მონაწილეობა მივიღო საქმის განხილვაში.

ვიხელმძღვანელებ, რა ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 31.1; 32; 34.3; 390-ე, 399-ე მუხლებით და

დავადაგიე:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-1558-1519(2კ-10) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრებით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებაზე, ვაცხადებ თვითაცილებას;
2. განჩინება არ საჩივრდება.

თვითაცილება

განჩინება (თვითაცილების თაობაზე)

¹ბს-1369-1333(კ-10) 1 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქადაგიძემ

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე თვითაცილების საკითხი ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-1369-1333(კ-10) ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 14 აგვისტოს ნ. დ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 13 აპრილის ¹00000905 დადგენილებისა და ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 6 ივლისის ¹755 განკარგულების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. დ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. დ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებით ნ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მითითებული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. დ-შვილმა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივრის გაცნობისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ მითითებული საქმის განხილვისაგან აცილებულ უნდა ვიქნე შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის წარმოებაში მიღების ეტაპზე წარმოიშვა გარემოებები, რომელმაც შესაძლოა ეჭვი გამოიწვიოს ჩემს მიუკერძოებლობაში, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვაცხადებ თვითაცილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელებ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 31-ე, 32-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. ქ-მე აცილებულ ვიქნე საქმის ¹ბს-1369-1333(კ-10) განხილვისაგან ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 მაისის განჩინებაზე;
2. განჩინება თვითაცილების თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითაცილება

განჩინება თვითაცილების შესახებ

¹ბს-1691-1647(2კ-10) 6 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. წკვლაძემ

ერთპიროვნულად

გამოვარკვევ:

2010 წლის 2 დეკემბერს განსახილველად გადმომეცა ადმინისტრაციული საქმე ¹ბს-1691-1647(2კ-10) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურისა და მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრებით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე (ადმინისტრაციული საქმე სს "...-ის" სარჩელის გამო შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ, მესამე პირის _ ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ).

გავეცანი რა მითითებულ საქმის მასალებს, სსსკ 31-ე და 32-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, ვალდებული ვარ, საქმის განხილვისაგან განვაცხადო თვითაცილება შემდეგ გარემოებათა გამო:

მიმაჩნია, რომ არ უნდა მივიღო განსახილველ საქმეში მონაწილეობა სსსკ-ის 31.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მეორე წინადადების გათვალისწინებით, კერძოდ, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე, თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს წარმოადგენს სს "...", რომელთანაც ამა წლის სექტემბრიდან ვიმყოფები სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

მიმაჩნია, რომ მხარის (მოსარჩელის) უფლება სამართლიანი სასამართლოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობის უფლება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწორედ სასამართლოს მიერ. სამართლიანი სასამართლოს უფლების საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს, რომ დაუშვებელია მოსამართლემ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ მის მიმართ არ არის ნდობა. სრულად ვიზიარებ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ უფლების _ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას /საქმე, ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1991 წ. 23.05 გადაწყვეტილება; საქმე, დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1997 წ. 26.08 გადაწყვეტილება/, შემდეგზე, რომ კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლოს მიუკერძოებლობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არა მარტო აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული მოსამართლის შინაგანი რწმენა და მოქმედება _ სუბიექტური მხარე, არამედ ისიც, მოსამართლე უზრუნველყოფს თუ არა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი კანონიერი ეჭვი _ ობიექტური მხარე. მოსამართლის მიუკერძოებლობის შემოწმების ობიექტური ტესტის /მიდგომის/ გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება გარეგან გამოვლინებებსაც.

"მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება" გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელ და ამასთანავე, ნდობით აღჭურვილ სასამართლოზე.

საქართველოს სასამართლოები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ვალდებული არიან, სრულად და განუხრელად უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტები, რაც მოცემულ შემთხვევაში მესმის ასე, რომ ჩემი მონაწილეობით წინამდებარე საქმის განხილვამ შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის (მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს) კანონიერ მოლოდინს – ძირითადი უფლების, როგორც მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების რეალიზაციას. მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე, ჩემსა და "...-ს" შორის ჩამოყალიბებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობის გამო, ჩემი მონაწილეობა გავლენას იქონიებს კასატორის ნდობის ხარისხზე სასამართლოს მიმართ. ვფიქრობ, რა, რომ მართლმსაჯულება მხარეთა მაღალი ნდობის გარეშე არ არსებობს, რომლის უზრუნველსაყოფად მოვალედ მივიჩნევ თავს, განვაცხადო, რომ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი არა ვარ, მონაწილეობა მივიღო საქმის განხილვაში.

ვიხელმძღვანელებ, რა ადმინისტრაციული საპროცესო 1.2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 31.1; 32; 34.3; 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე ¹ბს-1691-1647(2კ-10) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურისა და მსხვილ გადამხდელთა დეპარტამენტის საკასაციო საჩივრებით განსახილველად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, ვაცხადებ თვითაცილებას;

2. განჩინება არ საჩივრდება.

2. საპროცესო ხარჯები

სასამართლოსთვის ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის აუცილებლობა

განჩინება

¹ბს-1158-1120(კს-08) 14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

25.02.05წ. ნ. ვ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ი. და რ. წ-ძეების, შ-ძეების თემის საკრებულოსა და ხელვაჩაურის საჯარო რეესტრის სამსახურის მიმართ და მოითხოვა რ. წ-ძის სახელზე შედგენილი მიწის მიღება-ჩაბარების ¹22/6-17 აქტისა და ი. წ-ძის სახელზე შედგენილი მიწის მიღება-ჩაბარების ¹22/6-75 აქტის ბათილად ცნობა და ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება მის სახელზე მიწის ნაკვეთის დარეგისტრირების თაობაზე.

ი. და რ. წ-ძეებმა შეგებებული სარჩელით მიმართეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს საკარმიდამო მიწის მიზომვის 2000 წლის 12 მაისის აქტისა და ნ. ვ-ძეზე მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გამოყოფის დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის რაიონის შ-ძეების თემის საკრებულოს გამგეობის სხდომის დადგენილების გაუქმება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი რ. წ-ძის სახელზე შედგენილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების ¹22/6-17 აქტი და ი. წ-ძის სახელზე შედგენილი მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების ¹22/6-75 აქტი; ხელვაჩაურის რაიონის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ნ. ვ-ძის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაში გატარება; რ. და ი. წ-ძეებს უარი ეთქვათ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლოდ გამო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და რ. წ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების

გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. და რ. წ-ძეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება; ნ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ი. და რ. წ-ძეების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ წარდგენილი შერჩევის აქტის დამტკიცებისა და 0,25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნ. ვ-ძისათვის გამოყოფის შესახებ შ-ძეების თემის საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 18 მაისის 12 ოქმის დადგენილება; ბათილად იქნა ცნობილი ნ. ვ-ძისათვის საკარმიდამოდ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ ხელვაჩაურის საერთო კრების 2000 წლის 12 ივნისის 11 ოქმი; ბათილად იქნა ცნობილი ნ. ვ-ძისათვის საკარმიდამოდ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებით, შ-ძეების თემის საკრებულოს მიწის რეფორმის კომისიის 2000 წლის 18 მაისის 12 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ შ-ძეების თემის საკრებულოს გამგეობის სხდომის 2000 წლის 29 ივნისის 13 დადგენილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.02.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ვ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18.07.07წ. განჩინებით ნ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

21.07.08წ. ნ. ვ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.02.07წ. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.08წ. განჩინებით ნ. ვ-ძის განცხადებას განესაზღვრა ხარვეზი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინებით ნ. ვ-ძის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ვ-ძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხარვეზის შესახებ სასამართლოს განჩინების შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული არ ყოფილა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოსათვის უნდა წარედგინა. მიაჩნდა, რომ საბანკო დაწესებულება სასამართლოს მიაწოდებდა მის მიერ ბაჟის გადახდის შესახებ ინფორმაციას. სასამართლოს განჩინებით მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა, რომელიც განჩინებაში მითითებული ვადაში გადაიხადა. კერძო საჩივრის ავტორმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინების გაუქმება და განცხადების წარმოებაში მიღების დავალდებულება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და ნ. ვ-ძის კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.08წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ვ-ძის განცხადებას განესაზღვრა ხარვეზი და დადგინდა ვადა მის გამოსასწორებლად. განმცხადებელს დაევალა სახელმწიფო ბაჟის, 100 ლარის გადახდა. აღნიშნული განჩინება ნ. ვ-ძის 04.08.09წ. ჩაპბარდა. ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ვ-ძის განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული. ნ. ვ-ძის მიერ წარდგენილი, სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალის 11.08.08წ. საგადასახადო დავალებით დასტურდება, რომ ნ. ვ-ძემ ხაზინის ერთიან ანგარიშზე 11.08.08წ. სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 100 ლარი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხარვეზის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.08წ. განჩინებით კასატორს არ განემართა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება. ხსენებულ განჩინებაში მითითებული იქნა მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ, რის გამოც, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოსათვის წარუდგენლობა ახ-

ლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ვ-ძის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.09.08წ. განჩინება და საქმე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ნ. ვ-ძის განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის გადახდის გადავადება

განჩინება

1ბს-1146-1108(კს-08) 2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე
პ. სილაგამე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 31 მაისს მ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნება სარგებლობის უფლებით და მატერიალური ზიანის – 33285 ლარის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ყ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 33285 ლარის გადახდა; მოსარჩელის მოთხოვნა ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2004 წლის 1 ნოემბრის სხდომის +61 დადგენილების პირველი მუხლის ბათილად ცნობისა და 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით დაბრუნების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება მ. ყ-შვილის სასარგებლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის 33285 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით მ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 16642,50 ლარის გადახდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა მ. ყ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 14 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ აპელანტ მ. ყ-შვილს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 665,75 ლარი და აღნიშნული განჩინებით მას დაევალა იმავე განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა; აპელანტ მ. ყ-შვილს განემარტა, რომ ამ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინება მ. ყ-შვილს გაეზავნა იმავე დღეს და იგი მას ჩაჰბარდა 2008 წლის 16 ივლისს.

2008 წლის 21 ივლისს მ. ყ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ხსენებულ განცხადებას დაურთო სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 366 ლარის გადახდის ქვითარი და ითხოვა 300 ლარის გადახდის გადავადება უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განჩინებით მ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე, ხარვეზის შეუსრულებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანონით არ იყო დადგენილი, მას განსაზღვრავდა სასამართლო. იმავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდებოდა კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეჰქონდა მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. იმავე კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეეძლო ერთი ან ორივე მხარისათვის გადაევადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეემცირებინა მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენდა უტყუარ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხარვეზის შესახებ განჩინებაში აღნიშნული მოთხოვნები ამ აპელანტის მიერ ნაწილობრივ არ შესრულებულა. ამავე აპელანტს ასევე არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი უტყუარი მტკიცებულებები, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ყ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხარვეზის შესახებ განჩინებით მისთვის მიცემულ მცირე დროში – 5 დღის ვადაში იგი ვერ შეძლებდა მთელი თანხის გადახდას, თუ ისიც გათვალისწინებული იქნება, რომ მოპასუხის უკანონო ქმედებით მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. საქმეში წარმოდგენილია რამდენიმე სესხის ხელშეკრულება და კერძო საჩივრის ავტორი ამ დრომდე იხდის სესხის თანხას, მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებული ზარალის გამო. სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ მ. ყ-შვილს არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი მაშინ, როდესაც სწორედ მის ქონებრივ მდგომარეობას ასახავს მის მიერ წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულებები, ვინაიდან, ფაქტობრივად, თავის მთელ შემოსავალს ყოველთვიურად იხდის სესხის დასაფარად.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოპასუხის უკანონო ქმედების გამო, იგი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მოპასუხის მიერ დანგრეული სავაჭრო ობიექტები მან სწორედ სეს-

ხით ააშენა, რის გადახდასაც იგი ამ ობიექტებიდან მიღებული შემოსავლით აპირებდა, ხოლო ხსენებული მაღაზიები თითქმის 3 წელია აღარ არსებობს, იგი კი ვალს იხდის.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მ. ყ-შვილის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მ. ყ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 14 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ აპელანტ მ. ყ-შვილს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 665,75 ლარი და აღნიშნული განჩინებით მ. ყ-შვილს დაევალა იმავე განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა. ამასთან, აპელანტ მ. ყ-შვილს განემართა, რომ ამ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღებოდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინება მ. ყ-შვილს გაეგზავნა იმავე დღეს და იგი მას ჩაჰბარდა 2008 წლის 16 ივლისს. 2008 წლის 21 ივლისს მ. ყ-შვილმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, ხსენებულ განცხადებას დაურთო სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 366 ლარის გადახდის ქვითარი და ითხოვა 300 ლარის გადახდის გადავადება უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობის გამო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განჩინებით მ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე, ხარვეზის შეუვსებლობის გამო, დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია რამდენიმე სესხის ხელშეკრულება და კერძო საჩივრის ავტორი ამ დრომდე იხდის სესხის თანხას, მოპასუხის მიერ მიყენებული ზარალის გამო, სასამართლოს მისთვის უნდა გადაევალებინა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, იმისათვის, რომ სასამართლომ მხარეს, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის (მთლიანად ან ნაწილობრივ) გადახდა, მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს მის შესაბამის ქონებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მართალია, საქმეში წარმოდგენილია მსესხებელ მ. ყ-შვილის საკრედიტო ხელშეკრულების დანართი ¹¹ – სესხის დაფარვის გრაფიკი და სესხის დაფარვის სხვა გრაფიკებიც, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები ვერ ჩაითვლება მ. ყ-შვილის ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ, უტყუარ მტკიცებულებებად. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ხარვეზის შესახებ განჩინებაში აღნიშნული მოთხოვნები მ. ყ-შვილის მიერ ნაწილობრივ არ შესრულდა, მასვე არ წარმოუდგენია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი უტყუარი მტკიცებულებები, რის გამოც მ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ ბაჟის გადაუხდელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფიზიკური პირი ინდივიდუალური მეწარმეა, არ დააბრკოლებს საქმის განხილვასა და გადაწყვეტას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს და კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნა "საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის 15670-რს კანონით, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს – 2008 წლის 18 იანვარს. ამდენად, მ. ყ-შვილის მიერ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის წარდგენისას (2008 წლის 26 ივნისს), ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განჩინების მიღებისას, რომლითაც მ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებაზე განუხილველი დარჩა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი უკვე ამოღებული იყო ხსენებული მუხლიდან და სააპელაციო სასამართლო მას ვერ გამოიყენებდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს საჩივრებულ განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება

განჩინება

1ბს-159-154(კს-09) 12 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 26 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. მ-იამ, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს, ქ.თბილისის მერიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 1998 წლის 12 თებერვლის 103.20.46 დადგენილებისა და ქ.თბილისის მერიის 1998 წლის 15 აპრილის 122-37 ხელშეკრულების ბათილად ცნობას, მოპასუხისათვის თავის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდის დაკისრებას, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. მ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეებს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ გ. მ-იას სასარგებლოდ 831 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. აღნიშნული თანხა წარმოადგენდა ... ქ. ¹10-12 მდებარე ობიექტის საწყის ფასს, რომელიც გ. მ-იას ჰქონდა გადახდილი აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1998 წლის 10 თებერვალს განხორციელებული პრივატიზაციის ბათილობის შედეგად.

მოსარჩელე გ. მ-იას უარი ეთქვა 1998 წლის 01.01-დან 2008 წლის 01.08-მდე, მის მიერ პრივატიზებული ქონების ღირებულების – 831 აშშ დოლარის 3%-ის, სულ – 18770 ლარის, ადვოკატების ხარჯების – 5000 ლარისა და მორალური ზიანის – 5000 ლარის, სულ – 29379 ლარის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება. ამასთან, აპელანტმა იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "რ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით გ. მ-იას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. იმავე განჩინებით გ. მ-იას განესაზღვრა, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, წარმოედგინა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის – დავის საგნის ღირებულების – 29379 ლარის 4%-ის – 1175.16 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი დედნის სახით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2008 წლის 19 დეკემბერს.

2008 წლის 22 დეკემბერს გ. მ-იამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო შემადგენლობის აცილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით გ. მ-იას განცხადება სასამართლო შემადგენლობის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამავე განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა 7 დღით და განემარტა, რომ ხარვეზის მითითებულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინება გ. მ-იას ჩაჰბარდა 2008 წლის 24 დეკემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით გ. მ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ განჩინება დააფუძნა შემდეგ მოტივაციას: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ საჩივარი არ პასუხობს ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს მხარეს, ხარვეზის შევსებას, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, გ. მ-იას განესაზღვრა საპროცესო ვადა და დაევალა წარმოედგინა სასამართლოსათვის სახელმწიფო ბაჟის, დავის საგნის ღირებულების – 29379 ლარის 4%-ის, 1175.16 ლარის გადახდის ქვითარი დედნის სახით. ამავე განჩინებით განემარტა, რომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნებოდა განუხილველად.

ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, თუმცა მან სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი, რაც გახდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. მ-იამ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენს აფხაზეთის ომის მონაწილეს და ორჯერ სიკვდილიმისჯილს, მას უფლება წაერთვა, მოეთხოვა თუნდაც იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც სასამართლოს 2007 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით მიაკუთვნეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება- დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენს აფხაზეთის ომის ვეტერანს და მას კანონი ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "რ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდებიან ვეტერანები, რომლებმაც "ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად მიმართეს სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში გ. მ-იამ სასამართლოს მიმართა არა "ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დასაცავად, არამედ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც არ ქმნის სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "რ" ქვეპუნქტის შემადგენლობას და, შესაბამისად, ვერ იქცევა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინების გაუქმების საფუძვლად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს მხარეს ხარვეზის შევსებას, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი დარჩება განუხილველად. გ. მ-იას კანონის მოთხოვნათა დაცვით დაუდგინდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზი, რის გამოსასწორებლადაც მას კანონმდებლობის შესაბამისად მიეცა 10 დღის ვადა, შემდგომ აღნიშნული ვადა გაუგრძელდა კიდევ 7 დღით, თუმცა გ. მ-იამ არ გამოსასწორა ზემოხსენებული ხარვეზი, რაც გახდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება გამოტანილია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება

განჩინება

1ბს-1551-1508(კს-08)

18 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

26.12.06წ. ი/მ "მ. კ-ძემ" სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 06.12.06წ. 14677/2334 საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.07.08წ. გადაწყვეტილებით ი/მ "მ. კ-ძის" სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.07.08წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ "მ. კ-ძემ".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარს განესაზღვრა ხარვეზი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო სსკ-ის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო საჩივარზე გადახდილი არ იყო სახელმწიფო ბაჟი. სააპელაციო საჩივარში მითითებული იყო სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის ოდენობა 2407.6 ლარი, თუმცა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი აპელანტს წარმოდგენილი არ ჰქონდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ი/მ "მ. კ-ძეს" უნდა წარედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.08წ. განჩინებით ი/მ "მ. კ-ძის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი უნდა შეევსო 2008 წლის 12 ოქტომბრამდე, მიუხედავად აღნიშნულისა, აპელანტის მიერ ხარვეზი არ შევსებულა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "მ. კ-ძემ". კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება სააპელაციო საჩივარი დაეტოვებინა განუხილველად, რადგან დავის მიმდინარეობისას ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ ყველა საბანკო ანგარიშებს დაედო ინკასო. სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად აუცილებელი იყო, ანგარიშსწორება დარიცხვით განხორციელებულიყო. ი/მ "მ. კ-ძე" საქმიანობას ვერ ახორციელებდა, არ გააჩნდა შემოსავალი, საგამომიებო ორგანოების მიერ საწარმოს უკანონოდ დალუქვის გამო გაუფუჭდა პროდუქცია, საწარმო გადახდისუუნარო გახდა, რაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი/მ "მ. კ-ძის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში ი/მ "მ. კ-ძის" სააპელაციო საჩივარს განესაზღვრა ხარვეზი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.08წ. განჩინებით. აღნიშნული განჩინება ადრესატს ჩაბარებული აქვს 02.10.08წ. ამდენად, ხარვეზი აპელანტს 12.10.08წ. ჩათვლით უნდა გამოესწორებინა. მიუხედავად აღნიშნულისა, ი/მ "მ. კ-ძეს" სააპელაციო სასამართლოსათვის აღარ მიუმართავს. აპელანტს არც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გა-

თავისუფლება, გადავადება ან მისი ოდენობის შემცირება და არც საპროცესო ვადის გაგრძელება მოუთხოვია. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კანონიერად იქნა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებული. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს ი/მ "მ. კ-ძე" სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გაეთავისუფლებინა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან გათავისუფლებას სასამართლოს მიერ, ხოლო 48-ე მუხლი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადებას და მათი ოდენობის შემცირებას. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლოს ხარჯებისგან გათავისუფლების, გადავადების ან შემცირების შესახებ, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს ბაჟის გადახდის შეუძლებლობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში ი/მ "მ. კ-ძეს" სასამართლოსათვის ასეთი შუამდგომლობით არ მიუმართავს. სააპელაციო საჩივარიც არ შეიცავდა სახელმწიფო ხარჯებთან დაკავშირებით შუამდგომლობას. მითითებული იყო მხოლოდ, რომ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენდა 2407 ლარსა და 60 თეთრს, თუმცა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოსათვის აპელანტ ი/მ "მ. კ-ძეს" არ წარუდგენია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ "მ. კ-ძის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.08წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი/მ "მ. კ-ძის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

განჩინება

1ბს-117-112(2კ-კს-09) 19 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 ნოემბერს ი/მ "ზ. გ-შვილმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ოქტომბრის 1ს/დ-665-ფ საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, მის საფუძველზე გადასახდელად დარიცხული 15000 ლარის გაუქმებასა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლის თარიღისათვის დარიცხული საურავების მოხსნას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო ამავე სასამართლოს 2008 წლის 6 თებერვლის საოქმო განჩინებით _ შპს "...".

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით ინდემწარმე "ზ. გ-შვილის" სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 29 ოქტომბრის 1ს/დ-665-ფ საგადასახადო მოთხოვნა და მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაევალა შესაბამისი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ).

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე ურის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.

2008 წლის 1 ოქტომბერს ი/მ "ზ. გ-შვილის" წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება საადვოკატო ხარჯების – 800 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ი/მ "ზ. გ-შვილის" ინტერეების დამცველი ადვოკატის დ. ე-ძის განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნების გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარმოადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისი, რის გამოც სააპელაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საადვოკატო ხარჯების ანაზღაურებაზე.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "ზ. გ-შვილმა".

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და მოწინააღმდეგე მხარისათვის საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების დაკისრებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ "ზ. გ-შვილის" წარმომადგენლის დ. ე-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლი 15 დეკემბრის განჩინება და დ. ე-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, საკასაციო სასამართლო გამოიყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აღნიშნავს: სსკ-ის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროცესის ხარჯები მოიცავს სასამართლოს ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელ-

ფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

მხარეთა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების პირობებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მე-5 მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზეც, საბიუჯეტო დაწესებულებები და მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან.

ასეთ პირობებში, როდესაც ერთ-ერთი მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, საგულისხმოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის დანაწესი, რომლის პირველი ნაწილი კიდევ ერთხელ აზუსტებს, რომ ესა თუ ის მხარე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ სასამართლო ხარჯებისაგან, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა იქნეს შეტანილი, რაც არ ნიშნავს მხარის გათავისუფლებას იმ ხარჯებისაგან, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი. იგივე 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს.

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლები განსაზღვრავს საადვოკატო (წარმომადგენლობითი) ხარჯების ანაზღაურების მექანიზმს. რაც შეეხება წინამდებარე შემთხვევას, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად იქცა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ გასცდებოდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოტივაციას ვერ მიიჩნევს მოთხოვნის უარყოფის საფუძველად და მიუთითებს შემდეგზე: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები აგრეთვე შეეხება სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომელიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში წარმოებისას.

ამდენად, უდავოა, რომ სასამართლო ხარჯები არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ხარჯებით, რომელიც მხარემ გასწია პირველი ინსტანციის სასამართლოში, უფრო მეტიც, შესაძლოა, მხარეს პირველი ინსტანციის სასამართლოში საერთოდ არ გააჩნდეს სასამართლოს გარეშე ხარჯი, რის გამოც მისი ანაზღაურების უფლება პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარმოეშობა.

საკასაციო სასამართლო ცალსახად გაიზიარებდა სააპელაციო საჩივრის ფარგლების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ შემთხვევაში, თუ: ი/მ "ზ. გ-შვილი" პირველი ინსტანციის სასამართლოში წააგებდა პროცესს და გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო საჩივრით არ მოითხოვდა სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას; ი/მ "ზ. გ-შვილი" სადავოდ გახდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ხარჯების გადანაწილების საკითხში.

საკასაციო სასამართლო თვლის, იმ პირობებში, როდესაც მხარეს მოგებული აქვს პროცესი, გადაწყვეტილება სრული მოცულობით გამოტანილია მის სასარგებლოდ, არ არსებობს არცერთი პროცესუალური მექანიზმი, გარდა შუამდგომლობისა, რომელიც მას მისცემდა სააპელაციო და/ან საკასაციო სასამართლოში გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას.

ამდენად, წინამდებარე შემთხვევაში საუბარი იმაზე, რომ მხარეს წარმოდგენილი უნდა ჰქონოდა ხარჯების ნაწილში სააპელაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მოკლებულია სასამართლებრივ საფუძველს და არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარის მიერ შესაგებელში დაყენებული შუამდგომლობა, სააპელაციო, ისევე, როგორც საკასაციო სასამართლოსათვის, წარმოადგენს საკმარის საფუძველს, იმსჯელოს ხარჯების მხარეთა შორის გადანაწილების თაობაზე, თუმცა აღნიშნული სასამართლოს არ ართმევს უფლებას, გადაამოწმოს ხარჯის რეალურობა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო მოკლებულია ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შესაძლებლობას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ი/მ "ზ. გ-შვილის" ადვოკატის დ. ე-მის განცხადება განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რეალურად იქნა თუ არა მხარის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ხარჯები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და იმავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რა ოდენობის თანხა დაექვემდებარება ანაზღაურებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი/მ "ზ. გ-შვილის" ადვოკატის დ. ე-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინება და დ. ე-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

1ბს-496-469(კს-09) 30 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 აგვისტოს შ. ხ-ვამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს განყოფილების მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 9 ნოემბრის, 2006 წლის 22 დეკემბრისა და 2007 წლის 17 იანვრის სამართალდარღვევების ოქმების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის საოქმო განჩინებით საგადასახადო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს რაიონის განყოფილება შეიცვალა ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრით (საგადასახადო ინსპექციით).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი/მ "შ. ხ-ვას" სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ "შ. ხ-ვამ".

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით ი/მ "შ. ხ-ვას" სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე და მხარეს მიეცა ვადა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ი/მ "შ. ხ-ვას" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ მოტივით, რომ აპელანტის მიერ არ იქნა შევსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული ხარვეზი და არ იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "შ. ხ-ვამ".

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინების გაუქმებას იმ მოტივით, რომ ის რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ "შ. ხ-ვას" კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ი/მ "შ. ხ-ვას" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი სააპელაციო საჩივრისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცნობის შესაბამისად, მოქალაქე შ. ხ-ვა რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბანკში საიდენტიფიკაციო კოდით – 010322500611 და ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 42890-ს. ოჯახი იღებს ფულად დახმარებას 30 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ გარემოების გამოკვლევას, რამდენადაა შესაძლებელი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული ფიზიკური პირისათვის დადგენილი შეღავათის, ამ უკანასკნელის მიერ დაფუძნებულ საწარმოზე გავრცელება.

საკასაციო სასამართლო გამოიციხავს რა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე მსგავსი შეღავათების გავრცელების შესაძლებლობას, იმავდროულად, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს ინდივიდუალური საწარმოების "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული დანარჩენი სუბიექტებისაგან განცალკევებით განხილვას.

ინდივიდუალური საწარმო "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს ერთი დამოუკიდებელი ფიზიკური პირის სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმას. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი და სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის როგორც ფიზიკური პირი, საკუთარი სახელით. ამასთან, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრას, იმდენად, რამდენადაც პასუხისმგებლობა წარმოადგენს საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელავანეს ინსტიტუტს. საყურადღებოა, რომ ინდივიდუალური საწარმო თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად.

ინდივიდუალური საწარმოს პასუხისმგებლობის თავისებურებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მართალია, სარჩელი აღძრულია ინდივიდუალური საწარმოს სახელით, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვადებულება ანუ პასუხისმგებლობა დგება ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობის გამო გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს ი/მ "შ. ხ-ვას" კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვადებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი/მ "შ. ხ-ვას" კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინება და ი/მ "შ. ხ-ვას" სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიღების მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოს გარეშე ხარჯების განაწილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ბს-1665-1619(კ-08)

2 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოსგარეშე ხარჯის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 26 დეკემბერს შ. ზ-მემ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების დაკისრება 800 ლარის ოდენობით შემდეგი საფუძვლით:

საქმის გარემოებები:

2007 წლის 17 მარტს სარფის საბაჟო პუნქტზე მოსარჩელის მიმართ მეზაჟის მიერ შედგენილ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი 1000761, რომლითაც იგი დაჯარიმდა 2000 ლარით. სამართალდარღვევის ოქმი შ. ზ-მემ გაასაჩივრა საჩივრით საბაჟო "...-ის" უფროსთან და მოითხოვა უკანონოდ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის გაუქმება. 2007 წლის 10 აპრილის საბაჟო "...-ის" მიერ საბაჟო შეტყობინებით (1601/501/07) დადასტურდა შ. ზ-მის ვალდებულება 2000 ლარიანი საჯარიმო სანქციის გადახდის თაობაზე. სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვნით შ. ზ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. ამავე სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შ. ზ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და საბაჟო შეტყობინება.

ზემოაღნიშნული სასამართლო პროცესის განხორციელებაში ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულების შესაბამისად, მოსარჩელეს იურიდიულ დახმარებას უწევდა ადვოკატი შ. ჯ-მე. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ ადვოკატს შ. ზ-მემ გადაუხადა 800 ლარი, შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მითითებული ქმედებების შედეგად, მას და მის ოჯახს მიაღდა მატერიალური ზარალი, რის გამოც სსსკ-ის 53.1, 53.2 მუხლების შესაბამისად, მოითხოვა ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეჩერდა შ. ზ-მის სარჩელის გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე, ადმინისტრაციული საქმის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შ. ზ-მის სარჩელისა გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით შ. ზ-მის სარჩელის გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება განახლდა.

შ. ზ-მის სარჩელი მოპასუხემ არ ცნო იმ მოტივით, რომ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურდება დავის საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით. შ. ზ-მის სარჩელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური საბაჟო "...-ის" მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ დავის საგნის ღირებულება 2000 ლარს შეადგენდა, რის გამოც მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა მხოლოდ 80 ლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ზ-მის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ _ მოპასუხე მხარეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 200 ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე შ. ზ-მეს უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 17 მარტს სარფის საბაჟო პუნქტზე გადმოსვლისას საბაჟო წესების დარღვევასთან დაკავშირებით მოსარჩელე ჟ. ზ-ძის მიმართ მეზაჟემ შეადგინა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც ის საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო დარღვევისათვის დაჯარიმდა 2000 ლარით. ჟ. ზ-ძემ ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრა სარჩელი და მოითხოვა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმისა და 2007 წლის 10 აპრილის სანქციის დარიცხვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით მისი სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით. მოსარჩელე ჟ. ზ-ძეს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ადვოკატი შ. ჯ-ძე, რომელსაც მან იურიდიული მომსახურებისათვის გადაუხადა 800 ლარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები სასამართლოს გარეშე გაწეულ პროცესის ხარჯებს წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაღებულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4%-მდე, ხოლო არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით 2000 ლარამდე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟ. ზ-ძის მიერ აღძრული სარჩელი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმისა და 2007 წლის 10 აპრილის საბაჟო სანქციის დარიცხვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ წარმოადგენდა არაქონებრივ დავას, წარმოქმნილს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან. შესაბამისად, ასეთი კატეგორიის საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება შეიძლება განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით 2000 ლარამდე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ნორმის გათვალისწინებით, მოსარჩელეს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობა უნდა განისაზღვროს 200 ლარით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულება წარმოიშობა კანონით გათვალისწინებული საფუძვლებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟ. ზ-ძის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო, რამდენადაც მოპასუხის ვალდებულება ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე კანონით არის გათვალისწინებული.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სასამართლოს წარმომადგენელში არსებული დავის არაქონებრივად მიჩნევის შესახებ და მიიჩნია, რომ დავა მიმდინარეობდა ადმინისტრაციული აქტის ბათილობის მოთხოვნით და სასამართლო სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გამოსულიყო იმ სადავო თანხის ღირებულებიდან, რომელიც მათსა და მოსარჩელეს შორის სადავო იყო, საბაჟო სამართალდარღვევის ჯარიმის თანხიდან ანუ 2000 ლარიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებშიც კი მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დავის საგნის ღირებულების 4%-მდე, მოცემულ შემთხვევაში კი 80 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათუმის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება, ჟ. ზ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბათუმის რეგიონალურ ცენტრს დაეკისრა ჟ. ზ-ძის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯი – 80 ლარით, რაც სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1, 47.2 მუხლებით და მიუთითა, რომ ჟ. ზ-ძე ითხოვდა ადვოკატისათვის გაწეული იმ ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია სასამართლოში დავის განხილვისას, რომელიც ეხებოდა სამართალდარღვევის გამო დარიცხული ჯარიმის – 2000 ლარის დაკისრების შესახებ შედგენილი

ოქმის ბათილად ცნობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება გადახდილი თანხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან დავის საგნის ფასი შეადგენდა 2000 ლარს, აპელანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან და 53-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, უნდა დაკისრებოდა ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის 4%-ის ოდენობით, რამაც მოცემულ შემთხვევაში შეადგინა 80 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

კასატორი მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის არასწორი განმარტებით და ინტერპრეტაციით, როდესაც მოსარჩელე ჟ. ზ-ძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სასარჩელო მოთხოვნა დააყენა საბაჟო გამშვები პუნქტის "სარფის" მეზაჟის მიერ შედგენილ საბაჟო სამართალდარღვევის ოქმზე და მას სხვა მოთხოვნა არ ჰქონია, სადავოდ არ გაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება იურიდიული მომსახურებისათვის, ანუ როდესაც მან სარჩელი შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე-178-ე მუხლების შესაბამისად მისი სასარჩელო მოთხოვნა იყო სგპ "სარფი" მეზაჟის მიერ შედგენილი საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, შესაბამისად, არ მოუთხოვია ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების გადახდევინება. კასატორი მიუთითებს, რომ ისინი არ იზიარებენ იმ აზრს, რომ ჟ. ზ-ძეს სასარჩელო მოთხოვნა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მათი მხრიდან მოთხოვნა იქნებოდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად შემოსავლების სამსახურის ჩართვის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ± 54 ბრძანების შესაბამისად ბათუმის რეგიონალური ცენტრი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს და არის ცენტრალიზებული სისტემა და ცენტრზე დაკისრებული ხარჯები შესაბამისად აისახებოდა შემოსავლების სამსახურის ინტერესებზე.

ამდენად, კასატორმა მოითხოვა მთლიანად გაუქმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის მიღებული გადაწყვეტილებისა და მოსარჩელე ჟ. ზ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად (129-ე-133-ე მუხლი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-განალიზებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჟ. ზ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც სსსკ-ის 393.2 მუხლის "ა", "გ" ქვეპუნქტებისა და 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლით განსაზღვრული სასამართლო ხარჯების განაწილების კანონიერების თაობაზე, რამაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შექმნა აბსოლუტური კასაციის წანამდგრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, რამაც მოცემულ საქმეს მიანიჭა სასამართლოს განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საპროცესო ნორმის საფუძველზე გამოუყენებელ საპროცესო უფლებაზე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, ანუ

საპროცესო უფლების მატერიალურ უფლებასთან გათანაბრების სამართლებრივი შესაძლებლობის დაშვება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია და შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისას სადავო სამართალური თეორიისათვის არ შეუფარდება არც ერთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა და მხოლოდ საპროცესო ნორმებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, რაც სსსკ-ის 393.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების მატერიალურ-სამართლებრივი დაცვის საშუალება/ შედგება ორი ელემენტისაგან – სარჩელის საგნისა და საფუძვლისაგან. სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ანუ სარჩელის საგანია სადავო სამართალური თეორია, მოსარჩელის უფლება, რომლის შესახებაც ის მოითხოვს გადაწყვეტილების გამოტანას სასამართლოს მიერ. შესაბამისად, სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა ამ მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. სარჩელის საფუძველი თავის მხრივ ორი ელემენტისაგან შედგება, სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლისაგან, ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალური თეორიის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის V თავის ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯების, ოდენობის, მათი ანაზღაურების წესსა და პირობებს.

პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) გაწეულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი იურიდიული შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, ისევე, როგორც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა სხვა პროცესუალური მოთხოვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს სარჩელის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დამოუკიდებელ ობიექტს, ვინაიდან სარჩელი აღიძვრის იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და განმტკიცებულია მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობით. საპროცესო სამართალი განსაზღვრავს იმ საპროცესო უფლებების კლასიფიკაციას და მათით სარგებლობის პირობებს, რომლებიც აუცილებელია მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების ეფექტიანად დაცვის უზრუნველსაყოფად.

საპროცესო ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია და შესაძლებელია როგორც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის თანამდევი პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, პირველის გარეშე იგი არ შეიძლება დამოუკიდებლად არსებობდეს. პროცესუალურ-სამართლებრივი მოთხოვნები წარმოიშობა და ქრება მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად. საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნები სასამართლოს წარედგინება არა სარჩელის (მატერიალური მოთხოვნა), არამედ შუამდგომლობის ფორმით, რამდენადაც საპროცესო სამართლის ნორმები ადგენს (აწესრიგებს) არა მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, არამედ – პროცედურულ წესებს, რომელთა ეფექტიანი და კვალიფიციური გამოყენებით, ე.ი. საპროცესო უფლებების მეშვეობით მიიღწევა მატერიალური უფლებების დაცვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის წარდგენა (აღძვრა) არის სასამართლოსადმი მიმართვა კონკრეტული, მოსარჩელის მიხედულებით, სუბიექტური უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დასაცავად, ხოლო პროცესის ხარჯების გადანაწილების მოთხოვნა გამომდინარეობს სარჩელთან დაკავშირებული სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურების პროცესუალური შესაძლებლობიდან, კერძოდ, პროცესის ხარჯები არის სწორედ სარჩელთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სასამართლო ხარჯები) და ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები (სასამართლოსგარეშე ხარჯები).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრება დაინტერესებულ პირებზე მიზნად ისახავს: ანაზღაურდეს დანახარჯი, რომელსაც გაიღებს სახელმწიფო მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სასამართლო ხარჯების განაწილება ასევე ემსახურება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა დისციპლინიზებულობის უზრუნველყოფას, მაგ. დაუსაბუთებელი მიმართებების, ასევე, ვალდებულებათა შესრულების თავიდან აცილება, რაც აფრთხილებს მხარეს მოსალოდნელი ხარჯების დაკისრების თაობაზე.

სასარჩელო წარმოებაში ხარჯებს გაიღებს მხარე, რომლის მიზეზითაც სასამართლოს მოუწია კონფლიქტის (დავის) გადაწყვეტა. ეს შეიძლება იყოს მოპასუხე (სარჩელის დაკმაყოფილების) ან მოსარჩელე (სარჩელის დაუკმაყოფილებლობის პირობებში). სასამართლოს გარეშე ხარჯები განეკუთვნება დამატებით დანახარჯებს, რომელსაც გაიღებს მხარე, მათ შორის, ადვოკატის ხარჯებს, რომლებსაც სასამართლო გადაანაწილებს გონივრულ ფარგლებში (სსსკ-ის 53.1 მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე ჟ. ზ-ძეს, რომელმაც სასამართლო დავა მოუგო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს და ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, სარჩელის განხილვისას არ აღუძრავს მოთხოვნა პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე არც ერთი ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ჟ. ზ-ძე, რომელმაც თავისდროულად არ ისარგებლა საპროცესო უფლებით, სარჩელთან – მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან ერთად წარედგინა თანამდევი საპროცესო-სამართლებრივი მოთხოვნა, არ გააჩნია იურიდიული საფუძველი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოგვარებულ სასამართლო დავაზე გაღებული ხარჯების ანაზღაურებაზე დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენისა, იგი ვერ იქნება მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი, რამდენადაც ესაა არა სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ – დასრულებულ სამართალწარმოებაში გამოუყენებელი საპროცესო უფლების მატერიალური შინაარსის უფლებად წარმოსახვის მცდელობა, რისი შესაძლებლობა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი არ არის და სავსებით ლოგიკურადაც, ვინაიდან სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ქარწყლდება ყველა საპროცესო უფლება, რომლითაც მხარეებს შეეძლოთ ესარგებლათ სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 63-ე მუხლის შესაბამისად განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე, მხარეთათვის. ამასთან, დადგენილია კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ან სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, თუ მოსარჩელე ისარგებლებდა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობით და ძირითადი სარჩელის განხილვისას იშუამდგომლებდა სასამართლოს წინაშე მის მიერ გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე, ხოლო სასამართლო არ იმსჯელებდა მოსარჩელის შუამდგომლობაზე, ეს უკანასკნელი სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილი იქნებოდა, მიემართა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადი სარჩელის განხილვის სტადიაზე მოსარჩელეს სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით არ მიუმართავს სასამართლოსათვის. შესაბამისად, ამგვარი საპროცესო უფლების – შუამდგომლობის არარსებობის პირობებში, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, თავისი ინიციატივით მიეკუთვნებინა მხარისათვის ის, რაც მას არ მოუთხოვია, განსხვავებით სასამართლო ხარჯების განაწილებისაგან, რადგან სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი. სასამართლოსგარეშე ხარჯების განაწილების შესახებ ამგვარ დანაწესს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ ანიჭებს სასამართლოს საპროცესო კომპეტენციას თავისი ინიციატივით, მხარის მოთხოვნის არარსებობის პირობებში გადაწყვიტოს სასამართლოსგარეშე ხარჯების განაწილების საკითხი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებმა სარჩელის საფუძველიანობის შემოწმებისას უნდა განსაზღვრონ, რომელი უფლების დასაცავად აღიძრა იგი. გამიჯნონ მატერიალური და საპროცესო უფლებების რეალიზაციის კანონით განსაზღვრული ფორმები, ვინაიდან პირის ყოველი უფლების დაცვას შეესაბამება ადეკვატური ფორმა, მაგ: განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში; სარჩელი – მატერიალურ-სამართლებრივ უფლებაზე სასამართლოში; შუამდგომლობა – საპროცესო უფლებებზე და ა.შ.

აღნიშნული ფორმების აღრევა და ასეთის დაშვება სასამართლოების მხრიდან არ შეესაბამება სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების კანონით მკაცრად რეგლამენტირებულ წესებს.

მატერიალური და საპროცესო უფლებების ერთ სამართლებრივ ფორმაში რეალიზაციის შესაძლებლობა, როგორც შეუსაბამო სამართლის დარგებისა და მათი ინსტიტუტების კვალიფიციურ გამოცვლასთან, ეწინააღმდეგება საპროცესო სამართლით გარანტირებულ სასამართლოს ბოჭვას – მართლმსაჯულების იმპერატიულ პირინციპს – მართლმსაჯულების განხორციელებას მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წინამდებარე სარჩელი გამართლებული არ არის იურიდიულად და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, მოსარჩელეს სსსკ-ის 53.1 მუხლის შესაბამისად უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯის – 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1, 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. ქ. ზ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ქ. ზ-ძეს დაეკისროს სასამართლო ხარჯების გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ლარის ოდენობით;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება

განჩინება

1ბს-1602-1556(კ-08) 21 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატ ი. წ-იასთვის, როგორც სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატისათვის, საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხი.

პალატამ გამოარკვია:

სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ადვოკატი ი. წ-ია 1ბს-1602-1556(კ-08) ადმინისტრაციულ საქმეზე მონაწილეობდა როგორც სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი და იცავდა ვ. ლ-ვის ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს, ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია და არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არაქონებრივი დავის თაობაზე ¹ბს-1602-1556(კ-08) ადმინისტრაციული საქმის მნიშვნელობისა და სირთულის, ასევე, აღნიშნულ საქმეში ი. წ-იას მონაწილეობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ი. წ-იას უნდა აუნაზღაურდეს საადვოკატო მომსახურების ხარჯი – 250 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. წ-იას აუნაზღაურდეს საადვოკატო მომსახურების ხარჯი – 250 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველი

განჩინება

¹ბს-1089-1045(კს-09) 31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხეების – სს სამშენებლო კომპანია "...“ და სადაზღვევო კომპანია შპს "...“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: სს სამშენებლო კომპანია "...-სა“ და სადაზღვევო კომპანია შპს "...-თვის“, როგორც სოლიდარული მოვალეებისთვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ 1292775 ლარის გადახდის დაკისრება; სს სამშენებლო კომპანია "...-თვის“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრება 1003698,83 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე სადაზღვევო კომპანია შპს "...-ს“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის 6 ივნისსა და 2008 წლის 11 ივნისს გაცემული საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის – 1238600 ლარის ანაზღაურება; მოპასუხე სს სამშენებლო კომპანია "...-ს“ მოსარჩელე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ასანაზღაურებლად 1003698,83 ლარის გადახდა; მოპასუხეებს – სადაზღვევო კომპანია შპს "...-სა“ და სს სამშენებლო კომპანია "...-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით სოლიდარულად დაეკისრათ 5000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს სამშენებლო კომპანია "...-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სს სამშენებლო კომპანია "...-მ“ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, დააყენა შუამდგომლობა, რომ მას გადავადებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა იმის გამო, რომ ხსენებული კომპანია იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში – ამ კომპანიის ქონებაზე გამოყენებული იყო საგადასახადო გირავნობა (იპოთეკა), ხოლო ამავე კომპანიის საბანკო ანგარიშებს დადებული ჰქონდა ინკასო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა სადაზღვევო კომპანია შპს "...-მ“,

რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მის მიმართ გამოტანილ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადაზღვევო კომპანია შპს "...-ის" მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის ხარვეზის შესახებ განჩინებით სადაზღვევო კომპანია შპს "...-ს", სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების მიზნით, დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა; აპელანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ვადა – იმავე განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ივნისის ხარვეზის შესახებ კიდევ ერთი განჩინებით სს სამშენებლო კომპანია "...-ს", სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების მიზნით, დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა; აპელანტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ვადა – იმავე განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 დღე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი – სს სამშენებლო კომპანია "...-ს" შუამდგომლობდა, რომ მას გადავადებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, იმაზე მითითებით, რომ ხსენებული სამშენებლო კომპანია იმყოფებოდა უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში – ამ კომპანიის ქონებაზე გამოყენებული იყო საგადასახადო გირავნობა (იპოთეკა), ხოლო ამავე კომპანიის საბანკო ანგარიშებზე დადებული იყო ინკასო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებელი, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაევალებინა მხარისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ იგი სასამართლოს წარუდგენდა უტყუარ მტკიცებულებებს. სააპელაციო საჩივარზე თანდართულ საბუთების ნუსხაზე ამ აპელანტის მითითების მიუხედავად, სააპელაციო საჩივარს თან არ ერთვოდა ხსენებული კომპანიის ქონებისა და ანგარიშების დაყადაღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ კომპანიის სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნას, კერძოდ, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

2009 წლის 17 ივნისს სს სამშენებლო კომპანია "...-მ" 2009 წლის 10 ივნისით დათარიღებული განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ ამავე განცხადებაზე თანდართული, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 13 იანვრის ¹13/103, ¹13/104, ¹13/105, ¹13/106, ¹13/107, ¹13/108, ¹13/109, ¹13/110, ¹13/111, ¹13/112, ¹13/113 ბრძანებებით, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი დავალიანებების გამო, დაყადაღებული იყო სს სამშენებლო კომპანია "...-ის" საბანკო ანგარიშები და ქონება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ მომენტისათვის ხსენებული კომპანია მოკლებული იყო საშუალებას, გადაეხადა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი. განმცხადებელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მას გადავადებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით სადაზღვევო კომპანია შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით სს სამშენებლო კომპანია "...-ის" სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტმა სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომელსაც დაურთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 13 იანვრის ¹13/103, ¹13/104, ¹13/105, ¹13/106, ¹13/107, ¹13/108, ¹13/109, ¹13/110, ¹13/111, ¹13/112 და ¹13/113 ბრძანებების ასლები, რომელთა საფუძველზე, საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორებს დაევალათ საინკასო დავალებების წარდგენა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, ხსენებული აპელანტი ითხოვდა, დაკმაყოფილებულიყო მისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტები არ იძლეოდა უტყუარ ცნობებს სს სამშენებლო კომპანია "...-ის" ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რამდენადაც, მართალია, ზემოთ მითითებული ბრძანებების საფუძველზე საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორებს დაევალათ საინკასო დავალებების წარდგენა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" საბანკო ანგარიშებზე, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა, რომ ნამდვილად იქნა წარდგენი-

ლი საინკასო დავალებები ან რა ოდენობის ქონებით სარგებლობის უფლება აღეკვეთა ამ აპელანტს. სს სამშენებლო კომპანია "...-ის". სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს სამშენებლო კომპანია "...-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოითხოვა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, ვინაიდან სს სამშენებლო კომპანია "...-მ" იმყოფებოდა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში. აღნიშნულის დასადასტურებლად, სს სამშენებლო კომპანია "...-მ" 2009 წლის 10 ივნისის განცხადებით სასამართლოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ ამ კომპანიის მთელი ქონება და ყველა საბანკო ანგარიში დაყადაღებულია, რის გამოც ხსენებული კომპანია ვერ ახორციელებს საბანკო გადარიცხვებს და მისი ყველა შემოსავალი მიემართება საგადასახადო დავალიანების დასაფარავად. აღნიშნულის მიუხედავად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით სს სამშენებლო კომპანია "...-ის" სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სს სამშენებლო კომპანია "...-მ" ამჟამად იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი დავალიანებების გამო, მის ქონებასა და საბანკო ანგარიშებს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადებული აქვს ყადაღა, რაც დადასტურებულია სასამართლოში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტებით უდავოდ დასტურდება სს სამშენებლო კომპანია "...-ის" მთელი ქონების დაყადაღების ფაქტი, რითაც ხსენებული კომპანია მოკლებულია თავისი ქონებისა და ანგარიშების განკარგვის შესაძლებლობას, რის გამოც იგი ვერ იხდის სახელმწიფო ბაჟს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებით სს სამშენებლო კომპანია "...-ის" კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მიერ კერძო საჩივრის საფუძვლად იმაზე მითითებას, რომ სს სამშენებლო კომპანია "...-მ" ამჟამად იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ წარმოშობილი დავალიანებების გამო, მის ქონებასა და საბანკო ანგარიშებს საგადასახადო ინსპექციის მიერ დადებული აქვს ყადაღა, რაც დადასტურებულია სასამართლოში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტებით უდავოდ დასტურდება სს სამშენებლო კომპანია "...-ის" მთელი ქონების დაყადაღების ფაქტი, რითაც ხსენებული კომპანია მოკლებულია თავისი ქონებისა და ანგარიშების განკარგვის შესაძლებლობას, რის გამოც იგი ვერ იხდის სახელმწიფო ბაჟს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სს სამშენებლო კომპანია "...-მ" სააპელაციო საჩივარში მიუთითა ამ კომპანიის ქონებისა და ანგარიშების დაყადაღების დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე, როგორც სააპელაციო საჩივრისათვის თანდართულ საბუთების ნუსხაზე, მაგრამ ამის მიუხედავად, სს სამშენებლო კომპანია "...-ის" თავისი სააპელაციო საჩივრისათვის არ დაურთია ხსენებული დოკუმენტაცია. 2009 წლის 17 ივნისის კი სს სამშენებლო კომპანია "...-მ" სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ 2009 წლის 10 ივნისით დათარიღებულ განცხადებას დაწარმის სახით დაურთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 13 იანვრის ¹13/103, ¹13/104, ¹13/105, ¹13/106, ¹13/107, ¹13/108, ¹13/109, ¹13/110, ¹13/111, ¹13/112, ¹13/113 ბრძანებების ასლები.

საკასაციო სასამართლო ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხის ჩამოწერის შესახებ" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავ-

ლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 13 იანვრის ¹13/103, ¹13/104, ¹13/105, ¹13/106, ¹13/107, ¹13/108, ¹13/109, ¹13/110, ¹13/111, ¹13/112, ¹13/113 ბრძანებებით, რომლებზეც სს სამშენებლო კომპანია "...-ის" აფუძნებს კერძო საჩივრის მოთხოვნას, ამ ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების განყოფილების თანამშრომლებს მხოლოდ დაევალოთ საინკასო დავალებების წარდგენა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" ამავე ბრძანებებში მითითებულ ანგარიშებზე, შესაბამისად, სს "...-ს", სს "...-ს" ცენტრალურ ფილიალში, სს "...-ს" ცენტრალურ ფილიალში, სს "...-ს" ¹3 ფილიალში (დიდუბეში), სს "...-ს" ცენტრალურ ფილიალში, სს "...-ს" ¹5 ფილიალში (კრწანისში), სს ბანკი "...-ს" ცენტრალურ ფილიალში, სს "...-ს" ცენტრალურ ფილიალში, სს "...-ს" მარჯანიშვილის ფილიალში, სს "...-ს" და სს კ/ბ "...". სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ დასახელებული დოკუმენტებით არ დასტურდებოდა, რომ ნამდვილად იქნა წარდგენილი საინკასო დავალებები, ან რა ოდენობის ქონებით სარგებლობის უფლება აღეკვეთა ამ აპელანტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 13 იანვრის ¹13/103, ¹13/104, ¹13/105, ¹13/106, ¹13/107, ¹13/108, ¹13/109, ¹13/110, ¹13/111, ¹13/112, ¹13/113 ბრძანებები საერთოდ არ ეხება სს სამშენებლო კომპანია "...-ის" საბანკო ანგარიშებზე და მით უმეტეს, მის კუთვნილ რაიმე ქონებაზე ყადაღის დადებას, სს სამშენებლო კომპანია "...-ის" კი არ მიუთითებია რაიმე სხვა მტკიცებულებაზე, რომლითაც დადასტურდებოდა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" საბანკო ანგარიშებსა და ქონებაზე ყადაღის დადების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, იმისათვის, რომ სასამართლომ მხარეს, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა, მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს მის შესაბამის ქონებრივ მდგომარეობას, ხოლო სასამართლო მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაშია უფლებამოსილი, მხარის მიმართ გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის ნორმა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს სამშენებლო კომპანია "...-ის" სააპელაციო სასამართლოსთვის არ წარუდგენია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებსაც შეიძლებოდა დაეფუძნებინა სს სამშენებლო კომპანია "...-ის" სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სს სამშენებლო კომპანია "...-ის" კერძო საჩივარი არის უსაფუძვლო, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სს სამშენებლო კომპანია "...-ის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის უკან დაბრუნება

განჩინება

1ბს-1020-984(კ-08)

20 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის განცხადება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

რ. კ-შვილმა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში იმერეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების ოქმის შედგენა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით რ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-შვილმა და მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით რ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. კ-შვილმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის განჩინებით რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად და მხარეებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა 15 დღით საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

საკასაციო სასამართლოში 2009 წლის 5 აგვისტოს შემოვიდა რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის განცხადება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს 2009 10 სექტემბრის განჩინებით რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის განცხადება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე დარჩა ხარვეზზე, კერძოდ, მხარეს დაევალა წერილობითი დადასტურება (მტკიცებულება), თუ როდის ჩაჰპარდათ რ. კ-შვილს და მის წარმომადგენელს ა. ბ-ძეს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინების ასლი.

2009 წლის 19 სექტემბერს რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის მიერ საკასაციო სასამართლოს ზემომითითებულ განჩინებაში აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოდგენილ იქნა განცხადება, რომელშიც მხარემ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განმცხადებლის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო სსსკ-ის 261-ე მუხლი დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რამდენადაც კასატორი ითხოვს საკასაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის გამო სსსკ-ის 401-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის 70%-ის უკან დაბრუნებას მაშინ, როცა სსსკ-ის 261-ე მუხლი ეხება დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და წარმოდგენილი განცხადების განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-ძის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად რ. კ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% – 210 ლარი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმის გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საჭიროებს ამ სამართალწარმოების თავისებურების აუცილებელ გათვალისწინებას, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქმის მასალების თანახმად, რ. კ-შვილს საკასაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401.4. მუხლის მიხედვით, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით რ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, თუმცა საკასაციო სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) დაბრუნების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს რ. კ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 210 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261.1 "გ" ქვეპუნქტით, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. კ-შვილის წარმომადგენლის ა. ბ-მის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. კასატორს რ. კ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%, რაც შეადგენს 210 ლარს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების განაწილება

განჩინება

1ბს-767-732(კს-09)

9 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "...-ის" დირექტორის ვ. ხ-მის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.09წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.06წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს "...-ის" დირექტორ ვ. ხ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი 10.09.04წ. ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის შპს "...-ის" შემოწმების აქტი მთელი თავისი სამართლებრივი შედეგით, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 12310 საგადასახადო მოთხოვნა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.06წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შპს "...-ის" სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა 7000 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ", რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 29.12.08წ. განჩინებით, შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

შპს "...-ის" დირექტორმა ვ. ხ-მემ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 02.07.08წ. გადაწყვეტილებაში დაუშვა უსწორობა, კერძოდ, არ იმსჯელა მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილ 5000 ლარზე და მოსარჩელეს სრული ოდენობით განმეორებით დააკისრა 7000 ლარის გადახდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, "თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც". ნორმის მოთხოვნა იმპერატიულია და სააპელაციო პალატა ვალდებული იყო, სწორად დაედგინა მოსარჩელი-სათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა გარემოების გათვალისწინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.09წ. განჩინებით, შპს "...-ის" განცხადება გადაწყვეტილებაში "დაშვებული უსწორობის" გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. გადაწყვეტილებაში უსწორობის დაშვებას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული გადაწყვეტილება სრული სახით გასაჩივრდა შპს "...-ის" მიერ, თუმცა იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 29.12.08წ. განჩინებით დარჩა განუხილველი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განმცხადებელი არასწორად განმარტავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლს, რომლის მიხედვით, "თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც". მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დასჭირვებია სასამართლო ხარჯების განაწილებაში ცვლილებების შეტანა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში შპს "...-ის" მიერ უკვე გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი – 5000 ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კი გადაიხდიდა, სააპელაციო სასამართლო, გარდა იმ 7000 ლარისა, რომელიც შპს "...-ს" სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის, ასევე, დამატებით დააკისრებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟს – 5000 ლარს სწორედ აღნიშნული ნორმის საფუძველზე, რადგან მისი სარჩელი სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.09წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს "...-ის" დირექტორმა ვ. ხ-მემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება, საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნება, გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.08წ. გადაწყვეტილების კერძო საჩივრის განხილვამდე აღსრულების შეჩერება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 03.07.08წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში არის მითითება იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.06წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 53-ე მუხლის მესამე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სააპელაციო სასამართლომ შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილება. აღნიშნული მოთხოვნა პალატას არ შეუსრულებია და გადაწყვეტილებაში ხარჯების განაწილების თაობაზე არ უმსჯელია. სასამართლო ხარჯების განაწილებაზე ასევე არ უმსჯელია პირველი ინსტანციის სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის – 5000 ლარის გადახდა დაეკისრა მოპასუხე მხარეს და არა შპს "...-ს". სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ემსჯელა სააპელაციო პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "...-ის" დირექტორის

ვ. ხ-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.09წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 38-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სარჩელზე, სააპელაციო საჩივარზე და, აგრეთვე, საკასაციო საჩივარზე ყველა ინსტანციისათვის სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული ოდენობით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს "...-მ" 27.09.04წ. ¹⁴⁷ საგადასახადო დავალებით გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 5000 ლარი მის მიერ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 15.09.04წ. აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.05.06წ. გადაწყვეტილებით, ვ. ხ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი 10.09.04წ. ვაკე-საბურთალოს საოლქო საგადასახადო ინსპექციის შპს "...-ის" შემოწმების აქტი თავისი სამართლებრივი შედეგით, ასევე ბათილად იქნა ცნობილი ¹²³¹⁰ საგადასახადო მოთხოვნა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 53.1 მუხლით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსათვის გათვალისწინებული ბაჟის გადახდა დააკისრა იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯების გადახდა ეკისრება მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. სსკ-ის 53.3 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯების განაწილების იგივე წესები გამოიყენება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ან ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი, შესაბამისად, საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები, სასამართლო ინსტანციებში გადასახადი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების საკითხი უნდა გადაწყდეს ზემდგომი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად, სწორედ ზემდგომ ინსტანციაში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით უნდა შეჯამდეს სასამართლო ხარჯები, რომლის შემადგენელი ნაწილი სსკ-ის 37.2 მუხლის თანახმად, არის სახელმწიფო ბაჟი. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შედეგად იწვევდა მოსარჩელისათვის არამხოლოდ სააპელაციო, არამედ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრებასაც. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წესის საბოლოო მიზანს შეადგენს იმ პირზე მათი გადახდის დაკისრებაში, რომელმაც უსაფუძვლოდ მიმართა სასამართლოს, სასამართლო ხარჯების განაწილება ემყარება პრინციპს – "წაგებული იხდის", რომლის თანახმად, გადახდის ტვირთი ეკისრება მხარეს, რომლის ბრალითაც სასამართლოს მოუხდა დავის გადაწყვეტა. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შპს "...-ის" დირექტორ ვ. ხ-მეს საბოლოოდ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შედეგიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად დააკისრა მოსარჩელე მხარეს სასამართლო ხარჯების ანაზრაურება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 53.3 მუხლი არ ქმნის შპს "ზოოვეტმომარეგების" მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს და იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო პალატას არ სჭირდება სასამართლო ხარჯების განაწილებაში ცვლილებების შეტანა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში შპს "...-ის" მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით უკვე გადახდილი იყო 5000 ლარი.

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბაჟის – 7000 ლარის დაკისრება არ შეიცავს არანაირ არითმეტიკულ უსწორობას და იგი სასამართლოს მიერ სსკ-ის 53.1 მუხლის საფუძველზე დაეკისრა მოსარჩელე მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო მოსარჩელეს არ აუნაზღაურდება სასამართლო ხარჯები იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატის ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, არარსებობდა მოსარჩელის მიერ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრების, სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის თანხიდან მისი გამოქვითვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს "...-ის" დირექტორს ვ. ხ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "...-ის" დირექტორ ვ. ხ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.04.09წ. განჩინება;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის გადახდილად ჩათვლა

განჩინება

¹ბს-1338-1280(კს-09) 24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 ივნისს, ა. წ-ლის წარმომადგენელმა – ქ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ქ. ქუთაისის მერიის მიმართ და მოითხოვა ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 6 ნოემბრის ¹1691 ბრძანების ბათილად ცნობა, 2007 წლის 7 ნოემბრის ქ. ქუთაისის მერიასა და შპს "...-ს" შორის დადებული ¹⁴ ხელშეკრულება, 2007 წლის 7 ნოემბრის მიწის მიღება-ჩაბარების აქტი, 2008 წლის 4 თებერვლის, ქ. ქუთაისის მერის ¹161 ბრძანება, 2007 წლის 28 ნოემბერს ქ. ქუთაისის მერის ¹1795 ბრძანება, 2007 წლის 28 ნოემბერს ქ. ქუთაისის მერიასა და შპს "...-ს" შორის დადებული ¹⁶ ხელშეკრულება, 2007 წლის 4 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტი და ასევე შპს "...-სათვის" ჩამოერთვათ ... გამზირზე ¹50-ის (უნდა იყოს 50ა-ს) დასავლეთით, ყოფილ უნივერსიტეტის "ქუთაისის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული აღნაგობის უფლებით გადაცემული 1300 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით შპს "...-ს" საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ქუთაისის მერიის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება ა. წ-ლის წარმომადგენლის სარჩელისა გამო ქუთაისის მერიისა და შპს "...-ის" მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ხელშეკრულების ნაწილში კი საქმის წარმოება გაგრძელდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. წ-ლის წარმომადგენელმა ქ. კ-ძემ, რომელმაც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და, ასევე, საქმის წარმოების განახლება მთლიანი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა გაეცნო კერძო საჩივარს და მიიჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ბაჟი გადახდილი სააპელაციო სასამართლოს ანგარიშზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული კერძო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

მითითებული განჩინება ქ. კ-დემ გაასაჩივრა კერძო საჩივრით და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინების გაუქმება და მისი კერძო საჩივრის განხილვა მოითხოვა.

აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-დის კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2009 წლის 5 მაისს ა. წ-ლის წარმომადგენელმა ქ. კ-დემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარზე საქმის წარმოების განახლება, იმ საფუძველზე, რომ, მართალია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით, კერძო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, მაგრამ საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სახელმწიფო ბაჟი უდავოდ იყო გადახდილი საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდეზე, რაც მხარეს აძლევდა შესაძლებლობას, მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინებით ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-დის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. წ-ლის წარმომადგენელმა ქ. კ-დემ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის განჩინებისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინების გაუქმება და მის მიერ 2008 წლის 13 ოქტომბერს შეტანილი კერძო საჩივრის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით, ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-დის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-დის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ა. წ-ლის წარმომადგენლის სარჩელის გამო ქუთაისის მერიისა და შპს “. . .-ის” მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო ხელშეკრულების ბათილობის ნაწილში გაგრძელდა საქმის წარმოება. მითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. წ-ლის წარმომადგენელმა ქ. კ-დემ, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით, ხარვეზიანად იქნა მიჩნეული და მხარეს მიეცა შვიდდღიანი ვადა მის გამოსასწორებლად. ხარვეზის შეუვსებლობის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ა. წ-ლის წარმომადგენლის კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. ქ. კ-დემ კვლავ მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ მოტივით, რომ მას გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდეზე, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებითაც იყო დადგენილი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე-420-ე მუხლებით დადგენილია კერძო საჩივრის განხილვის წესი და პირობები, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი კერძო საჩივრის განხილვის თაობაზე განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სააპელაციო სასამართლოს მიერ ვერ იქნებოდა ჩათვლილი კერძო საჩივარზე გადახდილად, რადგან თანხა არ იყო შეტანილი სააპელაციო სასამართლოს ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სახელმწიფო ბაჟი უდავოდ არის გადახდილი საერთო სასამართლოებისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდექსზე, რაც ასევე დადგენილია კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით, ხოლო ის საფუძველი, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სახელმწიფო ბაჟი შეცდომით გადახდილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდექსზე, ვერ ჩათვლება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ივნისის განჩინება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ძის განცხადება განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის დაბრუნება

განჩინება

18ს-1110-1066 (კ-09) 15 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 18ს-1110-1066 (კ-09) განჩინებით განუხილველად დარჩა ე. ე-დის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 მაისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ 2009 წლის 30 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ ე. ე-დის საკასაციო საჩივარი არ შეიცავდა მისი შემტანი პირის ხელმოწერას. გარდა ამისა, ე. ე-დის საკასაციო საჩივარს თან არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და ამასთან, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ იყო გათავისუფლებული საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების და არც "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. აღნიშნული განჩინებით კასატორს – ე. ე-დს დაევალა, ხარვეზის შესახებ იმავე განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და მის მიერ ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მონაწილეც იყო საქმეში. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზების ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და განუხილველი დარჩებოდა.

2009 წლის 18 აგვისტოს ე. ე-დმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა თავის მიერ ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი, თუმცა არ წარმოუდგენია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან, ე. ე-დმა დააყენა შუამდგომლობა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ე. ე-დის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი – ე. ე-დს არ შეუვსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზი, კერძოდ, არ წარმოუდგენია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი, აღნიშნული გარემოება საკასაციო სასამართლომ ე. ე-დის საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობად მიიჩნია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ე. ე-დის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2009 წლის 25 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ს. ე-დმა და განმარტა, რომ ე. ე-დის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა მის მიერ, რისი დამადასტურებელი ქვითარი არ იქნა დართული საკასაციო საჩივარზე მათივე დაუდევრობის გამო. განმცხადებელი ითხოვს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნებას. ასევე, 2010 წლის 5 იანვარს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მიმართა ე. ე-დმა, რომელმაც მოითხოვა საკასაციო საჩივრის განხილვა, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი, მართალია, გადახდილ იქნა ხარვეზის გამოსასწორებლად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, მაგრამ ამ ვადაში ქვითარი არ იქნა წარმოდგენილი სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო წარმოდგენილ განცხადებას, მასზე დართულ მასალას და მიაჩნია, რომ ე. ე-დის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ე-დის განცხადება დაკმაყოფილდეს.

განმცხადებელ ს. ე-დის მიერ 2009 წლის 25 დეკემბერს წარმოდგენილია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი, (საგადასახადო დავალება №18, გადასახადის გადამხდელი – ს. ე-დი, გადახდის დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე, დამატებითი ინფორმაცია – საქმე №ს-1110-1066 (კ-09) 30.07.2009). წარმოდგენილი ქვითრით დასტურდება, რომ სახელმწიფო ბაჟი ს. ე-დის მიერ №ს-1110-1066 (კ-09) საქმეზე გადახდილ იქნა 2009 წლის 18 აგვისტოს "... ბანკის დიღმის განყოფილების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივლისის განჩინებით ე. ე-დს დაევალა ხარვეზის შესახებ ხსენებული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის ქვითარი, აგრეთვე, მის მიერ ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი იმდენ ასლად, რამდენი მხარეც იყო საქმეში. კასატორს განემარტა, რომ ხარვეზის გამოსწორებლობის შემთხვევაში საკასაციო საჩივარი არ დაიშვებოდა და დარჩებოდა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. ე-დის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა ხელმოწერილი საკასაციო საჩივარი, თუმცა მის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ე. ე-დის მიერ არ იქნა გამოსწორებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პა-

ლატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით დადგენილი ერთ-ერთი ხარვეზი. აღნიშნული განჩინებით დადგენილი შესასრულებელი საპროცესო მოქმედება – ხარვეზის გამოსწორება მოიცავდა არა მარტო საბანკო დაწესებულებაში სახელმწიფო ბაჟის გადახდას, არამედ აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარმოდგენას განჩინებით დადგენილ ვადაში, ე.ი. 2009 წლის 19 აგვისტომდე. ის ფაქტი, რომ საქმეზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა ვადაში, ვერ ჩაითვლება ხარვეზის გამოსწორებად, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის ხარვეზის შესახებ განჩინებით ე. ე-დს განემარტა, რომ მას საკასაციო სასამართლოში უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი ან/და საქმეში არ არის წარმოდგენილი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, იგი გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, ე. ე-დის შუამდგომლობა გამოწვევის სახით განხილულ იქნეს მისი საკასაციო საჩივარი, საფუძველს მოკლებულია. ასეთი შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, ვინაიდან ე. ე-დის საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანგარიშზე გადაიხადა ს. ე-დმა, ხოლო წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა, ს. ე-დს მთლიანად უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 185-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ე-დის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. ს. ე-დს დაუბრუნდეს თავის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი ანგარიშიდან: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის 1200122900, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი – 300773150; გადახდის დანიშნულება – სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე; გადამხდელის ბანკი – სს "პროკრედიტ ბანკის" დილმის განყოფილება, ბანკის კოდი – 220101901; მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – 220101222;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის უკან დაბრუნება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ბს-1424-1360(კ-კს-09) 11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

განიხილა თ. შ-შვილის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... შესახვევ 12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მიყვანის მიზნით დაევალა ამ დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა; ამასთან, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაეკისრა მოსარჩელე თ. შ-შვილის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებამი იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 11 თებერვალს, 12.00 საათზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. შ-შვილის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... შესახვევის 12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, დაევალა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის სასამართლო სხდომაზე თ. შ-შვილმა დააყენა შუამდგომლობა მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის დაკისრების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. შ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს მიერ იქნა დაკმაყოფილებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე თ. შ-შვილმა სარჩელის აღძვრისას გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. შ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თ. შ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. შ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს თ. შ-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა;
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბაჟის უკან დაბრუნება

განჩინება

13ს-26-25(კ-10)

6 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგამე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებაზე დამატებითი განჩინების გამომტანის საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-მ" 2009 წლის მაისში სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების _ სსიპ _ შემოსავლების სამსახურის, სსიპ _ შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ და მოითხოვა ბათუმის რეგიონალური ცენტრის 2008 წლის 5 დეკემბრის 16022466/08 საბაჟო შეტყობინების, 2008 წლის 5 დეკემბრის 16022466/08 საბაჟო შეტყობინების დასაბუთებისა და 2008 წლის 7 ნოემბრის საბაჟო სამართალდარღვევის 1009792 ოქმის ბათილად ცნობა, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 19 თებერვლის 1369 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 11 მაისის 10/5869 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს "...-ს" უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შპს "...-ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ" და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

დადგენილია, რომ შპს "...-ს" საკასაციო საჩივარზე 2010 წლის 2 თებერვალს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი _ 300 ლარის ოდენობით, ხოლო 2010 წლის 3 თებერვალს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი _ 200 ლარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; შპს "...-ს" დაუბრუნდა თავის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% _ 210 ლარი; რაც შეეხება შპს "...-ის" მიერ საკასაციო საჩივრისათვის გადახდილ სახელმწიფო ბაჟს _ 200 ლარს სასამართლოს არ უმსჯელია აღნიშნულის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ შპს "...-ს" უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის _ 200 ლარის 70%, რაც შეადგენს _ 140 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და 401-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორს _ შპს "...-ს" დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის _ 200 ლარის 70% _ 140 ლარის ოდენობით;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველი

განჩინება

1ბს-684-662(კ-10)

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 9 სექტემბერს ნ. ტ-მემ და თ. ა-ვამ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელეთა მფლობელობაში და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და, შესაბამისად, საკუთრების მოწმობის გაცემა.

2009 წლის 18 სექტემბერს ნ. ტ-მემ და თ. ა-ვამ განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოპასუხედ ქ. თბილისის მერიის ნაცვლად დაასახელეს ქ. თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. ტ-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2009 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება (ოქმი¹⁴⁴), რომლითაც უარი ეთქვა ნ. ტ-მესა და თ. ა-ვას საკუთრების უფლების აღიარებაზე და ქ. თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალა ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას განცხადების განხილვისას შესაბამისი გარემოებების შესწავლა, შეფასება და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ტ-მემ და თ. ა-ვამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 მაისის განჩინებით ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე იმ მოტივით, რომ საკასაციო საჩივარს არ ერთვოდა სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდის ქვითარი და განჩინებაში აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრათ ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღე.

აღნიშნული განჩინება კასატორებს ჩაჰბარდათ 2010 წლის 31 მაისს.

2010 წლის 9 ივნისს ნ. ტ-მემ და თ. ა-ვამ განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება იმ მოტივით, რომ არიან უმუშევრები, ნ. ტ-მე არის ფეხმძიმე და დამატებით არანაირი შემოსავალი არ გააჩნიათ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივის განჩინებით ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და კასატორებს გაუგრძელდათ საპროცესო ვადა – ხარვეზის შესავსებად 5 დღით.

აღნიშნული განჩინება კასატორებს ჩაჰპარდათ 2010 წლის 16 ივნისს.

2010 წლის 17 ივნისს ნ. ტ-მემ და თ. ა-ვამ კვლავ განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობები, რომლითაც ტ. ტ-მის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 69690-ს, ხოლო თ. ა-ვას ოჯახის სარეიტინგო ქულა – 71130-სა და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას შუამდგომლობის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

რაც შეეხება საარსებო შემწეობის ოდენობა, მისი დანიშვნისა და გაცემის პრინციპები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის 1145 დადგენილებით "სოციალური დახმარების შესახებ", რომლის მე-2 თავის პირველი პუნქტის თანახმად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახებს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე.

ამავე დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, საარსებო შემწეობის ზღვრული ქულა არის 57001.

კასატორების – ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას მიერ უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობები, რომლის თანახმად, ნ. ტ-მის ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 69690-ს, ხოლო თ. ა-ვას ოჯახის სარეიტინგო ქულა – 71130-ს, რაც აღემატება ზემოაღნიშნული დებულებით განსაზღვრულ საარსებო შემწეობის ზღვრულ ქულას. ასევე, კასატორების მიერ არ იქნა წარმოდგენილი მათი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის მიღების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორების – ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად უნდა დარჩეს განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 401-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. კასატორების – ნ. ტ-მისა და თ. ა-ვას შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. უწყების ჩაბარება

უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

1ბს-152-148(კს-08)

16 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ი/მ "ზ. ლ-ძის" კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.07წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციამ 21.03.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ი/მ "ზ. ლ-ძის" მიმართ და გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ მოპასუხის დაყადაღებული ქონების რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 20.04.07წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გორის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი – გორის საგადასახადო ინსპექციას ნება დაერთო, განეხორციელებინა ი/მ "ზ. ლ-ძის" კუთვნილი, გორის საგადასახადო ინსპექციის 14.02.07წ. ¹101 ბრძანებით დაყადაღებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 20.04.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ "ზ. ლ-ძემ", რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.05.07წ. განჩინებით ი/მ "ზ. ლ-ძეს" განჩინების ჩაბარებიდან მიეცა 7 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად, ვინაიდან აპელანტს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი დავის საგნის ღირებულების 4 %-ის ოდენობით.

ი/მ "ზ. ლ-ძემ" 15.11.07წ. ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლება ან გადახდის გადავადება მოითხოვა.

აპელანტმა მიუთითა, რომ საქმეზე სარჩელის საგანს წარმოადგენდა საგადასახადო ინსპექციის მიერ დაყადაღებული მისი კუთვნილი ქონების რეალიზაცია, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 92700 ლარს, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის თანხა განისაზღვრა 3708 ლარით. ი/მ "ზ. ლ-ძის" საწარმო 2006 წლის დეკემბრიდან არ ფუნქციონირებდა, ხოლო მისი კუთვნილი უძრავ-მომრავი ქონება დაყადაღებული იყო, რის გამოც უმუშევარი იყო და რეალური შემოსავლის წყარო არ გააჩნდა. მისი ოჯახის წევრებიდან კი მეუღლის – ე. კ-ძის შემოსავალი, რომელიც მუშაობდა პედაგოგად გორის სკოლა-ლიცეუმში, 120 ლარი იყო, ხოლო დედის – ტ. ლ-ძის პენსია – 40 ლარი, რის გამოც აპელანტს იმ დროისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით 500 ლარზე მეტის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.07წ. განჩინებით ი/მ "ზ. ლ-ძის" სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.05.07წ. განჩინებით, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო ი/მ "ზ. ლ-ძეს" ხარვეზის შევსების მიზნით მიეცა 7 დღე ხსენებული განჩინების ჩაბარებიდან. აპელანტს სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდა 07.11.07წ., ხოლო განცხადებით (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადავადების შესახებ) მან სასამართლოს მიმართა 15.11.07წ., ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით – ი/მ "ზ. ლ-ძემ" სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (უკანასკნელი ვადა იყო 14.11.07წ.) ვერ შეავსო ხარვეზი და მას არც საპროცესო ვადის გაგრძელება უთხოვია სასამართლოსთვის, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დატოვებული იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.07წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი/მ "ზ. ლ-ძემ" და აღნიშნული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 31.05.07წ. განჩინება 07.11.07წ. ი/მ "ზ. ლ-ძეს" არ ჩაჰბარებია, რაც დასტურდება იმით, რომ სასამართლოს გზავნილის მიღების შესახებ დოკუმენტზე არ არის მისი ხელმოწერა. სასამართლოს გზავნილი, მართლაც, მივიდა 07.11.07წ. მის ფაქტობრივ მისამართზე – ქ. გორი, ... ქ. ¹16, თუმცა იმ

დღეს იგი ქალაქში საერთოდ არ იყო, რის გამოც სასამართლოს განჩინება ჩაიბარეს მისი ოჯახის წევრებმა (როგორც მისთვის ცნობილია მისმა მეუღლემ). იგი იყო ქ. ხაშურში, სადაც აქვს მისი ინდივიდუალური საწარმო (მისამართი: ქ. ხაშური, ... ქ. ¹¹). ამ მისამართის არსებობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორედ ხაშურში განიხილა მოცემული ადმინისტრაციული დავა და თავდაპირველად საქმის მასალები ამ მისამართზე ეგზავნებოდა. სასამართლო განჩინების ჩაბარების შესახებ ზ. ლ-ძეს ტელეფონით შეატყობინა მისმა მეუღლემ და ამ მიზეზით მეორე დღეს, ანუ 08.11.07წ. იგი ჩავიდა გორში და სწორედ იმ დღეს გაეცნო სასამართლოს განჩინებას ხარვეზის შესახებ. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობითა და თავად სასამართლოს 31.05.07წ. განჩინებით შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესასრულებლად ზ. ლ-ძეს გააჩნდა 7 დღის ვადა და ეს ვადა ათვლებოდა შესაბამისი განჩინების უშუალოდ მისთვის, როგორც პროცესის მხარისათვის, ჩაბარებიდან (გაცნობიდან). ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქმეში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული განჩინების მისი _ ი/მ "ზ. ლ-ძის" მიერ 07.11.07წ. ჩაბარების ფაქტს. სასამართლოს განჩინებას ხარვეზის შესახებ იგი გაეცნო 08.11.07წ. და, ამდენად, მის მიერ დაცულია სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის მიცემული 7 დღიანი ვადა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი/მ "ზ. ლ-ძის" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხარვეზის დადგენის დროს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის რედაქცია ითვალისწინებდა უწყების ჩაბარებას მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის, უწყების მიმღები ვალდებული იყო, უწყება დაუყოვნებლივ ჩაეხარებინა ადრესატისათვის. ჩაბარებულად ითვლებოდა როგორც უწყების პირადად გადაცემა, ასევე, უწყების მიმღების მიერ ადრესატისათვის უწყების შინაარსის ცნობება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ლ-ძის მიერ კერძო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ გზავნილი ჩაჰბარდა მის მეუღლეს და მას ტელეფონით შეატყობინეს აღნიშნულის თაობაზე, არ ცვლის საქმის შედეგს. საქმეში დაცულია სახალხო ფოსტის შეტყობინების ბარათი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ, რომლითაც დასტურდება ი/მ "ზ. ლ-ძისათვის" 31.05.07წ. განჩინების 07.11.07წ. ჩაბარება, რაზეც ხელს აწერს პირადად. ამდენად, მოკლებულია საფუძველს ზ. ლ-ძის მითითება საფოსტო გზავნილის დასტურზე მისი ხელმოწერის არარსებობის შესახებ. საქმის ვითარებას არ ცვლის კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ ზ. ლ-ძეს თავდაპირველად სასამართლოს მიერ გზავნილები ხაშურში ეგზავნებოდა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მიერ 31.05.07წ. ხარვეზის შესახებ განჩინება არაერთხელ იქნა გაგზავნილი მხარის ორივე მისამართზე და ბოლოს 02.11.07წ. გზავნილი 07.11.07წ. პირადად ჩაჰბარდა ზ. ლ-ძეს ქ. გორში, ... ქ. ¹⁴, ბინა 33-ში მდებარე მისამართზე, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით (საქმეში დაცული გზავნილების თანახმად აპელანტი 16.05.07წ. განჩინებაში, სააპელაციო საჩივარში, მითითებულ მისამართზე (ქ. გორი, ... ქ. ¹⁶) არ ცხვრობდა). ამდენად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს ზ. ლ-ძისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.05.07წ. ხარვეზის შესახებ განჩინების 07.11.07წ. ჩაბარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.07წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ლ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 26.11.07წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უწყების ჩაბარებაზე

განჩინება

1ბს-198-193(კს-08)

4 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

27.06.06წ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დავით მოდებამის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის 14000 ლარის ჯარიმის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.06წ. განჩინებით საქმე განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ხოლო ამ უკანასკნელის 03.11.06წ. განჩინებით, საქმე განსჯადობით გადაეგზავნა ახალციხის რაიონის სასამართლოს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 22.02.07წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ დ. მ-ძეს 3000 ლარის გადახდა დაეკისრა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. მ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.07წ. განჩინებით დ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს გაშვებული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით განსაზღვრული გასაჩივრების 14-დღიანი ვადა. აპელანტს სააპელაციო საჩივარი შეტანილი ჰქონდა 26.07.07წ., მაშინ როდესაც, ახალციხის რაიონული სასამართლოს 22.02.07წ. გადაწყვეტილება მას 27.03.07წ. ჩაჰბარდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.11.07წ. განჩინებით დ. მ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.10.07წ. განჩინება და სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიღების ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული შეტყობინების დასტური არ შეიცავდა დ. მ-ძის ხელმოწერას ან მის მიერ საფოსტო გზავნილის ჩაბარების თარიღზე მითითებას. ამასთან, ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისადმი მიმართვის წერილში აღნიშნული გარემოება, რომ დ. მ-ძეს სასამართლო გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 03.04.07წ., რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი არ იყო, უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის მიღებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.01.08წ. განჩინებით დ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი რაიონული სასამართლოს 22.02.07წ. გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს "საქართველოს ფოსტის" ახალციხის ფილიალის 14.01.08წ. 15 წერილის თანახმად, დ. მ-ძეს რაიონული სასამართლოს 22.02.07წ. გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 27.03.07წ., ხოლო სააპელაციო საჩივარი მხარემ შეიტანა 26.06.07წ., შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს გაშვებული ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით განსაზღვრული გასაჩივრების 14-დღიანი ვადა და არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.01.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. მ-ძემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის. დ. მ-ძემ განმარტა, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მას არ ჩაჰბარებია 27.03.07წ., როგორც ამას "საქართველოს ფოსტის" ახალციხის ფილიალის წარმომადგენელი განმარტავს სასამართლოსათვის გაგზავნილ წერილში, იმავე ფოს-

ტის 12.02.08წ. წერილის თანახმად, 2007 წლის მარტსა და აპრილში ახალციხის სასამართლო-დან შეკვეთილი წერილი შეტყობინებით 1411 დ. მ-ძის სახელზე ფოსტაში არ მიუღიათ. შესაბამისად, მას გადაწყვეტილება ვერ ჩაჰბარდებოდა 27.03.07წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 06.03.08წ. განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული დ. მ-ძის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის და განსაზღვრული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. სსკ-ის 369.1 მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. სსკ-ის 369.1 მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. სსკ-ის 73.8 მუხლით განსაზღვრულია, რომ ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. საქმეში დაცული ჩაბარების დასტური არ არის ხელმოწერილი ადრესატის მიერ, რის გამოც მისი მეშვეობით სადავო გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი ვერ იქნა დადასტურებული. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დ. მ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპოვებული იქნა დ. მ-ძისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. კერძოდ, საქმეში დაცულია შპს "საქართველოს ფოსტის" ახალციხის ფილიალის 14.01.08წ. 15 წერილი, რომლის თანახმად, 1762 საფოსტო გზავნილი ახალციხის ფოსტამ მიიღო 26.03.07წ., ხოლო ადრესატს ჩაჰბარდა 27 მარტს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო გზავნილის ჩაბარებას ადრესატისათვის 27.03.07წ. არ გამოორიგხავს შპს "საქართველოს ფოსტის" ახალციხის ფილიალის 12.02.08წ. წერილი, რომლის თანახმად, 2007 წლის მარტსა და აპრილში ახალციხის სასამართლოდან შეკვეთილი წერილი შეტყობინებით 1411 დ. მ-ძის სახელზე საფოსტო განყოფილებაში არ შესულა. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს 09.09.94წ. 101/151 ბრძანებით დამტკიცებული "საფოსტო წესების" 328-ე პუნქტის თანახმად, შეკვეთილი შეტყობინებები იგზავნება იმავე ნომრებით, რომლითაც საფოსტო გზავნილება შემოვიდა. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სადავო გზავნილს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი საფოსტო ნომერი. შპს "საქართველოს ფოსტის" ახალციხის ფილიალის 14.01.08წ. 15 წერილის თანახმად, დ. მ-ძის სახელზე დამისამართებული გზავნილის ნომერია 1762. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03.01.08წ. მიმართვის თანახმად, ახალციხის რაიონული სასამართლოს 22.02.07წ. გადაწყვეტილება დ. მ-ძეს გაეგზავნა 1762 გზავნილით. შესაბამისად, დ. მ-ძის სახელზე დამისამართებული გზავნილის ნომერი არ არის 1411.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.08წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-ე-420-ე, 411-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. დ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.01.08წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უწყების ჩაბარებაზე

განჩინება

1ბს-320-311(კს-08)

9 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს "...-ს" დირექტორის – რ. ს-ძის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "...-მ" სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ, რომლითაც მოპასუხის 23.03.07წ. ¹227 ბრძანების ბათილად ცნობა, აღნიშნული ბრძანებით გამოცხადებული აუქციონის ჩატარების შეჩერება და უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების საფუძველზე, მოპასუხისათვის მათ მიერ დადგენილ ფასებში სადავო მიწის ნაკვეთზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმების დავალება მოითხოვა.

შპს "...-მ" და ი/მ "ა. ჩ-ძის" უფლებამონაცვლე ნ. ტ-შმა 02.08.07წ. დამატებითი სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიის, შპს "...-ისა" და მესამე პირის – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, რომლითაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის 30.04.07წ. სააუქციონო ვაჭრობის ¹⁵ ოქმის დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მერიის 04.05.07წ. ¹⁴⁰⁵ ბრძანების, 27.04.07წ. ¹⁰¹, 23.05.07წ. ¹¹ საგადასახადო დავალებების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნასყიდობის ¹⁸ რეესტრი ¹¹⁻⁵⁰⁸⁴ ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 03.10.07წ. საოქმო განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ი/მ "ა. ჩ-ძის" უფლებამონაცვლის – ნ. ტ-შის მოთხოვნის ნაწილში ქ. ბათუმის მერიისა და შპს "...-ის" მიმართ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის მოტივით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 03.10.07წ. განჩინებით შპს "...-ს" სარჩელი ქ. ბათუმის მერიისა და შპს "...-ის" მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ნაწილში არ იქნა დასაშვებად მიჩნეული და საქმის წარმოება ამ ნაწილში შეწყდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.10.07წ. გადაწყვეტილებით შპს "...-ს" სარჩელი ქ. ბათუმის მერიისა და შპს "...-ის" მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.10.07წ. გადაწყვეტილება 29.01.08წ. სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ", რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინებით შპს "...-ს" დირექტორ რ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტება გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. სააპელაციო პალატამ საქმში არსებული გზავნილით, რომლითაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.10.07წ. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა შპს "...-ს", დასტურდება, რომ იგი 11.01.08წ. ჩაპბარდა საზოგადოების დირექტორის მეუღლეს გადასაცემად, ხოლო მხარის მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 29.01.08წ., მაშინ, როდესაც აპელანტს მისი გასაჩივრების უფლება ჰქონდა 2008 წლის 26 იანვრამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "...-ს" დირექტორ რ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინება 21.03.08წ. კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს "...-ს" დირექტორმა რ. ს-მემ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განსახილველად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატამ ისე მიიღო საქმეზე გადაწყვეტილება, რომ არ გაარკვია, თუ როდის გადაეცა აპელანტს გადაწყვეტილების ასლი, კერძოდ, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს ზ. ს-ძის ოჯახი და ამასთან, განლაგებულია შპს "...-ს" ოფისი. აპელანტ რ. ს-მეს მეუღლე არ ჰყავს და არასდროს არ ჰყოლია, მართლაც, ზ. ს-ძის მეუღლემ – თ. ს-მემ გადასცა მას გადაწყვეტილების ასლი 20.01.08წ-ის შემდეგ. მანამდე იგი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, ადგილზე არ იმყოფებოდა. ამასთან, რ. ს-მე ცხოვრობს სხვა მისამართზე ქ. ბათუმში, ... ქ. 172^ა, ბინა 45-ში, ... ქუჩაზე კი განლაგებულია ოფისი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე და 74-ე მუხლების თანახმად, მხარეს უწყება უნდა ჩაჰბარდეს პირადად; მისი არყოფნის შემთხვევაში გადასაცემად დატოვებული უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ამდენად, რ. ს-მეს უწყება გადაეცა 20 იანვარს და გასაჩივრების ვადის ათვლაც უნდა დაწყებულიყო 2008 წლის 20 იანვრიდან. თვით ფაქტი, რომ უწყება გადასაცემად დაუტოვებს სხვა პირს და არა მეუღლეს (მეუღლე ს-მეს არ ჰყავს) და პირადად მას არ მიუღია, სადავო არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "...-ს" დირექტორ რ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 24.10.07წ. გადაწყვეტილების შემცველი გზავნილის ჩაბარების დროს – 11.01.08წ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის რედაქცია ითვალისწინებდა უწყების ჩაბარებას მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციისათვის, უწყების მიმღები ვალდებული იყო, უწყება დაუყოვნებლივ ჩაებარებინა ადრესატისათვის. ჩაბარებულად ითვლებოდა როგორც უწყების პირადად გადაცემა, ასევე – უწყების მიმღების მიერ ადრესატისათვის უწყების შინაარსის ცნობება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "...-ს" დირექტორ რ. ს-ძის მიერ კერძო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ გზავნილი ჩაჰბარდა ზ. ს-ძის მეუღლეს და მას 20.01.08წ. გადასცეს, არ ცვლის საქმის შედეგს. საქმეში დაცულია ფოსტის მუშაკის მიერ ხელმოწერით დამოწმებული გზავნილი, რომლითაც დგინდება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 11.01.08წ. გადასაცემად ჩაიბარა ნ. ს-მემ, რ. ს-ძის მეუღლემ, ხოლო კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა რ. ს-ძის ქორწინებაში არყოფნის ფაქტს. საქმის ვითარებას არ ცვლის კერძო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ რ. ს-მე ცხოვრობს ქ. ბათუმში, ... ქ. 172^ა, ბინა 45-ში, ხოლო ... ქუჩაზე განლაგებულია მათი ოფისი, რადგან სასარჩელო განცხადებაში რ. ს-ძის მიერ შპს "...-ს" მისამართი მითითებულია ქ. ბათუმი, ... ქ. 113, ბინა 134 და სწორედ ამ მისამართზე ეგზავნებოდა და ჰბარდებოდა უწყებები მოსარჩელეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაჰბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით, ხოლო 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელში მიუთითოს იმ მისამართზე, რომელზეც სურს, რომ სასამართლომ გაუგზავნოს უწყება. ალტერნატიული მისამართის (71-ე მუხ.) ან მისამართის შეცვლის შესახებ (სსკ-ის 76-ე მუხ.) მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "...-ს" დირექტორის _ რ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი უწყების ჩაბარებაზე

განჩინება

1ბს-399-383(კს-08) 16 ივლისი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.08წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. წ-მემ და სხვებმა (სულ 132 პირმა) 28.02.05წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების _ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და სს "...-ის" მიმართ, რომლითაც მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისთვის მოსარჩელებების სასარგებლოდ 395717 ლარის დაკისრება მოითხოვეს.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად _ მოპასუხე სს "...-ს" დაეკისრა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდში მოსარჩელეთა სიების დროული წარდგენა, ხოლო მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს _ მოსარჩელეთა სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების გადახდა, საერთო თანხით _ 395717 ლარი.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილება 27.12.07წ. სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.08წ. განჩინებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ვადა _ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში ამავე კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის კანონით დადგენილი წესით ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ტყიბულის რაიონული სასამართლოს მიერ 23.03.05წ. არის მიღებული, ხოლო აპელანტმა სააპელაციო საჩივარი საფოსტო ყუთში 21.12.07წ. მოათავსა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაავალა, წარმოედგინათ მათ მიერ გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სოციალური სუბსიდიების სააგენტომ 01.02.08წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ხარვეზის შევსების მიზნით წარმოადგინა გ. ლ-შვილის განცხადება, რომელსაც დართული ჰქონდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მათთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტით ადასტურებდნენ მათი მხრიდან სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის დაცვას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.02.08წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად საქმის განხილვა ჩაინიშნა 26.02.08წ. 16 საათზე. ამასთან, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 07.02.08წ. წერილით ეცნობა, რომ ქუ-

თაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დანიშნული იყო სხდომა მათი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად, რის გამო აპელანტისგან ითხოვდნენ, სასწრაფოდ გადაეგზავნათ ან სასამართლო სხდომაზე წარმოედგინათ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში შემოსულ კორესპონდენციათა რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც რეგისტრირებული იქნებოდა ფონდში შესული კორესპონდენციები 2005 წლის თებერვლიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.08წ. განჩინებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენელ ე. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 26.02.08წ. სასამართლო სხდომაზე მხარეები არ გამოცხადდნენ. სასამართლომ შეიწავლა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ იგი დაუშვებლობის გამო უნდა დარჩენილიყო განუხილველი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებს შეეძლოთ კანონით დადგენილ ვადაში გაესაჩივრებინათ სააპელაციო სასამართლოში. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტება გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით, კერძოდ, საქმეში არსებული გზავნილით დადგინდად მიიჩნია, რომ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილების ასლი საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს 28.03.05წ. გაეგზავნა და 12.04.05წ. ჩაჰბარდა, ხოლო სააპელაციო საჩივარი საფოსტო ყუთში მოთავსებულ იქნა 21.12.07წ. მაშინ, როდესაც მხარეს მისი გასაჩივრების უფლება ჰქონდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, ე.ი. 2005 წლის 12 აპრილიდან 14 დღის ვადაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.08წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სოციალური სუბსიდიების სააგენტომ, რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება და განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შესახებ 11.12.07წ. გაიგო, როდესაც გ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით და წარადგინა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება. აღნიშნულის თაობაზე მითითებული იყო სააპელაციო საჩივარშიც, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის დასადასტურებლად, ხელმოკრედ გაუგზავნეს გ. ლ-შვილის განცხადება, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა დანართის სახით აღნიშნული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სააგენტოში ფაქსით მიღებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი, რომლითაც მოეთხოვათ მითითებული პერიოდის სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოდგენა, ამავდროულად ეცნობათ სასამართლო სხდომის დანიშვნის დღე, თუმცა განჩინებაში არაფერი იყო მითითებული წერილით მოთხოვნილი ინფორმაციის თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სააგენტოში შესული კორესპონდენციის აღრიცხვა ხდებოდა კომპიუტერული ბაზის მეშვეობით, შესაბამისად, სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2005 წლის თებერვლიდან 2005 წლის მაისამდე და შემდგომი პერიოდის შესახებ, კერძოდ, იყო თუ არა რეგისტრირებული გ. ლ-შვილის განცხადებამდე 23.03.05წ. ტყიბულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რაზედაც სააგენტოს შესაბამისი სამსახურიდან მიიღეს წერილობითი პასუხი, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არც ფონდში და არც რეორგანიზაციის შემდგომ სააგენტოში რეგისტრირებული არ ყოფილა. აღნიშნული მტკიცებულებები წარდგენილ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენელ შ. კ-შვილის მიერ სხდომის დღეს, მაგრამ, როგორც წარმომადგენლისათვის ზეპირი ინფორმაციით გახდა ცნობილი, სასამართლოს უკვე გამოტანილი ჰქონდა განჩინება სააგენტოს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების ასლი ფონდს 12.04.05წ. ჩაჰბარდა, რის საფუძვლადაც უთითებს საქმეში, მოთავსებულ ფოსტის ქვითარზე, რაც გადაწყვეტილების გაგზავნის და არა ჩაბარების დასტურია. სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნები, ასევე არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულება, რომლითაც თითქოსდა დასტურდება გადაწყვეტილების ჩაბარების ფაქტი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატას საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილება მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს 28.03.05წ. გაეგზავნა. ამასთანავე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება (უკან დაბრუნებული კონვერტი), რომელიც დაადასტურებდა მოპასუხისათვის შეკვეთილი წერილის ჩაუბარებლობის ფაქტს. საქმეში დაცული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ¹527 შეტყობინებით დგინდება, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილების შემცველი საფოსტო გზავნილი 12.04.05წ. ჩაჰბარდა. საკასაციო პალატა ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლეს) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 07.02.08წ. წერილით ეცნობა, რომ მათი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დანიშნული იყო სასამართლო სხდომა და ეთხოვათ სასწრაფოდ წარმოედგინათ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში შესულ კორესპონდენციათა რეგისტრაციის ჟურნალი, სადაც რეგისტრირებული იქნებოდა 2005 წლის თებერვალ-მაისში ფონდში შესული კორესპონდენციები. კერძო საჩივრის ავტორმა ზემოაღნიშნული მტკიცებულება სასამართლოს არ წარუდგენია, ხოლო სააგენტოს წარმომადგენელი სასამართლო პროცესზე დანიშნულ დროს არ გამოცხადდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს მოთხოვნებს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით ჩაუბარებლობის ფაქტს. გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებას ვერ უარყოფს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 25.02.08წ. სამსახურებრივი ბარათი. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმეში ინახება ფოსტის ქვითარი, გადაწყვეტილების გაგზავნის და არა ჩაბარების თაობაზე. საქმეში დაცულია საფოსტო გზავნილის ასლი, რომლითაც დგინდება, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს 23.03.05წ. გადაწყვეტილება 28.03.05წ. გაეგზავნა. საქმეში ასევე დაცულია საქართველოს ფოსტის ტყიბულის ფილიალის მიერ გაცემული დასტური, რომლითაც დგინდება, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ტყიბულიდან სასამართლოს გადაწყვეტილება 05.04.05წ. გაეგზავნა, ადრესატს 12.04.05წ. ჩაბარდა და ტყიბულის საფოსტო განყოფილებას 13.04.05წ. დაუბრუნდა. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს 09.09.94წ. ¹01/151 ბრძანებით დამტკიცებული "საფოსტო წესების" 143-ე პუნქტის თანახმად, შეკვეთილ საფოსტო გზავნილებათა მიღებაზე ადრესატი ხელს აწერს შეტყობინებაზე, რომელსაც ფოსტალიონი აბრუნებს კავშირგაბმულობის საწარმოში. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საფოსტო გზავნილების მიღებაზე ხელმოწერილი შეტყობინება დაუბრუნდა ტყიბულის რაიონულ სასამართლოს, რაც ადასტურებს ადრესატისათვის გზავნილის ჩაბარების ფაქტს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა აღმკვეთი ხასიათისაა, მისი გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს რაიონული სასამართლოს 23.03.05წ. გადაწყვეტილება 12.04.05წ. ჩაჰბარდა, ხოლო აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტით 21.12.07წ. გაგზავნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 26.02.08წ. განჩინება, რომლითაც სოციალური სუბსიდიების სააგენტოს წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, კანონიერია და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის 26.02.08წ. განჩინების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.02.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ბს-1603-1557(კს-08) 18 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ნ. და დ. გ-ძეების განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 12 აგვისტოს ვ. გ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის, ქ. თბილისის მე-რიის, თბილისის მთავარი საპატრულო პოლიციისა და მესამე პირების – ნ. კ-ანის, გ. შ-ძის, მ. გ-ძისა და სხვათა მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. 17 და 19 სახლებს შორის არსებული გზის დასაწყისსა და ბოლოში მოძრაობის ამკრძალავი ნიშნების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, სახლის დაზიანებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ვ. გ-ძემ და მესამე პირებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის საოქმო განჩინებით, მოპასუხე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობა შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – ძველი თბილისის რაიონის გამგეობით.

2008 წლის 21 იანვარს ვ. გ-ძის წარმომადგენელმა – ნ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა დედის – აპელანტ ვ. გ-ძის გარდაცვალების გამო საქმის წარმოების შეჩერება.

2008 წლის 1 აპრილს ვ. გ-ძის შვილებმა – მ. და ნ. გ-ძეებმა სასამართლოს წარუდგინეს დედის – ვ. გ-ძის გარდაცვალების მოწმობის ასლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა 2008 წლის 19 სექტემბრამდე, ვ. გ-ძის გარდაცვალების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ვ. გ-ძის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

2008 წლის 11 ნოემბერს დ. გ-ძემ განცხადება-შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა დედის – ვ. გ-ძის უფლება-

მონაცვლედ ცნობა, ხოლო თავისი დის _ ნ. გ-ძის მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმა. მან განცხადებას დაურთო 2008 წლის 27 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვითაც, დ. და ნ. გ-ძეები არიან აწ გარდაცვლილი ვ. გ-ძის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები.

თბილისის სააკველიაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დ. გ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება ვ. გ-ძის სარჩელზე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება; დ. და ნ. გ-ძეები მოცემულ საქმეში დავის საგნის _ ქ. თბილისში, ... ქ. 17 და 19 სახლებს შორის არსებულ გზის დასაწყისსა და ბოლოში მოძრაობის ამკრძალავი ნიშნების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისა და სახლის დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ცნობილ იქნენ აწ გარდაცვლილი ვ. გ-ძის უფლებამონაცვლებად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. და დ. გ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და აწ გარდაცვლილ ვ. გ-ძის უფლებამონაცვლედ დ. გ-ძის ცნობა, ხოლო დ. გ-ძის მხარეს მესამე პირად საქმეში ნ. გ-ძის ჩაბმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. და დ. გ-ძეების კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე დაუსაბუთებლობის მოტივით. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორებს დაევალიათ, წარმოედგინათ დასაბუთებული კერძო საჩივარი და განჩინებაში აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრათ ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრის ავტორებს გაეგზავნათ 2008 წლის 23 დეკემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის დასტურიდან ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორების მიერ მითითებულ მისამართზე, ქ. თბილისი, ... ქ. 19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინების ასლი ჩაჰბარდა პირადად ნ. გ-ძეს 2008 წლის 25 დეკემბერს, ხოლო ხარვეზი გამოსწორებულ იქნა სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის დარღვევით _ 2009 წლის 9 იანვარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით ნ. და დ. გ-ძეების კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2009 წლის 13 თებერვალს ნ. და დ. გ-ძეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმება და კერძო საჩივრის არსებითად განხილვა იმ მოტივით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაჰბარდა არა პირადად ნ. გ-ძეს, არამედ დ. გ-ძის შვილს _ ხ. გ-ძეს, რომელმაც კერძო საჩივრის ავტორებს განჩინება გადასცა 2009 წლის 8 იანვარს და ვერ დააკონკრეტა, როდის ჩაიბარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გზავნილი. ამ შემთხვევაში, განმცხადებლების აზრით, სასამართლოს მიერ ვადის ათვლა უნდა მოხდეს განჩინების მათზე გადაცემის და არა ამ განჩინების მათი ოჯახის წევრზე ჩაბარების დღიდან, ვინაიდან ეს იყო სასამართლოს გზავნილი, რომელზეც არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და ნ. და დ. გ-ძეების განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის არსებითად განხილვის თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ჰბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

ზემოაღნიშნული კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელიც ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს განმცხადებლების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული 10-დღიანი ვადა უნდა აითვალოს განჩინების არა ოჯახის რომელიმე წევრზე ჩაბარებიდან, არამედ მათზე პირადად გადაცემიდან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს განმცხადებლის მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინების ასლის ხ. გ-ძისათვის ჩაბარების თაობაზე, აღნიშნული ვერ იქცევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძვლად, ვინაიდან, როგორც თავად განმცხადებლები მიუთითებენ, ხ. გ-ძე არის კერძო საჩივრის ავტორის _ დ. გ-ძის სრულწლოვანი შვილი. შესაბამისად, უწყების მითითებული პირისათვის ჩაბარება, კი ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ითვლება უწყების მხარისათვის ჩაბარებად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმებისა და განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

1ბ-870-6(ა-09)

18 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
მ. ცისკაძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 12 აგვისტოს ვ. გ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების _ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის, ქ. თბილისის მე-რიის, თბილისის მთავარი საპატრულო პოლიციისა და მესამე პირების _ ნ. კ-ანის, გ. შ-ძის, მ. გ-ძისა და სხვათა მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. 17 და 19 სახლებს შორის არსებული გზის დასაწყისსა და ბოლოში მოძრაობის ამკრძალავი ნიშნების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, სახლის დაზიანებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ვ. გ-ძემ და მესამე პირებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის საოქმო განჩინებით, მოპასუხე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობა შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – ძველი თბილისის რაიონის გამგეობით.

2008 წლის 21 იანვარს ვ. გ-ძის წარმომადგენელმა – ნ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას და მოითხოვა დედის – აპელანტ ვ. გ-ძის გარდაცვალების გამო საქმის წარმოების შეჩერება.

2008 წლის 1 აპრილს ვ. გ-ძის შვილებმა – დ. და ნ. გ-ძეებმა სასამართლოს წარუდგინეს დედის – ვ. გ-ძის გარდაცვალების მოწმობის ასლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა 2008 წლის 19 სექტემბრამდე, ვ. გ-ძის გარდაცვალების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ვ. გ-ძის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

2008 წლის 11 ნოემბერს დ. გ-ძემ განცხადება-შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა დედის – ვ. გ-ძის უფლებამონაცვლედ ცნობა, ხოლო თავისი დის – ნ. გ-ძის საქმეში მესამე პირად ჩაბმა. მან განცხადებას დაურთო 2008 წლის 27 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვითაც დ. და ნ. გ-ძეები არიან აწ გარდაცვლილი ვ. გ-ძის პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ნოემბრის განჩინებით დ. გ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება ვ. გ-ძის სარჩელზე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება; დ. და ნ. გ-ძეები მოცემულ საქმეში დავის საგნის – ქ. თბილისში, ... ქ. 17 და 19 სახლებს შორის არსებულ გზის დასაწყისსა და ბოლოში მოძრაობის ამკრძალავი ნიშნების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისა და სახლის დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ცნობილ იქნენ აწ გარდაცვლილი ვ. გ-ძის უფლებამონაცვლეებად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. და დ. გ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და აწ გარდაცვლილ ვ. გ-ძის უფლებამონაცვლედ დ. გ-ძის ცნობა, ხოლო დ. გ-ძის მხარეს მესამე პირად საქმეში ნ. გ-ძის ჩაბმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ნ. და დ. გ-ძეების კერძო საჩივარი დატოვებულ იქნა ხარვეზზე დაუსაბუთებულობის მოტივით. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორებს დაევალიათ წარმოედგინათ დასაბუთებული კერძო საჩივარი და განჩინებაში აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრათ ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრის ავტორებს გაეგზავნათ 2008 წლის 23 დეკემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის დასტურიდან ირკვეოდა, რომ კერძო საჩივრის ავტორების მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქ. 19, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინების ასლი ჩაჰბარდა პირადად ნ. გ-ძეს 2008 წლის 25 დეკემბერს, ხოლო ხარვეზი გამოსწორებულ იქნა სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის დარღვევით – 2009 წლის 9 იანვარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით ნ. და დ. გ-ძეების კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2009 წლის 13 თებერვალს ნ. და დ. გ-ძეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმება და კერძო საჩივრის არსებითად განხილვა იმ მოტივით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 დეკემბრის ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაჰბარდა არა პირადად ნ. გ-ძეს, არამედ – დ. გ-ძის შვილს – ხ. გ-ძეს, რომელმაც კერძო საჩივრის ავტორებს განჩინება გადასცა 2009 წლის 8 იანვარს და ვერ დააკონკრეტა, როდის ჩაიბარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გზავნილი. ამ შემთხვევაში, განმცხადებლების აზრით, სასამართლოს მიერ ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო განჩინების მათზე გადაცემის და არა ამ განჩინების მათი ოჯახის წევრზე ჩაბარების დღიდან, ვინაიდან ეს იყო სასამართლოს გზავნილი, რომელზეც არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 თებერვლის განჩინებით ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 9 მარტს ნ. და დ. გ-ძეებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრისა და 18 თებერვლის განჩინებების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ უწყების ჩამბარებელი პირი – ხ. გ-ძე არ არის დ. გ-ძის შვილი, იგი არის მათი გარდაცვლილი ძმის – ტ. გ-ძის შვილი, რომელიც რეგისტრირებულია და ცხოვრობს წყალტუბოს რაიონის სოფ. ...-ში. შესაბამისად, განმცხადებლების აზრით, იგი არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მიხედვით გათვალისწინებულ ოჯახის წევრს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობისა და ნ. და დ. გ-ძეების განცხადების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრისა და 18 თებერვლის განჩინებების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ჰზარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

აღნიშნული კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამასთან, ხსენებული ნორმა ითვალისწინებს უწყების მიმღები პირის ვალდებულებას, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხ. გ-ძე ნ. და დ. გ-ძეებთან თანამცხოვრებ პირს არ წარმოადგენდა, რადგან რეგისტრირებულია და ცხოვრობს წყალტუბოს რაიონის სოფ. ...-ში. შესაბამისად, ზემოაღნიშნული განჩინების ჩაბარება ვერ ჩაითვლებოდა ნ. და დ. გ-ძეებზე ჩაბარებად.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში დაცული არის გზავნილი, რომელსაც ხელს აწერს კერძო საჩივრის ავტორების ძმისშვილი – ხ. გ-ძე. ამასთან, ხსენებული გზავნილით არ დასტურდება, რომ ხ. გ-ძემ უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევდა საფუძველს მიეჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინება ჩაჰბარდა ნ. და დ. გ-ძეებთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს. ამასთან, ხსენებული განჩინების ასლი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა ნ. და დ. გ-ძეებს მათ მიერ კერძო საჩივარში მითითებულ მისამართზე. საგულისხმოა, რომ ნ. და დ. გ-ძეების ძმისშვილმა – ხ. გ-ძემ ჩაიბარა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის ხარვეზის განჩინება, თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, გზავნილი გადაეცა ადრესატისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაგზავნილის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის ხარვეზის განჩინების) ნ. და დ. გ-ძეების ძმისშვილის – ხ. გ-ძისათვის ჩაბარება ითვლება განჩინების ნ. და დ. გ-ძეებისათვის ჩაბარებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრისა და 18 თებერვლის განჩინებების გაუქმებისა და ახლად აღმოჩე-

ნილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს სამართლებრივი საფუძველის არ არსებობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 423-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. და დ. გ-ძეების განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრისა და 18 თებერვლის განჩინებების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარების წესი

განჩინება

16ს-1288-1248(კ-08) 16 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ტ. ჩ-ძის და შპს "...-ს" საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისისა და 4 აგვისტოს განჩინებებზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, საქმეზე – სს "...-ის" სარჩელისა გამო მოპასუხე ტ. ჩ-ძე და შპს "...-ს" მიმართ, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელემ – შპს "...-მ" 2000 წლის ივნისში სარჩელით მიმართა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების შპს "...-სა" და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და სახაზინო საწარმო "...-ს" შორის 1999 წლის 25 მარტს დადებული იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სს "...-ზე" გადაცემული და შესასყიდი შენობის ფართიდან 49.59 კვ.მ. ფართის ამორიცხვა, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსათვის დავალება მათ მიერ შედგენილ გეგმა-ნახაზში შესწორება შეიტანოს იმ კუთხით, რომ სახაზინო საწარმო "...-ს" ფლობს მხოლოდ 237.41 კვ.მ-ს, ხოლო 49.59 კვ.მ ფართი ეკუთვნის ელ. სადგურს.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს – შპს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი 1999 წლის 25 მარტის, დქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და სახაზინო საწარმო "...-ს" შორის იჯარა-გამოსყიდვის ფორმით დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება 49.59 კვ.მ-ის ნაწილში, სადაც განლაგებულია ელექტროქვესადგური. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს დაევალა ცვლილებების შეტანა სახაზინო საწარმო "...-ის", ამჟამად შპს "...-ს", მდებარე თბილისში, გურამიშვილის გამზირის 15-ში, გეგმა-ნახაზში 287 კვ.მ-ის ნაწილში. შპს "...-ს" ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში აღრიცხული 287 კვ.მეტრიდან ამორიცხა 49.59 კვ.მ, სადაც განლაგებულია ელექტროქვესადგური და მასზე დარჩა გეგმა-ნახაზში 237.41 კვ.მ გვაფორმებულად.

ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-ს" დირექტორმა და თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 15 აპრილის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სს "...".

ამავე სასამართლოს 2002 წლის 22 ივლისის განჩინებით შპს "...-ს" შეიცვალა სათანადო მოპასუხით, ფიზიკურ პირ ტ. ჩ-მით, შპს "...-ს" კი საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ და შპს "...-მ".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 17 ივლისის განჩინებით შპს "...-ს" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 2 დეკემბრის განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 ნოემბრის განჩინებით შპს "...-ს" ცნობილ იქნა არასთანადო მოსარჩელედ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით სათანადო მოსარჩელედ დადგენილი იქნა სს "თელასი".

შპს "...-მ" და ტ. ჩ-მემ 2008 წლის 3 ივლისის განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა ყადაღის დადება ქ. თბილისში, ... გამზირი 15-ში მდებარე, სახელმწიფოს სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ, არასაცხოვრებელ 49.56 კვ.მ-ზე და 61 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. განმცხადებელმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ მოცემული დავის საბოლოო გადაწყვეტამდე შპს "...-ს" ყველანაირად ცდილობს სადავო ფართზე მიადწიოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას სს "...-სა" და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის; განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნული გაართულებს მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით განმცხადებელ შპს "...-ს" და ტ. ჩ-მეს დაევა ხარვეზის შევსება; კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღეში წარედგინა ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი რომლითაც დადასტურდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღადასადებ უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება და განცხადების განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებით შპს "...-ს" და ტ. ჩ-მის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლი 22 ივლისის გადაწყვეტილებით შპს "...-ს" და ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა. ქალაქ თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და ტ. ჩ-მეს (შპს "...-ს") შორის ქ. თბილისში, ... გამზირის 15-ში მდებარე სახაზინო საწარმო "...-ის" ქონებაზე დადებული იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულება შენობის 49.59 კვ.მ-ის ნაწილში, სადაც მოთავსებულია ელექტროქვესადგური, ცნობილ იქნა ბათილად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებაზე საჩივარი შეიტანა შპს "...-მ" და ტ. ჩ-მემ და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება. საჩივარში მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მათი განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განუხილველად, რადგან ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება არ ჩაბარებია 2008 წლის 15 ივლისს. შეტყო-

ბინების ბარათზე გზავნილის ჩაბარების შესახებ ხელმოწერა არ არის ტ. ჩ-ძის მიერ შესრულებული და პირადობის მოწმობა 101009021898 მას არ ეკუთვნის. ტ. ჩ-ძე საჩივარში მიუთითებს, რომ ხარვეზის შევსების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მისმა წარმომადგენელმა რ. პ-ვამ მიიღო 2008 წლის 16 ივლისს, რომელმაც იმავე დღეს შეატყობინა ტელეფონით და მან კი იმავე დღესვე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით; ასევე, საჯარო რე-ეტრში შეიტანა განცხადება ამონაწერის მიღების თაობაზე. საჩივარში ასევე აღნიშნული, რომ მის მიერ ხარვეზი შევსებულ იქნა სასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში 2008 წლის 21 ივლისს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ – საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სააპელაციო პალატის განჩინება დასაბუთებულია იმით, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი ჩაჰბარდა ტ. ჩ-ძის მეუღლე გ. ჩ-ძეს 2008 წლის 15 ივლისს, რაც დასტურდება მის მიერ შეტყობინების ბარათზე გზავნილის ჩაბარების შესახებ ხელმოწერით და პირადობის მოწმობის ნომრით; სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ პირადობის მოწმობის მითითებული 101009021898 ეკუთვნის ტ. ჩ-ძის მეუღლე გ. ჩ-ძეს. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის I ნაწილი და ჩათვალა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ჩაჰბარდა შპს "...-ს" დირექტორის და ტ. ჩ-ძის ოჯახის წევრს, მეუღლეს, რის გამოც ხარვეზის შევსების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მათთვის ჩაბარების მომენტიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისისა და 4 აგვისტოს განჩინებები შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით განმცხადებელ შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძეს დაევალია ხარვეზის შევსება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში განჩინების ასლის ჩაბარებიდან 3 დღეში წარედგინა ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღადასადებ უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება და განცხადების განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. აღნიშნული განჩინება შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძეს საქმეში მითითებულ მისამართზე გაეგზავნათ 2008 წლის 7 ივლისს, რომელიც შპს "...-ს" ჩაჰბარდა 2008 წლის 15 ივლისს, ხოლო ხარვეზის შევსების შესახებ განცხადება მის მიერ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2008 წლის 21 ივლისს, ანუ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გავლის შემდეგ.

მართალია შპს "...-ს" დირექტორი და ტ. ჩ-ძე საჩივარში განმარტავენ, რომ შეტყობინების ბარათზე გზავნილის ჩაბარების შესახებ მითითებული პირადი ნომერი და ხელმოწერა მისი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში საკასაციო პალატა სრულიად იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ს.ფ. 472-ით უდავოდ დასტურდება ის ფაქტი, რომ ტ. ჩ-ძის მეუღლემ და შპს "...-ს" წარმომადგენელმა გ. ჩ-ძემ 2008 წლის 15 ივლისს პირადად ჩაიბარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ ჩაბარების დასტურზე აღნიშნულია მისი პირადი 101009021898.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს; ხოლო იმავე კოდექსის 74-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი

განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილში კი იმპერატიულად არის მითითებული,

თუ ვის შეიძლება ჩაჰბარდეს უწყება, რომ ჩაითვალოს ჩაბარებულად, კერძოდ, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზეკუტარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ტ. ჩ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხარვეზის შევსების თაობაზე განჩინების ასლი 2008 წლის 15 ივლისს არ ჩაბარებია უფლებამოსილ პირს, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ტ. ჩ-ძემ, როგორც შპს "...-ს" დირექტორმა და ასევე როგორც ფიზიკურმა პირმა გ. ჩ-ძეს მიანიჭა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ყველა საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძის განცხადების განხილვისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც შპს "...-ს" და ტ. ჩ-ძის საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹, 419-ე-420-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. არ დაკმაყოფილდეს ტ. ჩ-ძისა და შპს "...-ს" საჩივარი;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ივლისისა და 4 აგვისტოს განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უწყების ჩაბარება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

¹ბს-785-749(კს-09) 30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 თებერვალს რ. ქ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა 1998-2000 და 2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 963,73 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. ქ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – შსს ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 362,13 ლარის ანაზღაურება, ხოლო ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ქ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ – სასურსათო ულუფის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვე-

ტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის სასურსათო ულუფის – 601,60 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით რ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება 2009 წლის 10 აპრილს ჩაჰბარდა რ. ქ-შვილის დედას, ხოლო 2009 წლის 16 აპრილს, ხარვეზის შევსების მიზნით რ. ქ-შვილის წარმომადგენელმა – ჯ. მ-შვილმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სსსკ-ის 369-ე, 71.1, 74.1, 60.2, 368.5 მუხლებით და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ გაიზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე (ქ. თბილისი, ... დასახლება, ... გზატკეცილის [±]10), განჩინება ჩაჰბარდა აპელანტის დედას 2009 წლის 10 აპრილს, შესაბამისად, განჩინებით დადგენილის ხარვეზის შევსების 5-დღიანი ვადა ამოიწურა 2009 წლის 15 აპრილს, აპელანტის წარმომადგენელმა კი სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2009 წლის 16 აპრილს, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ქ-შვილის წარმომადგენელმა – ჯ. მ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 440-ე მუხლი, რადგან მითითებული ნორმა იმპერატიულად არ ადგენს, რომ უფლებამოსილების განხორციელება იწყება სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით. დღემდე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში მხოლოდ პროცესის დაწყებისას ხდება საადვოკატო უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა და არა საჩივარზე დართავა.

გვარდა აღნიშნულისა, რ. ქ-შვილი ამჟამად არის სამხედრო მოსამსახურე და იგი ვერ გამოასწორებდა ხარვეზს. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება უნდა გაგზავნოდა წარმომადგენელს, რადგან სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზი უშუალოდ წარმომადგენელს ეხებოდა. განჩინება გაეგზავნა რ. ქ-შვილს, რომელიც იმყოფებოდა გორის სამხედრო ნაწილში, განჩინება ჩაიბარა მისმა მოხუცმა დედამ, რომელიც არ იყო საქმის კურსში და ვერ დაუკავშირდა შვილს. რ. ქ-შვილი შემთხვევით ჩამოვიდა თბილისში 2009 წლის 15 აპრილს, სადამოს და მეორე დღესვე – 16 აპრილს გადასცა წარმომადგენელს განჩინება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ თვითონ შექმნა ხარვეზის შევსების ვადის გაშვების წინაპირობა, რითაც დაირღვა კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების ვადის გაშვება მოხდა საპატიოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. ქ-შვილის წარმომადგენლის – ჯ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, კერძო საჩივარში მითითებული დარღვევის არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 440-ე მუხლი, რადგან მითითებული ნორმა იმპერატიულად არ ითვალისწინებს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება იწყება საჩივრის შეტანით.

სსსკ-ის 440-ე მუხლის თანახმად, რომელიც ადგენს წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვას სასამართლო პროცესში, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებულნი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლება-

მოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლები ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

ამდენად, მითითებული ნორმა იმპერატიულად ადგენს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ ადვოკატების მიერ, რომელსაც გავლილი აქვთ ადვოკატთა ტესტირება და გაწვევრიანებულნი არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება გულისხმობს მხარის მიერ ამა თუ იმ პირისათვის საპროცესო უფლებაუნარიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას, საქმის წარმოების მიხედვით პირისათვის, რომელიც ამგვარი შეთანხმების შედეგად, უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ნებისმიერი ან ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ გარკვეული საპროცესო მოქმედებები, მათ შორის მხარის სახელით წარადგინოს საჩივარი.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულების თანახმად, ჯ. მ-შვილს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, რ. ქ-შვილის სახელით განეხორციელებინა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო მოქმედება და მათ შორის გაესაჩივრებინა ნებისმიერი სასამართლო აქტი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სსსკ-ის 440-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი მხოლოდ გარკვეული საპროცესო მოქმედებების შესრულებაზე ვრცელდებოდა და იგი შეზღუდვას აწესებს მხოლოდ სასამართლო განხილვაში წარმომადგენლის მონაწილეობაზე, რადგან მითითებული ნორმა დაუშვებლად მიიჩნევს ნებისმიერი სახის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას, იქნება ეს საჩივრის შეტანა მარწმუნებლის სახელით, თუ სხვა საპროცესო მოქმედება და სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში ამგვარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი რწმუნებულება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას აპელანტისათვის ხარვეზის დადგენისას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსსკ-ის 440-ე მუხლის არასწორად გამოყენებისა და განმარტების შესახებ.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის მითითების შესახებ უნდა გაგზავნოდა წარმომადგენელს, რადგან ხარვეზის გამოსწორება უშუალოდ მას ეხებოდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი აღნიშნულთან დაკავშირებით არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, რადგან მხარეთათვის სასამართლო დოკუმენტების გადაცემის წესს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი. მითითებული კოდექსის 13.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას.

ამდენად, მითითებული ნორმა არ ავალდებულებს სასამართლოს სასამართლო აქტი გაუგზავნოს მხარესაც და მის წარმომადგენელსაც, სასამართლო უფლებამოსილია სასამართლო აქტი გაუგზავნოს ან მხარეს, ან მის წარმომადგენელს და წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დარღვეულა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მხოლოდ მხარისათვის გაგზავნით. ამასთან, სსსკ-ის 74.1 მუხლის შესაბამისად, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში, სასამართლო დოკუმენტი ბარდება ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, რომელიც ვალდებულია დოკუმენტი დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. ამასთან, დოკუმენტის ჩაბარება მითითებული პირისათვის ითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად. სსსკ-ის 74.2 მუხლის შესაბამისად, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში, დოკუმენტის ჩამბარებელმა პირმა უნდა გააკეთოს აღნიშვნა, სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაჰბარდა რა რ. ქ-შვილის დედას, სსსკ-ის 74.1 მუხლის შესაბამისად, ჩაბარებულად ითვლება ადრესატისათვის, ხოლო საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე სსსკ-ის 74.2 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, მინაწერი ადრესატის არყოფნის შესახებ არ არის გაკეთებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მხარისათვის გაგზავნისას და დარღვევის არსებობას ვერ

ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ხარვეზი ეხებოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებას და მისი შევსება შეეძლო მხოლოდ წარმომადგენელს, რადგან ხარვეზი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ და მისი შევსება შეიძლებოდა თავად რ. ქ-შვილის მიერ ხელმოწერილი საჩივრის წარდგენითაც.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს ხარვეზის შევსების ვადის გაშვების საპატიოდ ცნობას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ვადები ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის, როგორც სასამართლოსათვის, ასევე, მხარეთათვის. ამასთან, დადგენილია სასამართლოს მიერ მხარეთათვის განსაზღვრულ საპროცესო ვადაში საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის შედეგები, კერძოდ: თუ მხარემ სასამართლოს მიერ დანიშნულ საპროცესო ვადაში არ შეასრულა საპროცესო მოქმედება, იგი კარგავს ამ მოქმედების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, რ. ქ-შვილმა ხარვეზის განჩინების შესახებ შეიტყო 2009 წლის 15 აპრილს სადამოს, ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის ბოლო დღეს. შესაბამისად, სსსკ-ის 64-ე მუხლის შესაბამისად, რ. ქ-შვილს შესაძლებლობა ჰქონდა, შუამდგომლობით მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ და სსსკ-ის 61.3 მუხლის შესაბამისად ამგვარი შუამდგომლობა შეეტანა საფოსტო განყოფილების მეშვეობით, მაგრამ აპელანტს არც ერთი მითითებული საპროცესო შესაძლებლობით არ უსარგებლია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ რ. ქ-შვილის წარმომადგენლის – ჯ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანემა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ქ-შვილის წარმომადგენლის – ჯ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინების არასწორ მისამართზე ჩაბარება

განჩინება

¹ბს-1050-1013(23-08) 6 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების აუქციონის ოქმის, აუქციონზე შექმნილ ქონებაზე უფლების მიღების თაობაზე გამოტანილი ¹001562 განკარგულებისა და უძრავი ქონების რეგისტრაციის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

სს "... " 2006 წლის ივნისში სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – სამცხე-ჯავახეთის საადსრულებო ბიუროსა და სს "... " მიმართ და მოითხოვა უძრავი

ქონების აუქციონის 2006 წლის 29 მაისის ოქმის, 2006 წლის 30 მაისს აუქციონზე შეძენილი ქონების უფლების მიღების თაობაზე გამოცემული 1001562 განკარგულებისა და სს "... " უძრავი ქონების საკუთრების მოპასუხე სს "... " სახელზე რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს "... " სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 29 მაისის ოქმი და 2006 წლის 30 მაისს აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების მიღების თაობაზე გამოტანილი 1001562 განკარგულება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს: სს "... " და სს "... " შორის 1998 წლის 8 დეკემბერს დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება 67 961 ევროს სესხის სახით მიღების შესახებ. სესხი უზრუნველყოფილ იქნა იპოთეკით, კერძოდ, უძრავი ქონებით – 29 544 კვ.მ მიწის ნაკვეთით და მასზე განლაგებული საცხოვრებელი კორპუსით, მდებარე ქ. ბორჯომში ე.წ. "... ". სესხის გადაუხდელობის გამო სარჩელი აღიძრა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში, რომელიც დასრულდა მორიგებით. მორიგების თანახმად, სს "... " მათ მისცა დამატებით 150 000 აშშ დოლარი, წლიურად 22%-ის დარიცხვით. აქედან 47 000 აშშ დოლარი ჩაითვალა წინა სესხის, ხოლო 3000 დოლარი კი სასამართლო ხარჯების დაფარვაში. ხელზე მათ ბანკიდან გადაეცათ მხოლოდ 100 000 დოლარი. საბოლოოდ სესხმა შეადგინა სულ 250 284 აშშ დოლარი. სესხის გადახდა კვლავ ვერ მოხდა გაფრთხილების და დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, რის გამოც 2002 წლის 21 ნოემბერს სს "... " მიიღო სააღსრულებო ფურცელი და იგი წარადგინა სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროში. სს "... " სესხის და მისი პროცენტის, სულ 253197 აშშ დოლარის გადახდის მიზნით მოითხოვა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. სააღსრულებო წარმოება დაიწყო 2003 წლის 4 იანვარს.

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა იმ ნაწილში, რომ სააღსრულებო წარმოების დაწყებით შეწყდა მხარეებს შორის საკრედიტო ვალდებულება და სხვა რაიმე ვალდებულება, გარდა კრედიტის და პროცენტის გადაუხდელობით მიყენებული ზიანისა, მათ შორის აღარ არსებობდა; რადგანაც მოსარჩელისთვის დაწესებული იყო რა კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნების წესი და მან აღნიშნული ვალდებულება ვერ შესასრულა, მიცემული ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგაც. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა 9 800 აშშ დოლარის სესხის გადახდილად ჩათვლის შესახებ, რადგანაც მის მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრებით ვერ დგინდება, თანხა გადაიხადა ბინათმშენებლობისათვის თუ სს "... " მიერ აღებული სესხის დაფარვისათვის, ამიტომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებაც უნდა მომხდარიყო 253 197 აშშ დოლარის ანაზღაურების ფარგლებში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლომ მიუთითა, რომ სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ, ნაცვლად ზემოაღნიშნულისა, აღსრულება დაიწყო სესხის და მისი პროცენტის, სულ 297 284 აშშ დოლარის გადახდევინების მიზნით, რის საფუძვლადაც მიიჩნია კრედიტორის სს "... " გენერალური დირექტორის მოადგილის 2005 წლის 3 ივნისის მიმართვა, რომელიც არ გამომდინარეობს მორიგების აქტიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და სააღსრულებო ფურცლის შინაარსიდან. დამატებით 126 321 აშშ დოლარის პროცენტის სს "... " დაკისრების შესახებ რაიმე გადაწყვეტილება და შესაბამისად სააღსრულებო ფურცელი არ არსებობს.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი. სასამართლომ მიუთითა, რომ სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ დაარღვია "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 71-ე-72-ე მუხლებით დადგენილი უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვის წესიც, რაც, ამავე კანონის 77-ე მუხლის თანახმად, ვრცელდება განმეორებით აუქციონზეც.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ არ შედგა რა სს "... " ქონების რეალიზაცია პირველ აუქციონზე, დაინიშნა განმეორებითი აუქციონი, რის შესახებაც მხარეებისთვის უნდა ეცნობებინათ უწყების გადაცემით. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სს "... " წარმომადგენლებისათვის უწყების გაგზავნა ან გადაცემა არ მომხდარა. სასამართლომ არ გაიზიარა სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ სს "... " დირექტორი ს. ს-მე გააფრთხილეს განმეორებითი აუქციონის შესახებ 2006 წლის 1001562 განკარგულებაზე ხელმოწერით, რადგან აღნიშნული განკარგულება გამოტანილია ბორჯომის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული 12/1917 სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენლის შემდეგი შეპასუხება: ვინაიდან გასაყიდი ქონების რეკვიზიტები ემთხვეოდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში მითითებულ უძრავი ნივთის რეკვიზიტებს, ამიტომ ს. ს-მე უნდა მიმხვდარიყო, რომ აღსრულება ხდებოდა არა ბორჯომის რაიონული, არამედ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რადგანაც იგივე უძრავი ნივთის რეალიზაციის შესახებ სხვა გადაწყვეტილების რაიონულ სასამართლოში არსებობის შესაძლებლობა არ არის გამორიც-

ხული. სასამართლომ მიიჩნია, რომ განკარგულებაზე ხელმოწერა ვერ შეცვლის მხარის უწყებით გამოძახების წესს და სამართლებრივ შედეგებს, რადგანაც სასამართლო უწყებით მხარის გამოძახების წესი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, რომლითაც უწყებით გამოძახებული პირი გაფრთხილებულია გამოუცხადებლობის შედეგზეც.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სს "...“ ცნობილი იყო მორიგების აქტის, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და აღსრულების 2003 წლის 4 იანვარს დაწყების შესახებ, ანუ მათთვის ცნობილი იყო, რომ 2003 წლის 4 იანვრიდან შეწყვეტილი ჰქონდათ ყველა საკრედიტო ურთიერთობა მოსარჩელესთან და 2005 წლის 3 ივნისის პერიოდისათვის არსებული დავალიანების გადახდის შესახებ სარჩელით არ მიუმართავთ რომელიმე სასამართლოსთვის. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სს "...“ მიერ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი აქტის ბათილად ცნობა გამოიწვევს ამ უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობასაც, რადგანაც "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად სსაჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი საბუთის და საკადასტრო ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველად ასევე გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ და სს "...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და დამატებით განმარტა, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, აღსრულება ხდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მასში მითითებული თანხის ფარგლებში. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემულ 2002 წლის 18 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცელში, მართალია, არ არის დასახელებული კონკრეტული თანხა, რომლის ღირებულების ქონებაზეც უნდა მოხდეს აღსრულება, მაგრამ დასახელებულია მისი განმასახვრელი ორიენტირები: 1) 2001 წლის 1 ნოემბრის მორიგების აქტში დაფიქრებული გრაფიკი; 2) გრაფიკით განსახვრული გადაუხდეელი თანხის ოდენობა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში აღსრულება მოხდა საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ, მორიგების აქტით დამტკიცებული გრაფიკით განსხვავებულ თანხაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 297 287 აშშ დოლარი წარმოადგენდა სს "...“ და სს "...“ შორის ორი საკრედიტო ხელშეკრულების (1998 წლის 8 დეკემბრის და 2000 წლის 23 ნოემბრის) საფუძველზე გამოყოფილი თანხის ჯამს, მაგრამ გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ მეორე ხელშეკრულებით გამოყოფილი თანხიდან 50 000 ლარით დაიფარა კრედიტორის წინაშე ადრინდელი დავალიანების ნაწილი. ეს დაფიქსირებულია 2001 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულების 3.1. პუნქტში. სწორედ ამიტომაც გრაფიკში კრედიტის ძირითად თანხად მიეთითა არა 297 284, არამედ 250 284 აშშ დოლარი, შესაბამისი პროცენტებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე მხარეებს ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდიათ. გადაწყვეტილების აღსრულებისას უგულებელყოფილ იქნა ეს გარემოება და სასამართლო აღმასრულებელი დაეყრდნო არა სააღსრულებო ფურცელს, არამედ კრედიტორის სს "...“ დირექტორის წერილებს, რომელშიც გაზრდილი ოდენობით მიეთითებოდა მოსარჩელის დავალიანების ოდენობა.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნას განმეორებითი აუქციონის შესახებ მოვალის – სს "...“ კანონით დადგენილი წესით გაუფრთხილებლობის არსებობის შესახებ.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივრები შეიტანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ და სს "...“.

კასატორმა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოში დაბრუნება. კასატორმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დარღვეულა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნა, რადგან თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლისა და კრედიტორის განცხადების საფუძველზე დაიწყო აღსრულება. კრედიტორმა განცხადებით მიმართა სასამართლო აღმასრულებელს და აცნობა "...“ დავალიანება, სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის სა-

ფუძველზე, გაუზავნა სს "... " შესაბამისი გაფრთხილება აღნიშნული ვალის მითითებით, ასევე, დააყადაღა მისი ქონების ჯერ კიდევ 2003 წლის 21 თებერვალს მოვალე ორგანიზაციის დირექტორის და სხვათა თანდასწრებით. კასატორი მიუთითებს, რომ არცერთ ამ მოქმედებაზე და მოთხოვნის თაობაზე მოვალე ორგანიზაციას არანაირი პრეტენზია სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროსათვის არ განუცხადებია, ანუ მოვალეს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილ ვადაში სადავოდ არ გაუხდია არც მოთხოვნის ოდენობა და არც მოქმედება, უფრო მეტიც, პირველ იძულებით აუქციონზე, რომელიც გაიმართა 2006 წლის 8 მაისს, მოვალე მხარე თავად ესწრებოდა.

კასატორი არ იზიარებს სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ განმეორებითი აუქციონის თაობაზე ცნობილი არ იყო სს "... ", რადგან 2006 წლის 23 მაისს მოვალეს ჩაჰბარდა განკარგულება აუქციონის დანიშვნის შესახებ და ამ განკარგულებაში აღნიშნულ იქნა სარეალიზაციო ფასი, საწყისი ფასი, აუქციონის დანიშვნის დრო და ადგილი. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლო უწყების მსგავსი შეტყობინების გაგზავნას არ გულისხმობს. მოსარჩელე ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სააღსრულებო დეპარტამენტის კანცელარიამ ქ. თბილისში მიიღო ორგანიზაციის დირექტორის _ ს-ძის 2006 წლის 23 მაისის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ითხოვდა აღსრულების გადადებას; სწორედ 2006 წლის 23 მაისს ჩაჰბარდა ს-ძეს გაფრთხილება 2006 წლის 29 მაისის აუქციონის შესახებ.

კასატორმა _ სს "... " მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოთხოვნის ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოდ არასწორად განმარტა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 25-ე მუხლი, რადგან მოცემულ შემთხვევაში მოვალისათვის ცნობილი იყო განმეორებითი აუქციონის ყველა რეკვიზიტები.

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა მოვალის განმარტება თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის სახელზე დაწერილი განმეორებითი აუქციონის გადადების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სს "... " და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ სს "... " საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 2 ნოემბრის განჩინებით, მხარეებს შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის თანახმად, სს "... " სს "... " სასარგებლოდ იკისრა ვალდებულება 5 წლის ვადით 150 000 აშშ დოლარის ოდენობით გაეცა კრედიტი წლიური სარგებლის 22%-ის გადახდევინებით. არსებული დავალიანების, ასევე, მორიგების საფუძველზე გამოყოფილი თანხების დაფარვა განისაზღვრა მხარეთა მიერ წარმოდგენილი, 2001 წლის 2 ნოემბრის მორიგების აქტში დაფიქსირებული გრაფიკის შესაბამისად; გრაფიკში მითითებულ თარიღებში მითითებული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკს მიეცა სს "... " საკუთრებაში არსებული ქონების იძულებით რეალიზაციის მოთხოვნის უფლება. აღნიშნულ ქონებას წარმოადგენს ქ. ბორჯომში, პანსიონატ (ტურბაზა) "... " მდებარე 29544 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული საცხოვრებელ კორპუსები. ამ განჩინებას თან ერთვის მხარეთა შორის მორიგების 2001 წლის 2 ნოემბრის აქტი და სს "... " სესხის დაფარვის გრაფიკი აშშ დოლარებში.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2002 წლის 21 ოქტომბერს გასცა 12/1917-01 სააღსრულებო ფურცელი იმავე სასამართლოს 2001 წლის 2 ნოემბრის მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების განჩინებაზე. სს "... " გენერალურმა დირექტორმა სწორედ აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი წარადგინა სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროში აღსასრულებლად. საქმეში წარმოდგენილია სს "... " ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ 2003 წლის 21 თებერვლის ოქმი ხსენებული სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად, რომელიც ხელმოწერილია მოვალის წარმომადგენელ ს. ს-ძის მიერაც. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატამ მოცემული დავის გადაწყვეტისას არ გაითვალისწინა ის, რომ ზემოხსენებული ოქმი მოსარჩელე ორგანიზაციას სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების ერთერთ საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში აღსრულება მოხდა საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი, მორიგების აქტით დამტკიცებული გრაფიკით განსხვავებულ თანხაზე; საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული აუქციონის შედეგების ნამდვილობაზე რამდენად ახდენს გავლენას, სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ აქვს დასაბუთებული.

სადავო უძრავი ქონების აუქციონის შესახებ 2006 წლის 8 მაისის ოქმით ირკვევა, რომ სს "... " დირექტორი ს.ს-მე ესწრებოდა პირველ იძულებით აუქციონს. აუქციონი გახსნილად გამოცხადდა, მაგრამ მოვალის ქონების რეალიზაცია არ მომხდარა, ეს ოქმი ხელმოწერილია ს.ს-მის მიერაც. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ქონების ღირებულება და კრედიტორის მოთხოვნის მოცულობაც სს "... " იმ მომენტი-სათვის სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია ასევე სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ქონების აუქციონზე რეალიზაციისას დაირღვა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები. ამ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღსრულების შესახებ უწყებას მოვალეს, კრედიტორსა და სხვა მონაწილე პირებს აზარებს სასამართლო აღმასრულებელი. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი უწყება უნდა ჩააბარდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ხსენებული კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტშიც პირდაპირაა მითითებული, რომ სასამართლო აღმასრულებელი აუქციონის დროისა და ადგილის შესახებ მონაწილე მხარეებს აცნობებს უწყების გადაცემით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით კი გათვალისწინებულია, რომ სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ მხარეს ან მის წარმომადგენელს ეცნობება სასამართლო უწყების მეშვეობით. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით გათვალისწინებული უწყების ძირითადი მიზანი და დანიშნულებაა, ეცნობოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი. სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე ორგანიზაციის დირექტორმა ს. ს-მემ არ იცოდა განმეორებით ჩატარებული აუქციონის თარიღი, რადგან მას არ დაუდასტურებია მეორე აუქციონის დანიშვნის განკარგულებაზე ხელმოწერა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზეც, რომ სს "... " დირექტორმა ს. ს-მემ საქმეში წარმოდგენილი აუქციონის დანიშვნის შესახებ 2006 წლის 22 მაისის განკარგულებაზე მისი სახელით 2006 წლის 23 მაისს შესრულებული ხელმოწერა გახდა თუ არა კანონით დადგენილი წესით სადავო. საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმეში წარმოდგენილი სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსის სახელზე მოსარჩელე ორგანიზაციის დირექტორ ს. ს-მის 2006 წლის 23 მაისის განცხადება წარმოადგენს იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ მისთვის ცნობილი არ იყო 2006 წლის 29 მაისის განმეორებითი აუქციონის ჩატარების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე¹" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს "... საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიუროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განჩინების არასწორ მისამართზე ჩაბარება

განჩინება

1ბს-1552-1481 (კს-09) 25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 მარტს გ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, რომლითაც ამავე კომისიის 2009 წლის 23 იანვრის 12 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით გ. ბ-მეს წარდგენილ სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და მის გამოსასწორებლად მიეცა 5 დღის ვადა განჩინების ჩაბარებიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით გ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად დადგენილ ვადაში მითითებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ბ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ იქნა სააპელაციო საჩივარი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 5 დღის ვადა მის გამოსასწორებლად. აღნიშნული განჩინება 2009 წლის 7 ნოემბერს ჩაბარდა მისთვის უცნობი პიროვნებისაგან, ხოლო იმავე წელს 10 ნოემბერს კურიერული სამსახურის ბათუმის ფილიალის კურიერმა – ო. ვ-მემ ჩააბარა ამავე სასამართლოს 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. აღნიშნულ განჩინებაში მითითებულია, რომ გ. ბ-მეს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ასლი გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე – ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. ...-ში. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ გზავნილი 2009 წლის 21 ოქტომბერს ჩააბარდა გ. ბ-მის ძმას – რ. ბ-მეს.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იგი ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... , რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარზე და აღნიშნულ მისამართზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააგზავნა განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ. კურიერული სამსახურის ბათუმის ფილიალის კურიერმა ო. ვ-მემ აღნიშნული განჩინება შეცდომით ჩააბარა ხელვაჩაურის რაიონში ცხოვრებ გ. ბ-მის ძმას – რ. ბ-მეს, რაც დაფიქსირებულია საფოსტო გზავნილზე. იგი ცხოვრობს სოფ. ...-ში, არ ჰყავს ძმა, ამასთან, განსხვავებულია მათი მამის სახელებიც. გზავნილის შეცდომით ჩაბარების ფაქტს ადასტურებენ როგორც გზავნილის მიმღები პირი – გ. შ. ძე ბ-მე, ისე კურიერული სამსახურის ბათუმის ფილიალის კურიერი – ო. ვ-მე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის განჩინებით გ. ბ-ძის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დადგინდა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ბ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ მხარეს გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ხელვაჩაურის რაიონი, სოფ. გზავნილების ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინებიდან (შპს "სკს") ირკვევა, რომ აღნიშნული გზავნილი ჩაბარდა ადრესატის ძმას. ჩაბარება დადასტურებულია მიმღები პირის ხელმოწერით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით გ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ დადგენილ ვადაში არ გამოასწორა არსებული ხარვეზი.

კერძო საჩივარზე თანდართული შპს "... კურიერული სამსახურის კურიერის – ო. ვ-ძის განმარტებით დგინდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გზავნილი გ. ბ-ძის სახელზე წაიღო მასში მითითებულ მისამართზე. სოფ. კ-ის საკრებულოში გზავნილის ადრესატის მოძიების შემდეგ კურიერმა გზავნილი მიიტანა მათ მიერ მითითებულ მისამართზე და ჩააბარა გ. შ. ძე ბ-ძის ძმას სოფ. კ-ში. როგორც შემდგომში გაარკვია, აღნიშნული გზავნილის ადრესატი იყო სოფ. კ-ში მცხოვრები გ. რ. ძე ბ-ძე. აღნიშნული გამოიწვია იმან, რომ მ-ი შედის სოფ. კ-ის საკრებულოში. კერძო საჩივარს ასევე ერთვის ხელვაჩაურს რაიონის სოფ. მ-ში მცხოვრებ გ. შ. ძე ბ-ძის განმარტება, რომლითაც დგინდება, რომ ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. მ-ში. მასთან ერთად ცხოვრობს მისი ძმა. 2009 წლის 21 ოქტომბერს, სახლში დაბრუნებულს ძმამ გადასცა კონვერტი, რომელიც გაგზავნილი იყო მის სახელზე, მაგრამ კონვერტის გახსნის შენმდეგ აღმოჩნდა, რომ იგი მას არ ეკუთვნოდა და შეცდომით იყო დატოვებული. მეორე დღეს აღნიშნული კონვერტი დატოვა გამგეობაში გასარკვევად, რადგან მათ თემში არის რამდენიმე გ. ბ-ძე, ხოლო გზავნილზე მამის სახელი მითითებული არ იყო და გაურკვეველი იყო, ვის სახელზე იყო გაგზავნილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განჩინების ჩაბარებას უშუალოდ უკავშირდება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ათვლა და მისი შედეგი. სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) მხარეს უნდა ჩააბარდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 74-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო უწყების (გზავნილის) ჩაბარების შესაძლებლობას ადრესატის არყოფნის შემთხვევაში. ორივე შემთხვევაში სასამართლო გზავნილი ჩაბარებულად ითვლება სასამართლოს მიერ გაგზავნილი გზავნილის, ამ შემთხვევაში განჩინების, უშუალოდ საქმეში მონაწილე პირისათვის მის მიერ მითითებულ მისამართზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარებისას.

შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის საფუძველზე, ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის დენის დაწყებისათვის გადამწყვეტია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების (განჩინების) უშუალოდ აპელანტისათვის ჩაბარება. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შემტან პირს წარმოადგენდა გ. ბ-ძე, მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონის სოფ. . . . ; კერძო საჩივარზე თანდართული მასალებით დგინდება, რომ სასამართლო გზავნილი ჩაბარდა ხელვაჩაურის რაიონში, სოფ. მ-ში მცხოვრებ გ. ბ-ძეს. ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლოსათვის გასაჩივრებული განჩინების მიღებისას ცნობილი არ იყო, ამასთან, საქმეში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება იმისა, კანონით დადგენილი წესით უშუალოდ აპელანტ გ. ბ-ძეს

ჩაპბარდა პირადად თუ არა ხარვეზის შევსების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება. ასეთ შემთხვევაში, აპელანტისათვის ხარვეზის შევსების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვილოს გ. ბ-მისათვის აღნიშნული განჩინების ჩაბარების ფაქტი, მისცეს მას შეფასება და მხოლოდ მას შემდეგ უნდა გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ბ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ი ნ ა:

1. გ. ბ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მხარეები

ა. მესამე პირი

სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა

განჩინება

18ს-959-920(კ-2კს-07) 25 მარტი, 2008 წ. ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
მ. ვაჩაძე**

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ო. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ. თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილების მიმართ, მესამე პირის – ი. მ-შვილის მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის განქორწინების რეგისტრაციისა და რეგისტრაციის მოწმობის გაცემის დავალება.

საქმის გარემოებები:

2002 წლის 27 დეკემბერს მოქალაქე ვ. კ-იამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, 2001 წლის 17 ოქტომბერს (ვ. კ-იას და ი. მ-შვილის განქორწინების შესახებ) გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის 1138-ე მუხლის თანახმად, გამოხატა ნება და მოითხოვა განქორწინების რეგისტრაცია ქ.თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილებაში. ვინაიდან განმცხადებელი ავადმყოფობის გამო იწვა – ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში, თანხმობა განქორწინების მოწმობის მიღებაზე მინდობილობით გადასცა თავის დისშვილს, ო. ბ-შვილს, რომელმაც იმავე დღეს 27.12.2002წ. ქ.თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილებაში წარადგინა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2001 წლის 17 ოქტომბრის (ვ. კ-იას და ი. მ-შვილის განქორწინების შესახებ) გადაწყვეტილება და მინდობილობა, განაცხადა ვ. კ-იას სურვილის შესახებ და ვინაიდან ავადმყოფის

სიცოცხლე საფრთხეში იყო, მოითხოვა განქორწინების რეგისტრაცია. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილების გამგემ ლ. ზ-ანმა შეამოწმა რა მოსარჩელის სახელზე გაცემული მინდობილობა, მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 1131-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში 25 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რაც ვ. კ-ის სახელით, მეორე დღესვე – 2002 წლის 28 დეკემბერს იქნა გადახდილი საქართველოს ეროვნულ ბანკში. 2002 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა ვ. კ-ია, რის გამოც მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები მოგვიანებით წარადგინა. გარდაცვლილმა ვ. კ-იამ სიცოცხლეში დატოვებული ანდერძით მოსარჩელის დას – ლ. ბ-შვილს გადასცა მემკვიდრეობა, რისთვისაც მათ კანონით დადგენილ ვადაში შესაბამის სანოტარო ბიურის მიმართეს განცხადებით და მოითხოვეს ლ. ბ-შვილზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა ვ. კ-იას დანაშთ ქონებაზე. გარდაცვლილის ყოფილმა მეუღლემ ი. მ-შვილმა ანალოგიური განცხადებით მიმართა იმავე სანოტარო ბიუროს. ნოტარიუსმა მოითხოვა ვ. კ-იას განქორწინების მოწმობის წარდგენა, რის გამოც 2003 წლის 11 ოქტომბერს ო. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების გამგე ლ. ზ-ანს და სამოქალაქო კოდექსის 721.2 მუხლის საფუძველზე მოითხოვა განქორწინების რეგისტრაციის მოწმობის გაცემა, რაზედაც წერილობით ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ არ იყო წარდგენილი მის მიერ ბაჟის გადახდის ქვითარი და ასევე არ იყო დასაბუთებული იმ შესაძლო ზიანის საფრთხე, რაც წარმოექმნებოდა ანდერძისმიერ მემკვიდრეს განქორწინების მოწმობის გაუცემლობით.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

მოსარჩელეს უსაფუძვლოდ მიაჩნია განქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

რაიონული სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ო. ბ-შვილის და ლ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ქ.თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილებას დაევალა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე ვ. კ-იასა და ი. მ-შვილს შორის არსებული განქორწინების რეგისტრაცია, ასევე, ვ. კ-იას განქორწინების მოწმობის გაცემა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 17 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, შეწყვეტილ იქნა ქორწინება ვ. კ-იასა და ი. მ-შვილს შორის. ამავე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება აღსრულდებოდა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 3 წლის განმავლობაში. ვ. კ-ია მკურნალობდა აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის კლინიკის ტრავმატოლოგიურ დეპარტამენტში 2002 წლის 24 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე; 30 დეკემბერს კი იგი გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე – 2007 წლის 27 დეკემბერს ვ. კ-იამ გამოხატა ნება და მინდობილობის საფუძველზე, რაც დამოწმებულ იქნა კლინიკის დირექტორის მიერ, თავის დისშვილს ო. ბ-შვილს, მიანდო განქორწინების მოწმობის აღება, რის შემდგომ – იმავე წლის 27 დეკემბერს მან განცხადებით მიმართა ქ.თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილებას და მოითხოვა განქორწინების მოწმობის გაცემა, რაზედაც განყოფილების გამგის – ლ. ზ-ანის მიერ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მას წარდგენილი არ ჰქონდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრები და ასევე არ ჰქონდა დასაბუთება იმის შესახებ, რომ ლ. ბ-შვილს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ექმნებოდა ზიანის საფრთხე. საქმეში არსებული გადახდის ქვითრების თანახმად, 2002 წლის 28 დეკემბერს გადახდილია სახელმწიფო ბაჟის ქვითრები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილებაში წარსადგენად განქორწინების მოწმობის მიღების მიზნით.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 721.2 მუხლი და განმარტა, რომ, თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, რწმუნებული ვალდებულია, გააგრძელოს დავალებული მოქმედების შესრულება, თუ დაყოვნება მარწმუნებელს ან მის მემკვიდრეს შეუქმნის ზიანის მიყენების საფრთხეს, ვიდრე მემკვიდრე ან მარწმუნებლის წარმომადგენელი არ მიიღებს აუცილებელ ზომებს. ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობა ჩაითვლება გაგრძელებულად. სასამართლოს დასკვნით, ო. ბ-შვილმა, როგორც ვ. კ-იას ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, სამკვიდროს მისაღებად მიმართა სანოტარო ბიუროს, რომელსაც ასევე მიმართა გარდაცვლილის მეუღლემ – ი. მ-შვილმა და მოითხოვა სამკვიდროს მიღება ვ. კ-იას დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, სახორვრებელ სახლზე, მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.¹²-ში, რითაც პირდაპირ შეექმნა ზიანის საფრთხე გარდაცვლილის მარწმუნებლის ანდერძისმიერ მემკვიდრეს ლ. ბ-შვილს. ამდენად, რაიონული სასამართლოს დასკვნით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილების უარი რეგისტრაციის მოწმობის გაცემაზე იყო უსაფუძვლო.

სასამართლომ არ გაიზიარა მესამე პირის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მინდობილობა არ იყო დამოწმებული სათანადო წესით და ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები მოწმდება სანოტარო წესით ან სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც მოქალაქე სამკურნალოდ იმყოფება. რაიონული სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო იყო მესამე პირის მოსაზრება, რომ ვ. კ-იასა და ი. მ-შვილს შორის არ მომხდარა განქორწინების რეგისტრაცია და ამიტომ განქორწინების რეგისტრაცია უნდა განხორციელებულიყო 2002 წლის 27 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლის აღსრულების ვადა, ამავე გადაწყვეტილებით, სამი წელია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მესამე პირმა ი. მ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, კანონის თანახმად, ქორწინების შეწყვეტა დგება მას შემდეგ, რაც მოქალაქე მიიღებს შესაბამის დოკუმენტს ქორწინების მარეგისტრირებელი დაწესებულებიდან, რომლისთვისაც ვ. კ-იას არ მიუმართავს სიცოცხლეში. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ვ. კ-იასაგან ნების გამოხატვა არ არის კანონით დადგენილი წესით მიღებული და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნამდვილად, ვინაიდან აღნიშნული მას განცხადებით – წერილობითი ფორმით არ გამოუხატავს და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული „დოკუმენტი“ არ არის მისი ნების გამომხატველი. ამდენად, აპელანტის მოსაზრებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც უკანონო, ექვემდებარებოდა გაუქმებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა წარმოადგენს დავის საგანს, სარჩელის ქმედების განხორციელება თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რის შემდეგაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სარჩელის დასაშვებობის საკითხი. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე-24-ე მუხლები სარჩელის დასაშვებობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს უარს აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელებაზე, ხოლო საქმეში არ მოიპოვებოდა ქ.თბილისის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის¹² განყოფილების უარი განქორწინების რეგისტრაციასა და მოწმობის გაცემაზე. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ დასახელებულ გარემოებათა გარკვევის შემდეგ იყო შესაძლებელი საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და ო. ბ-შვილებმა, რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა კოლეგიური შემადგენლობით ცხადდებოდა ყველა სასამართლო სხდომაზე, გარდა 2007 წლის 18 ივლისის გამართული სხდომისა. იმავე წლის 4 ივლისის სხდომის ოქმში, ნაცვლად კოლეგიური შემადგენლობისა, დაფიქსირებულია, რომ მოსამართლე საქმეს იხილავდა ერთპიროვნულად. კასატორის მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულია საქმეთა ჩამონათვალი, რომლის განხილვაც სასამართლოს შეუძლია ერთპიროვნულად. აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის მოცემული საქმის ერთპიროვნულად განხილვის უფლებამოსილება, რის გამოც საქმე განიხილა და გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც დიდუბე-ჩურღურეთის რაიონულ სასამართლოში არ მონაწილეობდა როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ჩააბას მხარედ მესამე პირი თუ მის გარეშე შეუძლებელია საქმეზე საერთო გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რისი უფლებაც არ ჰქონდა. სასამართლომ კანონის უხეში დარღვევით ჩააბა საქმეში ახალი მხარე, რომელიც პირველ ინსტანციაში არ მონაწილეობდა დამოუკიდებელი მოთხოვნებით.

კასატორის მითითებით, სასამართლოს განჩინება არ არის საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და არის დაუსაბუთებელი, სასამართლომ ისე განიხილა საქმე, რომ არ გამოუკვლევია სარჩელის საგა-

ნი, ქმედების განხორციელება თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, როგორც დაუსაბუთებელი, ექვემდებარება ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" პუნქტის საფუძველზე ლ. და ო. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ შეპასუხებაში მესამე პირის ი. მერაბაშვილის წარმომადგენელმა არ ცნო საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული განჩინებების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლ. და ო. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის განჩინება და 2007 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინება (ი. მ-შვილის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2. მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ) და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალების, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სამოქალაქო აქტების ჩანაწერის კანონიერების ერთპიროვნულად განხილვის (შემოწმების) უფლებამოსილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე დაწყებულ სააპელაციო წარმოებას ერთპიროვნულად აგრძელებს სააპელაციო (საოქმო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, რომელიც გამწესებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მე-5 ნაწილის "გ" პუნქტის თანახმად, 2008 წლის 1 იანვრამდე შეტანილი სააპელაციო საჩივარი საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავაზე შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის ჩამონათვალში არ არის მითითებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის კანონიერებასთან დაკავშირებული დავების ერთპიროვნულად განხილვის შესაძლებლობაზე (ერთპიროვნულად განიხილა საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებული დავა), ხოლო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად იქნა განხილული მოცემული დავა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ დარღვევას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო აქტების ჩანაწერის კანონიერების ერთპიროვნულად განხილვის (შემოწმების) უფლებამოსილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა, ხოლო ის, რაც საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, დაუშვებელია სასამართლო ინტერპრეტაციის საფუძველზე, ანალოგიის პრინციპის გათვალისწინებით, შეივსოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35.6 მუხლი მოსამართლეს ანიჭება უფლებას, ერთპიროვნულად განიხილოს და დაასრულოს კოლეგიური შემადგენლობის მიერ დაწყებული საქმის განხილვა ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრულ ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომელთა შორის სამოქალაქო აქტების კანონიერების შემოწმების თაობაზე აღმრული საქმე მითითებული არ არის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება იმ საპროცესო მოქმედებათა მოწესრიგებისას, რომლის სხვაგვარი მოწესრიგება ამ კოდექსით არ არის დადგენილი.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირებთან მიმართებაში არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავის დებულებები, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირის სტატუსს, მისი ჩაბმის და სავალდებულო მოწვევის საკითხს, მათ საპროცესო უფლება-მოვალეობებს. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც სასამართლოს უფლებამოსილება, ასევე ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5 მუხლის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სსსკ-ის 364-ე მუხლით ხელმძღვანელობისას აუცილებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკის გათვალისწინება და ლოგიკური განმარტების საფუძველზე მისი გამოყენება, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დავების განხილვისას მესამე პირის სტატუსი, უფლებები არის მოწესრიგებული, მესამე პირის აპელაციის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ და შეაფასონ სუბიექტი პროცესში უნდა ყოფილიყო თუ არა მოწვეული აუცილებელი წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით განსაზღვრული სუბიექტის მესამე პირად აუცილებელი მოწვევა, ასეთი საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის პირობებში მესამე პირის აპელაცია ექვემდებარება დასაშვებად ცნობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5 მუხლიდან გამომდინარე, როგორც იმ მესამე პირისა, რომელიც უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაბმული და ვინც ისარგებლებდა აპელაციის შეტანის საპროცესო უფლებით, სასამართლოს მიერ საპროცესო კანონის სწორი გამოყენების შემთხვევაში.

საქმის მასალების თანახმად, ი. მ-შვილი მოცემულ დავაში წარმოადგენდა მესამე პირს. მოსარჩელებმა სასარჩელო განცხადებაში ეს უკანასკნელი მიუთითებს მესამე პირად, თუმცა ი. მ-შვილის საპროცესო სტატუსი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 თუ 16.2 მუხლების საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი) განსაზღვრული არ იყო, ამასთან სააპელაციო სასამართლო, რომელიც საქმეს იხილავს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, უფლებამოსილი იყო, იმ შემთხვევაში თუ მიიჩნევდა, რომ ი. მ-შვილი არასწორი საპროცესო სტატუსით მონაწილეობდა საქმეში, შეეცვალა მისთვის საპროცესო სტატუსი, რაც განახორციელა კიდევ საოქმო განჩინებით, თუმცა იმ პირობებში, როცა სააპელაციო სასამართლომ ი. მ-შვილი საქმეში მესამე პირად ჩააბა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე ერთპიროვნულად, აღნიშნული საოქმო განჩინება, როგორც არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობის მიერ მიღებული, ექვემდებარება გაუქმებას, სსსკ-ის 404.2 მუხლის საფუძველზე, როგორც სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები საპროცესო აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა რა გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები (არაკანონიერი შემადგენლობის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედება), სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კოლეგიური შემადგენლობით უნდა იმსჯელოს მის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებების შესაბამისობაზე მოქმედ კანონმდებლობასთან.

სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებული ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, რამდენადაც საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმეში არ მოიპოვება ადმინისტრაციული ორგანოს უარი განქორწინების რეგისტრაციასა და მოწმობის გაცემაზე, რამდენადაც ო. ბ-შვილის რწმუნებულ გ. ნ-მეს ქ. თბილისის +2 სარეგისტრაციო განყოფილებამ "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე უარი უთხრა მოსარჩელეს აწ გარდაცვლილ ვ. კ-იას განქორწინების რეგისტრაციასა და შესაბამისი განქორწინების მოწმობის გაცემაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა ადმინისტრაციული ორგანოს უარი, სრულიად დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალების ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევიდან.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისთვის მნიშვნე-

ლობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევლად მიჩნევის პროცესუალური საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს სარჩელის საფუძვლიანობაზე ლ. და ო. ბ-შვილების მიერ მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ფარგლებში, რამდენადაც სარჩელი /დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება/ შედგება, როგორც სამართლებრივი, აგრეთვე, ფაქტობრივი საფუძვლისაგან. ამასთან, სარჩელის საფუძველი არის ის ფაქტები, რომელთა არსებობა განაპირობებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და რომლებსაც მატერიალური სამართლის ნორმა უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტების უფლება-მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. და ო. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის განჩინება და 4 ივლისის საოქმო განჩინება;
3. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო საჩივარი მესამე პირის შეცვლაზე

განჩინება

1ბს-749-721(კ-კს-08) 12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.04.08წ. განჩინება

აღწერილობითი ნაწილი:

26.03.07წ. გ. და მ. კ-ძეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 10.05.06წ. 142 ბრძანების არარად ცნობა, სადავო ფართიდან მათი გამოსახლების აკრძალვა და 17.07.04წ. სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმება მოითხოვეს. პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელეებმა დააზუსტეს სასარჩე-

ლო მოთხოვნა და ნ. პ-ვას, ფ., ვ. და ი. ქ-ვების ნაწილში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 10.05.06წ. ¹⁴² ბრძანების არარად ცნობა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების აკრძალვა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 26.01.07წ. ^{106/01-35/64} და 26.01.07წ. ^{106/01-35/63} ცნობების ნაწილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.06.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა – არარა აქტად იქნა აღიარებული საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 10.05.06წ. ¹⁴² ბრძანება ნ. პ-ვას, ფ., ვ. და ი. ქ-ვების ნაწილში, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აკრძალა ქმედების განხორციელება, კერძოდ, მ. და გ. კ-ძეების გამოსახლება სადავო ფართიდან, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 26.01.07წ. ^{106/01-35/64} ცნობა ნ. პ-ვას, ფ., ი. ქ-ების და 26.01.07წ. ^{106/01-35/63} ცნობა ვ. ქ-ვას ქ. თბილისში, ... ქ. ¹⁴-ში რეესტრაციის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14.02.08წ. მ. და გ. კ-ძეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს და საქმეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ნაცვლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.04.08წ. განჩინებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს და გამოხატავდა მის ინტერესს. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. და გ. კ-ძეებმა. კერძო საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ სადავო ობიექტის განკარგვის უფლებამოსილება გააჩნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, მართალია, გამოხატავს სამინისტროს ინტერესსა და ნებას, მაგრამ სამმართველო არ არის უფლებამოსილი სარგებლობაში გადასცეს სადავო ობიექტი. კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ 10.05.06წ. ¹⁴² ბრძანებით განასახლა და ასევე დაარეგისტრირა პირები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობის გარეშე. კერძო საჩივრის ავტორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ნაცვლად საქმეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმა მოითხოვეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. და გ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს მთავრობის 10.09.04წ. ¹⁷⁷ დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების" 1.3 მუხლის თანახმად, სამინისტროს აპარატი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები, ტერიტორიული ორგანოები და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ქმნიან სამინისტროს ერთიან სისტემას. ამავე დებულების 7.3 მუხლის თანახმად, სამინისტროს ტერიტორიული ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამინისტროს. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 11.01.07წ. ^{11-1/24} ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს დებულების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სამმართველო ახორციელებს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული სამინისტროსაგან დელეგირებული სახელმწიფო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფო ქონების სარგებლობასა და განკარგვაზე სამინისტროს ტერიტორიული ორ-

განოს უფლებამოსილებას ადასტურებს ასევე "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონი, რომლის მე-8 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანოა უფლებამოსილი უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით კონკურსის (აუქციონის) გარეშე გასცეს სახელმწიფო ქონება. მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები, სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოები განთავსდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში ან მათ ნაწილებში (ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილი).

განსახილველ შემთხვევაში საქმეში მესამე პირის სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო, რომელიც ზემოაღნიშნული დებულების 7.3 მუხლის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენდა სამინისტროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. და გ. კ-ძეების შუამდგომლობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ნაცვლად საქმეში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ჩაბმის თაობაზე უსაფუძვლოა და მართებულია ეთქვა უარი მის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 30.07.08წ. ¹⁶¹ დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო. ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა დაევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ლიკვიდირებული სამმართველოს სამართალმემკვიდრე ტერიტორიული ორგანო დადგენილი არ ყოფილა და, შესაბამისად, ტერიტორიული ორგანოს ნაცვლად შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობაში სამინისტრო თავად წარადგენს საკუთარ ინტერესებს. ამდენად, საკასაციო სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვის დროისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საპროცესო უფლებამონაცვლეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. და მ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 10.04.08წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მოწვევის მესამე პირები

განჩინება

¹⁶¹ბს-1670_1624 (კ-08) 8 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ 2007 წლის ივლისში სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ზ. ი-ძის მიმართ და მოითხოვა საქველმოქმედო ფონდი "...-ის" და მოპასუხე ზ. ი-ძის, როგორც ამავე ფონდის დამფუძნებლის, ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად დადგენა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი დაკმაყოფილდა – დადგენილ იქნა, რომ საქველმოქმედო ფონდი "...“ (საიდენტიფიკაციო კოდი 248422229) და მოპასუხე ზ. ი-ძე (პირადობის მოწმობა №0126639, პირადი №61003004244) წარმოადგენენ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებს.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქველმოქმედო ფონდი "...“ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია საგადასახადო ინსპექციაში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი №248422229. ფონდს 2006 წლის 12 დეკემბრისათვის ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 424 348 ლარის ოდენობით, რაზედაც მას გაეგზავნა 2007 წლის 15 იანვრის №40 საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც არ იყო შესრულებული. რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოებაც, რომ საგადასახადო ორგანო ვერ ატარებდა საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რადგან ფონდს საკუთრებაში არ ერიცხებოდა ქონება. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობი – 262,3 კვ.მ, ხელვაჩაურის რაიონში, სოფ. ...-ში, აშენებული და გარემონტებულია საქველმოქმედო ფონდს "...-ის“ თანხებით, ასევე, ფონდის მიერ შეძენილია ინვენტარ-მოწყობილობა, რაშიც სულ დახარჯულია 140 000 ლარი. მაგრამ აღნიშნული ქონება ერიცხება საკუთრებაში ზ. ი-ძეს, რომელსაც თითქოს ეს ქონება ფონდზე იჯარით აქვს გაცემული. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია საქველმოქმედო ფონდი "...-ის“ განსხვავება ამავე ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებლის მოპასუხის – ზ. ი-ძისაგან.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი და ჩათვალა, რომ საქველმოქმედო ფონდი "...“ და ზ. ი-ძე წარმოადგენენ ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ი-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ზ. ი-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეგზავნა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფონდი "...-ის“ მიმართ ისე იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, რომ იგი მხარედ საერთოდ არ იყო დასახელებული საქმეში. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომელზეც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას, რაც მოცემული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველად მიიჩნია.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ) და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის აზრით, გასაჩივრებული განჩინების მიღებით უსაფუძვლოდ იქნა გაჭიანურებული საქველმოქმედო ფონდს "...-ის“ აღიარებულ საგადასახადო ვალდებულებებზე – ზ. ი-ძის როგორც ცრუმაგიერი პირის, საკუთრებაში რიცხული სადავო ქონების მიმართ საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება; კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებლობა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს შეეძლო ფონდი "...-ი“ მესამე პირად ჩაერთო საქმეში და ისე განეხილა არსებითად მოცემული საქმე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთიმეორეს ცრუმავიერ პირებად იქნენ აღიარებული ფონდი "... " და მისი დამფუძნებელი ზ. ი-მე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ ფონდი "... " მოცემულ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნეს, რადგან იგი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომელზეც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი; მაგრამ მეორეს მხრივ საკასაციო პალატა თვლის, რომ პროცესის, ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს თვითონ უნდა გამოეყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება. ამ ნორმის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი; იმავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად კი ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს მოცემულ სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში ფონდი "...-ის" სტატუსზე, ჩააბას იგი საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მესამე პირად და მისი მონაწილეობით განხილოს საქმე არსებითად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) საკასაციო საჩივარი;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუცილებელი მოწვევის მესამე პირის ჩაბმა პროცესში

განჩინება

1ბს-562-533(კს-09) 6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განხილვა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 აპრილს ა. ნ-შვილმა, ც. ბ-შვილმა, მ. მ-მემ და ლ. ყ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელებმა მოითხოვეს კოოპერატივ "... " მეპაიეთა საერთო კრების 2002 წლის 20 მარტის 11 ოქმისა და გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის განჩინების საფუძველზე ქ. გურჯაანში, ... ქ. 1...-ში მდებარე ყოფილი "... " მაღაზიისა და ... ქუჩაზე მდებარე გასტრონომიული მაღაზიის, თავისი სარდაფით, ა. ნ-შვილის, ც. ბ-შვილის, ლ. ყ-შვილის, ნ. ნ-შვილის, მ. მ-ძის, დ. მ-ძის, ნ. დ-შვილის, ე. ნ-შვილის, ი. ბ-შვილისა და მ. ყ-შვილის მესაკუთრეებად ცნობა და საჯარო რეესტრში მათი მესაკუთრეებად რეგისტრაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეგისტრაციო სამსახურისთვის დავალება.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ნ-შვილის, ც. ბ-შვილის, მ. მ-ძისა და ლ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეესტრაციო სამსახურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მარტის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეესტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი არ ყოფილა მიწვეული 2006 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს მხრიდან სახეზე იყო საპროცესო-სამართლებრივი ნორმების იმგვარი დარღვევა, რასაც შესაძლო იყო მოჰყოლოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება, კერძოდ, რაიონულმა სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელებს წარმოადგენდნენ ა. ნ-შვილი, ც. ბ-შვილი, მ. მ-ძე და ლ. ყ-შვილი, რომლებმაც სასამართლოს მიმართეს არა მარტო მათი უფლების, არამედ – ნ. ნ-შვილის, დ. ძ-ძისა და სხვათა უფლების რეესტრაციის თაობაზე. ნ. ნ-შვილს, დ. ძ-ძესა და სხვებს სასამართლოში სარჩელი არ აღუძრავთ, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა მათი საკუთრების უფლება და საჯარო რეესტრს დაევალა მათ სასარგებლოდ სარეესტრაციო ჩანაწერის გაკეთება. რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და მე-2 მუხლის "რ" ქვეპუნქტი, რომლითაც დადგენილი იყო უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი და უფლების რეესტრაციის საფუძველი. აღნიშნული გარემოების შეფასება სავალდებულო იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელეთა მოთხოვნაზე უარის თქმის კანონიერების შესაფასებლად.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივლისის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში თანამოსარჩელებად ჩაბმულ იქნენ ე. ნ-შვილი, ნ. დ-შვილი, ი. ბ-შვილი, დ. ძ-ძე, მ. ყ-შვილი და ნ. ნ-შვილი. ამავე სასამართლოს 2008 წლის 31 ივლისის საოქმო განჩინებით (გარდაცვლილი) ც. ბ-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი მეუღლე – ე. ბ-შვილი.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა კოოპერატივი "...", საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ნ-შვილის, მ. მ-ძის, ე. ნ-შვილის, ნ. დ-შვილის, ი. ბ-შვილის, დ. ძ-ძის, მ. ყ-შვილის, ნ. ნ-შვილის, ლ. ყ-შვილისა და ე. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და ისინი ცნობილ იქნენ ქ. გურჯაანში, ... ქ. 1...-ში მდებარე გასტრონომიული მაღაზიის შენობის, ამ შენობის ჩასწვრივ მდებარე სარდაფის, ქ. გურჯაანში, ... ქ. 1...-ში მდებარე ყოფილი "...", მაღაზიის შენობის მესაკუთრეებად; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეესტრაციო სამსახურს დაევალა მოსარჩელების – ა. ნ-შვილის, მ. მ-ძის, ე. ნ-შვილის, ნ. დ-შვილის, ი. ბ-შვილის, დ. ძ-ძის, მ. ყ-შვილის, ნ. ნ-შვილის, ლ. ყ-შვილისა და ე. ბ-შვილის – ქ. გურჯაანში, ... ქ. 1...-ში მდებარე გასტრონომიული მაღაზიის შენობის, ამ შენობის ჩასწვრივ მდებარე სარდაფის, ქ. გურჯაანში, ... ქ. 1...-ში მდებარე ყოფილი "...", მაღაზიის შენობის საჯარო რეესტრში მესაკუთრეებად რეესტრაცია.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურჯაანის სარეესტრაციო სამსახურის წარმომადგენლის განმარტება იმის შესახებ, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე, რომლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელი იყო გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეესტრაცია საჯარო რეესტრში. "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრაცია ხორციელდებოდა უფლების დამადასტურებელი საბუთებისა და სკადასტრო ინფორმაციის საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი იყო ნორმატიული ანდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობდა უძრავ ნივთზე უფლების, უფლების შეზღუდ-

ვის, უძრავ ნივთზე მიზნული ვალდებულების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის, იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კოოპერატივ "...", მეპაიეთა 2002 წლის 20 მარტის საერთო კრების გადაწყვეტილება უნდა ჩათვლილიყო გარიგებად, რომელიც წარმოშობდა მეპაიებზე საკუთრებაში გადაცემულ უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა კოოპერატივმა "...", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით კოოპერატივ "...", სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ კოოპერატივი "...", გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იქნა ჩაბმული საქმეში მესამე პირად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაესაჩივრებინათ სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე, სასამართლო უფლებამოსილი იყო, ეცნობებინა პირისათვის, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეხებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩაება იგი საქმეში მესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაბმული, თუ იგი იყო იმ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობდა მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრებოდა მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმებით გამიჯნული იყო საქმეში სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების უფლების მქონე და გასაჩივრების უფლების არმქონე მესამე პირები და განსაზღვრული, რომ თუ პირი საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე იყო ჩაბმული, იგი სარგებლობდა მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრებოდა მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა, ანუ ხსენებული საფუძველით ჩაბმულ პირებს გააჩნდათ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი – კოოპერატივი "...", წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე არაუფლებამოსილ პირს, რაც იყო მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა კოოპერატივმა "...", (დირექტორი – ა. ა-შვილი), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირად კოოპერატივ "...", ცნობა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით კოოპერატივი "...", საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმულ იქნა მოცემულ საქმეში მესამე პირად. გასაჩივრებული განჩინება არასწორია, რადგან კოოპერატივი "...", ამ საქმეში ჩაბმული უნდა ყოფილიყო, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი, რის საფუძველია ის გარემოება, რომ კოოპერატივი "...", არის დავის საგანში აღნიშნულ უძრავ ქონებაზე სამართალმემკვიდრე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 18 მაისის განჩინებით კოოპერატივ "...", კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კოოპერატივ "...", კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია, რომ კოოპერატივი "... " გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ამავე კოოპერატივის მეპაიეთა სარჩელისა გამო აღძრულ საქმეში, რომლითაც მოსარჩელები ითხოვენ 2002 წლის 20 მარტის საერთო კრების (ოქმი ¹) გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ, კერძო საკუთრებაში გადაცემული ქონების – კოოპერატივ "... " ბალანსზე რიცხული ყოფილი "... " მაღაზიის, კომერციულის ჩათვლით და ... ქუჩაზე მდებარე გასტრონომიული მაღაზიის, თავისი სარდაფით მესაკუთრეებად ცნობას და საჯარო რეესტრის დავალდებულებას, აღნიშნული ქონება აღრიცხოს მათ საკუთრებად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია, აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ხსენებული მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ჩაბმული მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაწილეს, განსხვავებით სასკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა არ აღჭურვავს უფლებამოსილებით სადავო გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება. მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (მე-16.2) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული, ანუ როდესაც პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში. საკასაციო პალატის აზრით აღძრული დავა უშუალოდ ეხება კოოპერატივ "... " ინტერესებს, ვინაიდან სახეზეა მის ბალანსზე არსებული ქონების კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლის ფაქტი, ე.ი. დავა შეეხება კოოპერატივის უფლებებს და იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. აღნიშნული განაპირობებს კოოპერატივ "... ", როგორც აუცილებელი მოწვევის მესამე პირის სტატუსს და სასკ-ის მე-16.2 მუხლით საფუძველზე ჩაბმის საჭიროებას.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კოოპერატივი "... " წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების არაუფლებამოსილ პირს, რაც პალატის მოსაზრებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხარის სტატუსის განსაზღვრა არ წარმოადგენს მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკმარის საფუძველს. სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას მსჯელობა უნდა იქონიოს ასევე გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით კოოპერატივ "... " საპროცესო სტატუსის განსაზღვრის მართლზომიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კოოპერატივ "... " დირექტორის ა. ა-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. კოოპერატივ "... " კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინება და საქმე კოოპერატივ "... " სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაინტერესებულ პირები

განჩინება

¹ ბს-487-466(კ-08) 28 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამართალმემკვიდრეობა

აღწერილობითი ნაწილი:

09.03.06წ. შპს "... " სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. ¹⁴⁶ დადგენილების პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტისა და ამავე დადგენილების მე-3 ნაწილის ბათილად ცნობა და ქ. ბათუმის მთავრობისათვის ქ. ბათუმის მერიის 23.08.94წ. ¹⁴³⁷ გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მთავრობა შეიჭრა მარეგისტრირებული ორგანოს ფუნქციებში და ბათილად გამოაცხადა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 12.02.97წ. დადგენილება, რომლითაც შპს "... " აღიარებული იქნა მრავალდარგობრივი ფირმა შპს "... " სამართალმემკვიდრედ.

ქ. ბათუმის მერიამ 20.03.06წ. შეგებებული სარჩელით მიმართა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 28.07.05წ. დადგენილებისა და შპს "... " წესდების იმ პუნქტების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც შპს "... " გამოცხადდა შპს "... " სამართალმემკვიდრედ. შეგებებულმა მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 28.07.05წ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ რეგისტრაციაში გატარდა შპს "... " და იგი აღიარებული იქნა შპს "... " სამართალმემკვიდრედ. შპს "... " დაფუძნებული იყო "მეწარმეთა შესახებ" 28.10.94წ. კანონის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო "მეწარმეთა შესახებ" კანონის ამოქმედების თაობაზე" 28.10.94წ. საქართველოს პარლამენტის დადგენილების მეორე პუნქტით განისაზღვრა, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის ამოქმედებამდე კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი რეგისტრაციაგაუქმებულად გამოცხადდებოდნენ. ვინაიდან მრავალდარგობრივ კომერციულ ფირმა "... " ხელახალი რეგისტრაცია 1996 წლის 1 სექტემბრამდე არ გაუვლია, იგი გამოცხადდა ლიკვიდირებულად.

ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 31.05.06წ. გადაწყვეტილებით შპს "... " სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. ¹⁴⁶ დადგენილების პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი და ამავე დადგენილების მესამე ნაწილი, ბათუმის მერიას დაევალა 23.08.94წ. ¹⁴³⁷ გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ქ. ბათუმის მერიის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის მერიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.02.07წ. განჩინებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის

საქალაქო სასამართლოს 31.05.06წ. გადაწყვეტილება. მითითებული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ.

საქმე არაერთგზის იქნა განხილული ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოების მიერ და ბოლოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგების აქტი. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო გაუქმდა ამ საქმეზე მიღებული, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. გადაწყვეტილება და სსკ-ის 272-ე მუხლის "თ" ქვეპუნქტის თანახმად შეწყდა საქმის წარმოება.

ქ. ბათუმის მერიამ 17.06.09წ. და შპს "... " 07.07.09წ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.07.09წ. განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 11.09.09წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიისა და შპს "... " განცხადებებზე შეჩერდა საქმის წარმოება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადების განხილვამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 07.10.09წ. განჩინებით აჭარისა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. №ს-487-466(კ-08) განჩინების ბათილად ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. განჩინება ქ. ბათუმის მერიისა და შპს "..."-ს შორის მორიგების დამტკიცების შესახებ და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საკასაციო პალატის მითითებით განცხადებაზე თანდართული მასალებით დგინდებოდა, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 08.10.07წ. №01-22/3351 წერილის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 15.10.07წ. გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში, ... ქ. №20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 268 კვ.მ სპორტული მოედნით დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად. საქართველოს მთავრობის 05.12.07წ. №770 განკარგულებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სხვა ქონებასთან ერთად, საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. №20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 09.01.08წ. №1-1/8 ბრძანებით საქართველოს მთავრობის ზ/აღნიშნული განკარგულების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. №20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 06.02.08წ. გაფორმდა ხელშეკრულება ქონების გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება 07.02.08წ. რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს არ წარუდგენიათ და არც ამ გარემოებაზე მიუთითებიათ.

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას. ამდენად, სადავო ქონებაზე სასამართლოში საქმის წარმოებისას იგი იყო დაინტერესებული მხარე, ვინაიდან დავის საგანი (ქ. ბათუმში, ... ქ. №20^ა-ში მდებარე 497,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) წარმოადგენდა მის მართვა-გამგებლობაში შემავალ ქონებას. სსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობი-

ლი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მორიგების დამტკიცების შესახებ 22.04.09წ. განჩინება გაუქმდა და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 28.10.09წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიისა და შპს "... " განცხადებებზე განახლდა საქმის წარმოება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ქ. ბათუმის მერიის და შპს "... " განცხადებებზე შეწყდა საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 08.10.07წ. ¹01-22/3351 მომართვის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 15.10.07წ. გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში, ... ქ. ¹20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული 268 კვ.მ სპორტული მოედნით დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრებად. "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 05.12.07წ. ¹770 განკარგულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას სხვა ქონებასთან ერთად საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. ¹20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 09.01.08წ. ¹1-1/8 ბრძანებით საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ... ქ. ¹20^ა-ში მდებარე 489,4 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის 06.02.08წ. გაფორმდა ხელშეკრულება ქონების გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება 07.02.08წ. რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ.

სადავო ქონებაზე სასამართლოში საქმისწარმოებისას, კერძოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო იყო დაინტერესებული მხარე და დავის საგანი (ქ. ბათუმი, ... ქ. ¹20^ა-ში მდებარე 497,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი) წარმოადგენდა მის მართვა-გამგებლობაში შემავალ ქონებას, რის გამოც სსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული პირის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადების საფუძველზე, გაუქმდა კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.04.09წ. განჩინება ქ. ბათუმის მერიისა და შპს "..."-ს შორის მორიგების დამტკიცების შესახებ და ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 23.10.09წ. განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და აღნიშნა, რომ სადავოდ ხდიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. გადაწყვეტილების გაუქმება და იმავე სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, რასაც კასატორიკ დაეთანხმა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება საქმეში ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. განსახილველ შემთხვევაში საქმეში არ არის ჩაბმული სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე, მან უარი განაცხადა საკასაციო ინსტანციაში მესამე პირად ჩაბმაზე და სადავოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. საჯარო რეესტრის 07.02.08წ. ამონაწერით დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. ¹20^ა მდებარე 489,4 კვ.მ. მიწის

ნაკვეთის მესაკუთრე არის სახელმწიფო. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას. ამდენად, იგი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან, მათ შორის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წამოჭრილ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს და ამ სახის დავა შეეხება მის ინტერესებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახალი განხილვისას საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ პირები, რომელთა იურიდიული ინტერესის არსებობა განსახილველი დავის მიმართ დადასტურებულია სათანადო მტკიცებულებებით და სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოქმედებას მოახდენს მათ უფლებებზე.

სსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება სამართალურთიერთობის მონაწილე მხარის დაუსწრებლად ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობა, სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს პირთა წრე, რომლებსაც იურიდიული ინტერესი გააჩნიათ განსახილველი დავის მიმართ, დავაში უნდა ჩააბას სამართალურთიერთობის მონაწილე ყველა პირი, დააზუსტოს დავის საგანი და სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.02.08წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საოლოოა და არ საჩივრდება.

აუცილებელი მოწვევის მესამე პირის ჩაბმა პროცესში

განჩინება

1ბს-1023-981 (კს-09) 12 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 აგვისტოს დ. ლ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და სს "...-ის" მიმართ.

მოსარჩელემ _ დ. ლ-მემ განმარტა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 27 ივნისის 185 გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე კომისიის მიერ გაცემული 15087 საკუთრების მოწმობა, რის საფუძველზეც საკუთრებაში გადაეცა სოფ. ...-ში მდებარე, მის მიერ თვითნებურად დაკავებული 2970 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, . გადაწყვეტილების მიღებას საფუძველად დაედო სს "...-ის" 2008 წლის 18 აპრილს წარდგენილი კორექსონდენციისა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერების განხილვა. აღნიშნული დოკუმენტაციით დადგინდა იქნა სს "...-ის" საკუთრების უფლება იმ ნაკვეთებზე, რომლებზეც კომისიის მიერ გაცემული იყო საკუთრების მოწმობები.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ამავე კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ქმნიდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ლ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ლ-მემ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებით შუამდგომლობა საქმეში ნ. კ-მის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საკუთრების აღიარების კომისიის მიერ ნ. კ-მეზე გაიცა საკუთრების მოწმობა დ. ლ-მისათვის საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, არ ადასტურებდა ამ უკანასკნელის სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილეობის ფაქტს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებაზე ნ. კ-მის წარმომადგენელმა ვ. გ-მემ წარადგინა კერძო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაბმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 17 მაისის 168 გადაწყვეტილებით და მის საფუძველზე გაცემული 18167 მოწმობით ნ. კ-მეს საკუთრებაში გადაეცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ...-ში მდებარე 2381,61 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ფარავდა მანამდე დ. ლ-მეზე საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთიდან 970 კვ. მეტრს. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ მისი მარწმუნებელი არის სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე პირი, ვინაიდან თუ დაკმაყოფილება დ. ლ-მის სარჩელი და ბათილად იქნება ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, აღდგება ამავე კომისიის 2008 წლის 15 იანვარს დ. ლ-მეზე გაცემული 15087 საკუთრების მოწმობა. ამდენად, დ. ლ-მის საკუთრების მოწმობა წინააღმდეგობაში მოვა ნ. კ-მეზე გაცემულ საკუთრების მოწმობასთან და ერთსა და იმავე მიწის ნაკვეთზე იარსებებს ორი საკუთრების მოწმობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ნ. კ-მის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ნ. კ-მის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

დადგენილია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 15 იანვრის 15087 საკუთრების უფლების მოწმობით დ. ლ-მეს სა-

კუთრებაში გადაეცა 0,2970 ჰა მიწის ნაკვეთი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ...-ში. ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 20 მაისის ¹⁸¹⁶⁷ საკუთრების უფლების მოწმობით ნ. კ-ძეს საკუთრებაში გადაეცა 2381,61 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ...-ში. ამავე კომისიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი ¹⁸⁵) ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2008 წლის 15 იანვარს დ. ლ-ძის სახელზე გაცემული ¹⁵⁰⁸⁷ საკუთრების უფლების მოწმობა. დ. ლ-ძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ აღძრული სარჩელით ითხოვდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების (¹⁸⁵ ოქმის) ბათილად ცნობას. ნ. კ-ძე აღნიშნულ დავაში მესამე პირად ჩართვის ინტერესს ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ დ. ლ-ძისა და მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით ხდებოდა ურთიერთგადაფარვა დაახლოებით 970 კვ.მ-ზე, ხოლო სასამართლოს მიერ აღიარების კომისიის 2008 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების (¹⁸⁵ ოქმის) ბათილად ცნობით მოხდებოდა აღდგენა ამავე კომისიის 2008 წლის 15 იანვრის ¹⁵⁰⁸⁷ საკუთრების მოწმობის, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში იქნებოდა ნ. კ-ძისათვის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ამავე კომისიის გადაწყვეტილებასა და ¹⁸¹⁶⁷ საკუთრების უფლების მოწმობასთან.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირადავით იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქმის განხილვის შედეგზე და აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით დ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება დ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის ^{1259-2/38} წერილით დადგენილ იქნა, რომ ^{13/ზ-273-2009} ადმინისტრაციულ საქმეზე დ. ლ-ძის სარჩელისა გამო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის და ს/ს "...-ის" მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული 2009 წლის 23 ივნისის განჩინება 2010 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით მხარეთა მიერ საკასაციო წესით გასაჩივრებული არ არის. დადგენილია, რომ მხარეებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება ჩაბარდათ 2009 წლის 1 ივლისს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვა არსებითად დასრულებულია, დღეისათვის გასულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლით დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების ერთთვიანი ვადა და მხარეებს საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე (2009 წლის 23 ივნისის განჩინებაზე) საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა არ გამოუყენებიათ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივრის განხილვის შედეგი უშუალო გავლენას ვერ მოახდენს საქმის დღეისათვის არსებულ საბოლოო შედეგზე. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია პირის უფლებების დაცვის არაერთი მექანიზმი, რითაც, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აუცილებელი მოწვევის მესამე პირის ჩაზმა პროცესში

განჩინება

¹ბს-1424-1360(კ-კს-09) 11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 22 ოქტომბერს თ. შ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნა, რომ 2006 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მის მომიჯნავედ, ქ. თბილისში, საექიმოს მეორე შესახვევის ¹100-ში მცხოვრები კ-ვების ოჯახი გაფრთხილებული იყო, არ ეწარმოებინათ საძინებელი ოთახების მხრიდან ტერიტორიის თვითნებური მითვისება და შემოღობვა. ამის მიუხედავად, მათ 2006 წლის 3 მარტს საძინებელი ოთახების მხრიდან საყრდენ კედელში თვითნებურად გაჭრეს ფანჯარა, ჩასვეს გარეთ გასასვლელი კარი და გაიკეთეს დამატებითი შესასვლელი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, კ-ვების მიმართ 2006 წლის 6 მარტს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რის შემდეგაც ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით დაჯარიმდნენ, მაგრამ არ დაკისრებიათ ჩაჭრილი კედლის პირვანდელ მდგომარეობამდე ამოშენების ვალდებულება და შესასვლელის გაუქმება. 2006 წლის 20 აპრილს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ კ-ვების ოჯახის მიმართ გაკეთდა მოთხოვნა, უკანონო, თვითნებური მიშენების დემონტაჟის შესახებ, იმის გამო რომ ოჯახი არ იმყოფებოდა საქართველოში, 2007 წლის 1 თებერვალს, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება უნებართვო მიშენების დემონტაჟის შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, თუმცა საძინებელი ოთახის მხრიდან ჩაჭრილი კედელი, ფანჯრის ადგილზე ჩასმული კარი და საძინებელი ოთახის მხრიდან მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობა, რაზედაც კ-ვების ოჯახი იყო დაჯარიმებული, დარჩა უცვლელი და არ იქნა აღნიშნული მიყვანილი პირვანდელ მდგომარეობამდე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2006 წლიდან ვერ სარგებლობდა საძინებელი ოთახით, იმის გამო რომ კ-ვების ოჯახისა და მათი სტუმრების ნებისმიერი ქმედებით გამოწვეული ხმაური პირდაპირ იჭრებოდა მისი საძინებელი ოთახის დახურულ თუ ღია ფანჯარაში, არ აძლევდა მას ძილისა და დასვენების საშუალებას, რაც ზიანს აყენებდა მის ცხოვრებასა და ჯანმრთელობას. მან ამის თაობაზე არაერთხელ მიმართა საჩივრით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, თუმცა პასუხად საჩივარზე უარი მიიღო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისთვის ქ. თბილისში, ... მეორე შესახვევის ¹100-ში მცხოვრები კ-ვების ოჯახისათვის, მათი ბინის საძინებელი ოთახების მხრიდან უნებართვოდ ჩაჭრილი საყრდენი კედლის ამოშენება, არსებული კარის გაუქმება და იზოლირებული კორპუსის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალდებულება მოითხოვა.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ განაცხადა, რომ ახდენდა სარჩელის ტრანსფორმირებას და საბოლოოდ მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის ქ. თბილისში, ... მეორე შესახვევის ¹100-ში მცხოვრები მ. კ-ვას მიმართ, საძინებელი

ოთახების მხრიდან საცხოვრებელი კორპუსის გარედან უნებართვოდ გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის გაუქმება და იზოლირებული კორპუსის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით, ამ დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაება მ. კ-ვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით თ. შ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... შესახვევ 12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, დავალა ამ დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა; ამასთან, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაეკისრა მოსარჩელე თ. შ-შვილის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის საოქმო განჩინებით თ. შ-შვილის შუამდგომლობა საქმეში ი. კ-ვას ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალდამრღვევს წარმოადგენდა მ. კ-ვა, ი. კ-ვას მესამე პირად ჩაბმის საფუძველი კი არ არსებობდა, ვინაიდან აღნიშნულ საქმეში იგი არ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ პირს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის საოქმო განჩინებაზე თ. შ-შვილმა კერძო საჩივარი წარადგინა, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ი. კ-ვა, როგორც მესამე პირად ჩაბმული მ. კ-ვას მეუღლე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაბმული. სააპელაციო სასამართლომ კი უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა აღნიშნულის თაობაზე და უკანონოდ არ ჩააბა ი. კ-ვა საქმეში სავალდებულო მიწვევის მესამე პირად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული თ. შ-შვილის კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა თ. შ-შვილის კერძო საჩივართან ერთად დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2010 წლის 11 თებერვალს, 12.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა თ. შ-შვილის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. შ-შვილი წარმოდგენილი კერძო საჩივრით სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ითხოვს საქმეში ი. კ-ვას მესამე პირად ჩაბმას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკითხს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რომელი მესამე პირია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე, ან არის თუ არა საერთოდ, წყვეტს სასამართლო, მიუხედავად იმისა, მე-16 მუხლის რომელი ნაწილით ითხოვს განმცხადებელი საქმეში მესამე პირად ჩაბმას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე პირად ი. კ-ვას ჩაბმის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის განსაზღვრას, წარმოადგენს თუ არა იგი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. შ-შვილის სარჩელის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, მ. კ-ვას მიერ ქ. თბილისში, ... შესახვევ 12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის გარედან კანონდარღვევით გაჭრილი კარისა და თვითნებურად გაკეთებული შესასვლელის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, დაევალა ამ დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2006 წლის 6 მარტს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150¹ მუხლის შესაბამისად, შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი მ. კ-ვას მიმართ, ხოლო 2006 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება მ. კ-ვას დაჯარიმების შესახებ. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეს წარმოადგენს მ. კ-ვა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ საქმეში უკვე ჩაბმულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ. შ-შვილი ითხოვს საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ი. კ-ვას მესამე პირად ჩაბმასაც, მაშინ როდესაც საქმეში უკვე მონაწილეობს ხსენებული სამართალურთიერთობის მონაწილე ი. კ-ვას მეუღლე მ. კ-ვა. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ი. კ-ვას მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირად ჩაბმის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. შ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. შ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სავალდებულო მოწვევის მესამე პირის თანხმობის აუცილებლობა სარჩელის გამოხმობისას
განჩინება**

1ბს-429-412(კს-10) 21 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სარჩელის გამოხმობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 მარტს სპს "...-მა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების _ ოქმი ¹⁶⁹ იმ ნაწილში ბათილად ცნობას, რომლითაც უარი ეთქვა სპს "...-ს" განცხადების დაკმაყოფილებაზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით ასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით სპს "...-ის" სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს "...-მა".

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე სპს "...-ის" წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სარჩელის გამოხმობა და მისი განუხილველად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით სპს "...-ის" შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება და სპს "...-ის" სარჩელი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. საქმის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე სპს "...-მა" გამოიხმო რა სარჩელი და შუამდგომლობას სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაეთანხმნენ მოპასუხეებიც, სასამართლო უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს სპს "...-ის" სასარჩელო განცხადება.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქმეში ჩაბმული იყო სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, "ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მო-

სარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.”

აღნიშნულიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო მითითებულ საქმეში წარმოადგენდა რა სასკ-ის 16.2 მუხლით ჩაბმულ მესამე პირს, მას ეკისრებოდა მოპასუხის მოვალეობა ისევე, როგორც დანარჩენ მოპასუხეებს.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თავდაცვის სამინისტრო არ დაეთანხმა შუამდგომლობას სარჩელის გამოხმობის თაობაზე, რაც სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო უფლებბელყო თავდაცვის სამინისტროს, როგორც პროცესუალური მხარის უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებულ განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, გაიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე, სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტი საპროცესო კანონმდებლობაში განსხვავდება სარჩელზე უარის თქმის ინსტიტუტისაგან, რამდენადაც სარჩელზე უარის თქმას უკავშირდება საქმის წარმოების შეწყვეტა, რადროსაც მოსარჩელე კარგავს უფლებას, აღძრას სარჩელი იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველით, იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულისაგან განსხვავებით სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მოსარჩელე ინარჩუნებს უფლებას, აღძრას იმავე სახის სარჩელი, თუმცა, საგულისხმოა, რომ ორივე ზემოაღნიშნული საპროცესო მოქმედება წარმოადგენს მხარეთა დისპოზიციურობის კონკრეტულ გამოვლინებას და დამოკიდებულია მთლიანად პროცესის მონაწილე მხარეთა ნების თავისუფლებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების სპეციფიკას და საჭიროდ მიიჩნევს ადმინისტრაციულ პროცესში მე-3 პირის ინსტიტუტის სამართლებრივ მიმოხილვას, რომლის შემოღებაც უკავშირდება ამ კატეგორიის პირთა ინტერესების დაცვას, ადმინისტრაციული პროცესის ეკონომიურობის შენარჩუნებას და სამართლებრივ უზრუნველყოფას.

როგორც ცნობილია, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი კატეგორიის მე-3 პირებს. მე-3 პირები, რომელთა საქმეში ჩაბმა წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და მე-3 პირები, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა იქნენ საქმეში ჩაბმულნი.

ადმინისტრაციულ პროცესში მე-3 პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება მე-3 პირთა საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მე-3 პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მე-3 პირები. კანონმდებელი, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილი, ამ უკანასკნელის საპროცესო უფლებებს მხარეთა ზოგად უფლებებს უთანაბრებს. კერძოდ, აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირი სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა ვალდებულება, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მე-3 პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

სარჩელის გამოხმობის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ანალიზი, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში სახეზეა 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირების ინტერესთა თანხვედრა დავის საგანთან, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით მოწვეული მე-3 პირები პროცესულურად არ არიან ვალდებული, აღძრან სარჩელი. აღნიშნული საპროცესო მოქმედების განხორციელების გარეშეც ისინი შეუზღუდავად სარგებლობენ მხარის უფლება-მოვალეობებით.

როგორც აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის შესაბამისად, სარჩელის გამოხმობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოპასუხის თანხმობა. წინამდებარე დავაში კერძო საჩივრის ავტორი აღჭურვილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირის სტატუსით, რაც მას, აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს მხარისათვის მინიჭებული ყველა უფლებით. აღნიშნული კი, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ მოპასუხის თანხმობასთან ერთად, სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, სავალდებულოა 16.2 მუხლით ჩაბმული მესამე პირის თანხმობაც.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმული მე-3 პირია და საქმეში არ არის დაფიქსირებული მისი თანხმობა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ მოახდინოს სარჩელის გამოხმობა, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლით განსაზღვრული წანამდგვრები, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მოწვევის მესამე პირი

განჩინება

1ბს-1369-1308(კ-10) 21 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 იანვარს გ. დ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და მესამე პირის – ლ. თ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში მიუთითა, რომ ცხოვრობს ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში, სადაც საერთო საკუთრებაში, მეზობელ თ. დ-ტთან ერთად აქვს 960 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საკუთარი სახლი განთავსებული 140,83 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

აჭარის სააღსრულებო ბიურომ კრედიტორ ლ. თ-შვილის ვალის დასაფარად აუქციონზე ორჯერ გაიტანა მხოლოდ გ. დ-მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი. აუქციონზე მყიდველის გამოუცხადებლობის გამო, აჭარის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2006 წლის 14 ნოემბერს გაცემულ იქნა 2-1033 განკარგულება, რომლის თანახმად, კრედიტორს – ლ. თ-შვილს საკუთრებაში გადაეცა გ. დ-მის კუთვნილი ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესწორების შეტანა იმ საფუძველით, რომ აუქციონზე კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მხოლოდ საცხოვრებელი სახლი იყო გატანილი და სააღ-

სრულეზო სამსახურის განკარგულებაც კრედიტორის საკუთრებაში სახლის და არა მთლიანი მიწის ნაკვეთის გადაცემას ეხებოდა, რაზეც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 4 იანვრის წერილით უარი ეთქვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე გ. დ-მე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დავალებოდა შესწორების შეტანა ლ. თ-შვილის სახელზე გაცემულ საჯარო რეესტრის ამონაწერში და ლ. თ-შვილის სახელზე აღერიცხა მხოლოდ საცხოვრებელი სახლი, განთავსებული 140,83 კვ.მ ნაკვეთზე. მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრებით თ. ლ-ტთან ერთად აღერიცხა გ. დ-მის საკუთრებაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით გ. დ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი ლ. თ-შვილისა და მოსარჩელე გ. დ-მის მიმართ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის მიერ 2008 წლის 4 იანვარს გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2006 წლის 16 ნოემბერს განხორციელებული ჩანაწერი ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში მდებარე 960,0 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელ 140,83 კვ.მ-ზე მესამე პირის _ ლ. თ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, 960,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის ლ. თ-შვილის საკუთრებაში აღრიცხვის ნაწილში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ჩანაწერის შესრულება ქ. ბათუმში, ... ჩიხი 15-ში მდებარე 960,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელე მ. დ-მის თანასაკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქართველოს კანონის "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" მე-16 მუხლის, აგრეთვე, ამავე კანონის ამაჟამად მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის თანახმად, ხაზობრივი ნაგებობა არის უძრავი ნივთის ისეთი არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ცალკე უფლების ობიექტია და შესაძლებელია მისი რეგისტრაცია რეესტრში ცალკე უფლებად.

აქედან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. დ-მის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ... ჩიხი 15-ში მდებარე საცხოვრებელი 140,83 კვ.მ არის მისივე თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ცალკე უფლების ობიექტს, აქედან გამომდინარე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს ის უნდა გაეტარებინა, როგორც ლ. თ-შვილის საკუთრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხემ _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა და ასევე, მესამე პირმა _ ლ. თ-შვილმა და სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2008 წლის 3 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გამოიტანა განჩინება, რომლის თანახმადაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის იმ დროისათვის მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის "რ" პუნქტის შესაბამისად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს უფლების დამდგენი დოკუმენტი, ხოლო ასეთ დოკუმენტად ითვლება ადმინისტრაციული აქტი, სასამართლო გადაწყვეტილება და სხვა დოკუმენტი. ამავე კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, საჯარო რეესტრში უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

აჭარის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო ადმინისტრაციის 2006 წლის 14 ნოემბრის განკარგულებით კრედიტორ ლ. თ-შვილს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში და არა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მთლიანი მიწის ნაკვეთი, 960 კვ.მ ფართით. შესაბამისად, რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის წერილით, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, დაირღვა "უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის შესახებ" კანონის ნორმები.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. თ-შვილმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მის სააპელაციო საჩივარზე და ასევე იმას, რომ მისთვის უცნობი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი ამ საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული ცნობილი გახდა მისთვის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების შემდგომ.

კასატორი, აგრეთვე, აღნიშნავდა, რომ მითითებული საქმის განხილვა არ შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელე გ. დ-ძისთვის აღსრულების პროცესში იმთავითვე იყო ცნობილი ლ. თ-შვილის მიწის საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ, რაც დასტურდება საქმეში არსებული სასამართლო სააღსრულებო ბიუროს აქტის გასაჩივრების შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით და თუნდაც იმითაც, რომ ამჟამად მოწინააღმდეგედ წოდებული – გ. დ-ძე იყო სწორედ ის პიროვნება, რომელმაც თავისივე ქონება დატვირთა იპოთეკით და რაც იპოთეკის საგანს მისივე ნების გამოხატვით წარმოადგენდა.

გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევდა, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იპოთეკით წარმოშობილი ვალდებულების არსებობა არ არსებობის, მისი საგნისა და საფუძვლის შესახებ, რაც იმთავითვე სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ სამოქალაქო განხილვის წესით წარმოშობილ დავაზე და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება სადავო საკითხის ადმინისტრაციული წესით განხილვა.

სასამართლოებმა ასევე აღსრულების მიღმა დატოვეს საჯარო რეესტრში ქონების აღრიცხვის საფუძვლები, რომლებიც არის იპოთეკის ხელშეკრულება, დარეგისტრირებული ამავე რეესტრში და სასამართლო სააღსრულებო ბიუროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტი, რომელიც თუმცა გასაჩივრდა გ. დ-ძის მიერ, მაგრამ არ დაკმაყოფილდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ და შესულია კანონიერ ძალაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის განჩინებით ლ. თ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება; დამტკიცდა ლ. თ-შვილსა და გ. დ-ძეს შორის 2009 წლის 22 ივლისის გაფორმებული მორიგების აქტი. აქტი ითვალისწინებს შემდეგ პირობებს: 1) გ. დ-ძემ აიღო ვალდებულება, 2009 წლის 30 ოქტომბრამდე გადაუხადოს ლ. თ-შვილს 27000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდაც ლ. თ-შვილმა აიღო ვალდებულება, გ. დ-ძეს საკუთრებაში გადასცეს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი მდებარე: ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში; 2) აღნიშნული შეთანხმების თანახმად, ლ. თ-შვილმა უარი თქვა სააპელაციო საჩივარზე. 3) თუ გ. დ-ძე 2009 წლის 30 ოქტომბრამდე არ გადაიხდის 27000 აშშ დოლარს, მაშინ ლ. თ-შვილი გაყიდის საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთს ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში.

მხარეთა მორიგების გამო შეწყდა საქმის წარმოება ლ. თ-შვილის სააპელაციო საჩივარზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა.

კასატორმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა გასაჩივრების შემდეგ საფუძვლებს: 1) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის პროცესში საერთოდ არ გაუმახვილებია ყურადღება აპელანტ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარზე, ასევე, მას არ გაუთვალისწინებია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არსებითად მიიჩნია იმის დადგენა, იყო თუ არა ცალკე უფლების ობიექტად აღრიცხული საჯარო რეესტრში ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში განთავსებული 140.83 კვ.მ შენობა-ნაგებობა და რამდენად იყო შესაძლებელი ხელშეკრულების დადების მომენტში მისი ცალკე უფლების ობიექტად განხილვა. ასევე არსებითად იქნა მიჩნეული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ აუქციონის კანონიერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებაც. 2) საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ გ. დ-ძემ მემკვიდრეობით მიიღო 140.83 კვ.მ შენობა ნაგებობები გან-

თავსებული საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში. ასევე ლ. თ-შვილსა და გ. დ-ძეს შორის 2005 წლის 11 მარტს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნად მითითებულია 140.83 კვ.მ შენობა-ნაგებობები (მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრება), ქ. ბათუმში, ... ჩიხის 15-ში. აღნიშნული გარემოებები არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას არ იქნა გათვალისწინებული. 3) სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული "უძრავ ნივთებზე რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. დ-ძის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ხაზობრივ ნაგებობას და ამდენად იგი ცალკე უფლების ობიექტია. 4) სააპელაციო სასამართლომ 2009 წლის 24 ივლისის განჩინებით ლ. თ-შვილსა და გ. დ-ძეს შორის დამტკიცდა მორიგება, ე.ი. მორიგების აქტით სააპელაციო სასამართლო ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნის ლ. თ-შვილს და არა გ. დ-ძეს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება.

კასატორი მიიჩნევდა, რომ სააპელაციო საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე; 377-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები; 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" და "გ" პუნქტები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება და რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმების საფუძველს.

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და იმავე განჩინებით მორიგება დამტკიცა მოსარჩელესა და მე-3 პირს შორის 2009 წლის 22 ივლისის გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და თვლის, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საპროცესო სამართალწარმოების პრინციპებთან.

როგორც სამოქალაქო ისე ადმინისტრაციულ სასარჩელო წარმოებაში, როგორც წესი, მონაწილეობს ორი მხარე: მოსარჩელე და მოპასუხე. მოსარჩელე არის პირი, რომელმაც სასამართლოში აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით, დაარღვია ან სადავოდ გახადა მისი უფლებები. ამდენად, სასარჩელო წარმოება აუცილებლად გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეთა არსებობას და დავას მათ შორის.

წინამდებარე საქმეში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს _ გ. დ-ძე, ხოლო მოპასუხეს _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. ამდენად, პროცესში მოდავე მხარე არის ორი, ხოლო ყველა დანარჩენი არის პროცესის მონაწილე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავს დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მითითებულ ნორმაში არსებულ ჩანაწერს, სადაც საუბარია მხარეთა და არა პროცესის მონაწილეთა შესაძლებლობაზე საქმე დაასრულონ მორიგებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინამდებარე დავაში მხარეებს წარმოადგენენ გ. დ-ძე და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური, რაც შეეხება ლ. თ-შვილს,

ის განსახილველ საქმეში ჩართულია მე-3 პირად, რაც მას ანიჭებს პროცესის მონაწილის და არა მხარის სტატუსს.

საკასაციო სასამართლო დავის საგნისა და დავის საგნისადმი ლ. თ-შვილის ინტერესის გათვალისწინებით უდავოდ მიიჩნევს, რომ ლ. თ-შვილი საქმეში ჩაბმულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და წარმოადგენს "აუცილებელი", "სავალდებულო" მოწვევის მესამე პირს, რომელიც ამავე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მიუხედავად ლ. თ-შვილისათვის მინიჭებული განსაკუთრებული პროცესუალური სტატუსისა, ის არ წარმოადგენს მხარეს, ამასთან, იმავე ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად თვლის მორიგებას ამ უკანასკნელის ნების არარსებობის შემთხვევაში. რაც არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ შესაძლებელია მხარესა და პროცესის მონაწილე პირს შორის შესდგეს მორიგება იმ პირობებში, როდესაც მორიგებაში არ მონაწილეობს პროცესის ერთ-ერთი მხარე და მისი ნება დადგენილი არ არის.

საკასაციო სასამართლო უდავოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს სასამართლოს მხრიდან დავის მორიგებით დასრულებას და თვლის, რომ სასამართლოს უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს არსებული კომფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირება, მაგრამ იმავდროულად შეუძლებლად მიიჩნევს განჩინების არსებული სახით ძალაში დატოვებას იმ პირობებში, როდესაც მორიგებაში არ მონაწილეობს მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური. ამავე გარემოებაზე მითითებით, საკასაციო სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი საფუძველების შემოწმებას და თვლის, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბ. არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლა

განჩინება

18ს-1411-1369(გ-08) 9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
პ. სილაგამე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 ნოემბერს ნ. და რ. გ-ძეგბმა, ი. მ-შვილმა, ა. ღ-ძემ, რ. შ-ძემ, ზ. ხ-ძემ, ზ. ბ-ძემ და ნ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე შპს "...-ის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ნ. და რ. გ-ძეები მანამდე, ხოლო დანარჩენები იმჟამადაც მუშაობდნენ შპს "...-ის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, სოფელ წიფაში, რომელიც "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2002 წლის 25 დეკემბრიდან მიეკუთვნებოდა მაღალმთიან რეგიონს და მოსარჩელები იმავე სოფელში ცხოვრობდნენ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ნ. გ-ძეზე, როგორც ერთშვილიან პირზე, უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ნ. გ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 703,69 ლარი. რ. გ-ძეს ჰყავდა ორი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. რ. გ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 711,89 ლარი. ი. მ-შვილს ჰყავდა ორი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზე ასევე უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ი. მ-შვილისათვის დასაბრუნებელმა თანხამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 582,87 ლარი. ა. ლ-ძეზეც, როგორც ორშვილიან პირზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, უნდა გავრცელებულიყო საშემოსავლო გადასახადზე 50%-იანი შეღავათი. მოპასუხეს უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული და არ დაეკავებინა მისთვის საშემოსავლო გადასახადზე 50% 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. ა. ლ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ, საბოლოო ჯამში, შეადგინა 617,64 ლარი. რ. შ-ძეს ჰყავდა სამი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზე უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეჭვითათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია 2003 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით. რ. შ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 1193,77 ლარი. ზ. ბ-ძეს ჰყავდა სამი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზეც უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეჭვითათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია და ზ. ბ-ძისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 1303,38 ლარი. ნ. ბ-შვილს ჰყავდა ოთხი შვილი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, მასზე უნდა გავრცელებულიყო შეღავათი და მისთვის არ უნდა დაეჭვითათ საშემოსავლო გადასახადი, რაც მოპასუხეს არ გაუკეთებია და ნ. ბ-შვილისათვის დასაბრუნებელმა თანხამ შეადგინა 538,25 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს საშემოსავლო გადასახადის სახით მათთვის უკანონოდ დაბეგრული, ზემოთ მითითებული თანხების მათ სასარგებლოდ გადახდის მოპასუხისთვის დაკისრება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს, რომელმაც მოცემული საქმე განიხილა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს "...-ის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციას დაეკისრა ხელფასიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხების 50%-ის დაბრუნება, კერძოდ, ნ. გ-ძის სასარგებლოდ – 703,69 ლარის, რ. გ-ძის სასარგებლოდ – 711,89 ლარის, ი. მ-შვილის სასარგებლოდ – 582,87 ლარის, ა. ლ-ძის სასარგებლოდ – 617,64 ლარის დაბრუნება, ასევე, საშემოსავლო გადასახადის თანხების 100%-ის დაბრუნება, კერძოდ, რ. შ-ძის სასარგებლოდ – 1280,12 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ – 1193,77 ლარის, ზ. ბ-ძის სასარგებლოდ – 1303,38 ლარის, ნ. ბ-შვილის სასარგებლოდ – 538,25 ლარის დაბრუნება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "...-მ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება. აპელანტმა – შპს "...-მ" მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო, რადგან საქმე განხილული იყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის კანონიერებას და მოითხოვდნენ უკანონოდ, ანუ ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების დაბრუნებას, რაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ამდენად, არსებობდა საგადასახადო სამართალური თეროზიდან გამომდინარე ადმინისტრაციული დავა.

აპელანტმა მიუთითა, რომ შპს "...“ ამ საქმეში იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად შპს "...“ უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით, რადგან საქართველოს ძველი და ახალი საგადასახადო კოდექსების 23-ე და 218-ე მუხლების თანახმად, შპს "...“, როგორც დამქირავებელი, იყო საგადასახადო აგენტი, რომელიც ახდენდა საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშებას, გადამხდელისათვის მის დაკავებას და გადასახადის თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვას. საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრული საშემოსავლო გადასახადის თანხა შპს "...-ის“ ანგარიშზე არ ჩარიცხულა და შპს "...-ს“ რაიმე ფინანსური სარგებელი კი არ მიუღია, არამედ საშემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაბამისად, მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრული საშემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო მოცემულ საქმეში შპს "...“ იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა სადავო ურთიერთობაში, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინებით შპს "...-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება; ნ. და რ. გ-ძიების, ი. მ-შვილის, ა. ლ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იდენტურ საქმეზე მიღებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 თებერვლის 1ბს-834-799(გ-06) განჩინებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ურთიერთობა მოსარჩელებს, როგორც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, ხოლო მოპასუხე შპს "...“ წარმოადგენდა შუამავალს, ე.წ. საგადასახადო აგენტს, რომელსაც სახელმწიფოსაგან დაკისრებული ჰქონდა გადასახადის გამოანგარიშების, გადამხდელთათვის მისი დაკავებისა და შესაბამის ბიუჯეტში გადარიცხვის სპეციალური მოვალეობა (საქართველოს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის 23-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის – შპს "...-ის“ სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე – შპს "...-ის“ ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე. შპს "...-ის“ გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანცია არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს და მას არ შეეძლო ცალკე გამოსვლა სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ და ამდენად, მის მაგივრად საქმეში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო შპს "...“.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით თავდაპირველი მოპასუხე შპს "...“, მოსარჩელეთა თანხმობით, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "...“ მოცემულ საქმეში ჩაება მესამე პირად.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ნ. და რ. გ-ძიების, ი. მ-შვილის, ა. ლ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (მესამე პირი – შპს "...“) მიმართ, ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიულ განსჯადობასა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილ სარჩელის უფლებამოსილი სასამართლოსთვის წარდგენაზე და მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ლ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი არ ცნო და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრით (საგადასახადო ინსპექცია).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 29 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ლ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის (მესამე პირი – შპს "...") მიმართ, ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების შესახებ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხე იურიდიული პირის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სარჩელის საგანია ხელფასის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, ანუ როგორც მოსარჩელეთა ხელფასების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის უკანონოდ მიჩნევა და შემდგომში ამ გადასახადით მათი (იმ მოსარჩელების, რომლებიც ამჟამად მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) არდაბეგვრა, ისე უკვე დაბეგრილი თანხების დაბრუნება. ამდენად, კონკრეტული სარჩელის საგანი (ამჟამად მუშაობენ მოსარჩელებთან მიმართებაში) თავის თავში მოიცავს ორ სასარჩელო მოთხოვნას. პირველი მათგანი – მომავალში მოსარჩელეთა (რომლებიც ამჟამად მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) ხელფასების საშემოსავლო გადასახადით არდაბეგვრა მიმართულია შპს "...-ის", ხოლო მეორე მათგანი – მანამდე დაბეგრილი თანხების დაბრუნება – შესაბამისი საგადასახადო ორგანოს მიმართ, რის გამოც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო უნდა დაეხმაროს მოსარჩელებს (რომლებიც ამჟამად მუშაობენ სასარჩელო განცხადებაში მათ მიერ მითითებულ ორგანიზაციაში) აღნიშნულის შესაბამისად მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლო-

ბაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ ან ორშვილიან (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი სამშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 %-ით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ორგანოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 23 აგვისტოს 1550 ბრძანების პირველ პუნქტზე, რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გამგებლობაში შექმნილი საგადასახადო ორგანოები, რომელთა შორისაც არის გორის საგადასახადო ინსპექცია. ხსენებული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საგადასახადო ორგანოების სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის 1829 ბრძანების პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, გორის საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლები.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შპს "...-მ" ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ შპს "...-მ" ამ საქმეში იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც წარმოადგენს ქ. ხაშური, რადგან საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული სამშემოსავლო გადასახადი გადაიხდებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის მთლიანი თანხა ჩაირიცხა ადგილობრივ ბიუჯეტში და, შესაბამისად, მოსარჩელეთათვის ზედმეტად დაბეგრილი საშემოსავლო გადასახადის თანხა უნდა დაბრუნებულიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა თავდაპირველი მოპასუხის – შპს "...-ის" სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით შეცვლაზე, ასევე – შპს "...-ის" ამ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "...-მ" მოცემულ საქმეში ჩააბა მესამე პირად, მაგრამ იმავე სასამართლომ, მიუხედავად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოხსენებული, მისთვის სავალდებულო მითითებისა, თავდაპირველი მოპასუხე – შპს "...-მ" (მოსარჩელეთა თანხმობით) შეცვალა არა სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი (ადგილობრივი) საგადასახადო ინსპექციით, არამედ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციით, ანუ ხაშურის რაიონულმა სასამართლომ არ შეასრულა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითება და არასწორად გადაუგზავნა მოცემული საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, თუმცა ხაშურის რაიონული სასამართლოს მხრიდან სააპელაციო სასამართლოს დასახელებული მითითების შეუსრულებლობა კონკრეტულ შემთხვევაში, გავლენას ვერ მოახდენს საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტასა და საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციამ ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ღ-ძის, რ. შ-ძის, ზ. ხ-ძის, ზ. ბ-ძისა და ნ. ბ-შვილის სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექცია მოცემულ საქმეში ვერ იქნებოდა მოპასუხე მხარე და იგი უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ისე გადაუგზავნა ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-

შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომ მასაც არ შეუცვლია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალეზა საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ, პირი (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი), რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს. ამავ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "...-ის" გაერთიანებული ელექტრომომარაგების სამმართველოს ხაშურის დისტანციაში, შესაბამისად, მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადიც გადაიხდებოდა მათი ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელზე ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის შეცვლილი საქმეში მოპასუხედ მონაწილე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, მაგრამ მოცემული საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც, პირველ ყოვლისა, უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული მითითება და არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექცია, მოსარჩელეთა თანხმობით, შეცვალოს სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელები არ იქნებიან აღნიშნულზე თანახმა, მიიღოს საპროცესო კანონით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. და რ. გ-ძეების, ი. მ-შვილის, ა. ლ-მის, რ. შ-მის, ზ. ხ-მის, ზ. ბ-მისა და ნ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლა

განჩინება

18ს-1673-1627 (კ-08) 31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 5 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "...", მოპასუხე – ქ. ბათუმის მერიის წინააღმდეგ და ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 27 თებერვლის ¹138 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მერიის 1999 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრს ეთხოვა მოცემული გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების უფლების თაობაზე არსებული ჩანაწერის გაუქმება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მართალია სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაგრამ ქ. ბათუმის მერიამ არ გაითვალისწინა მის მიერ წარდგენილი მოსაზრებები და მტკიცებულებები და 27.02.2007 წელს მიიღო ¹138 ბრძანება ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის გადაწყვეტილებების, მათ შორის 1999 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე. ამავე ბრძანებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელებინა საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება.

მოსარჩელე თვლის, რომ გასაჩივრებული ბრძანების მიღებით დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მოთხოვნა. ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1999 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილება წარმოადგენს აღმქურველ სამართლებრივ აქტს, რის საფუძველზეც შპს "...", განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, კერძოდ სადავო მიწის ნაკვეთზე ააგო ბაზრობისათვის შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა ქ. ბათუმის მერიის 1999 წლის 25 ნოემბრის ¹219 გადაწყვეტილებით. ამასთან, მოსარჩელე ქ. ბათუმის მერიის 27.02.2007 წელს მიიღო ¹138 ბრძანებას უკანონოდ მიიჩნევს იმ ნაწილში, რომლითაც საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაევა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე შპს "...", საკუთრების უფლება წარმოემვა არა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 28.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილებით, არამედ – "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონის საფუძველზე. მოსარჩელეს დაუშვებლად მიაჩნია საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის გაქმება ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 28.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველზე. გარდა ამისა, შპს "...", შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება წარმოემვა ბათუმის მერიის 25.11.99 წ. ¹219 გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ბათილად ცნობილი არ არის, ე.ი. არ არსებობს შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების გაუქმების საფუძველი, რაც, მოსარჩელის მოსაზრებით, გამორიცხავს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გაუქმებას. შპს "...", განმარტავს, რომ დაუშვებელია სადავო მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭების საკითხი სადავო გახდეს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონის 5.3 მუხლით დადგენილი 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 5.11.07 წ. გადაწყვეტილებით შპს "...", სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის 27.02.07 წ. ¹138 ბრძანება იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბათუმის მერიის კაბინეტის 26.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საჯარო რეესტრისადმი მოთხოვნას, ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული საკუთრების უფლების თაობაზე არსებული ჩანაწერის გაუქმების შესახებ. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათუმის მერიის კაბინეტის 26.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაუშვებელი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს "...", განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 5.11.07 წ. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა მოითხოვა. სააპელაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ შპს "...", ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 28.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთი გადაეცა უსასყიდლოდ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით, ქ. ბათუმის მერია აღნიშნული კანონის თანახმად, არ იყო უფლებამოსილი უსასყიდლოდ, პირიდაპირი წესით განეკარგა სახელმწიფო ქონება, რის გამოც დაირღვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი და ზიანი მიადგა სახელმწიფოს ინტერესებს. ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 28.06.99 წ. ¹19 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს "...", მიერ იურიდიული

მნიშვნელობის მოქმედების განხორციელებად ვერ ჩაითვლება სადავო მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მშენებლობა, მაგრამ ასეთად მიჩნევის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოებული მშენებლობა ითვლება უკანონო მშენებლობად და ქ. ბათუმის მერია უფლებამოსილი იყო, ბათილად გამოეცხადებია აღმჭურველი აქტი, ვინაიდან არსებითად დარღვეული იყო სახემლწიფოს ინტერესები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08 წ. გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და შპს "... " სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერის 2007 წლის 27 თებერვლის ¹138 ბრძანებით მისი ძალაში შესვლის დღიდან ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს "... " თხოვნა ქ. ბათუმში, ... ქ. ¹132-ში, უნივერსამსა და სავაჭრო პავილიონს შორის, ყვავილების ბაზრის მოსაწყობად, ტერიტორიის გამოყოფის შესახებ (40,80X21,7). ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1999 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს "... " თხოვნა; ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა ქ. ბათუმში, ... ქ. ¹132-ში მდებარე ყვავილების ბაზრის შენობა. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე არ იყო უფლებამოსილი, მოეხდინა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის უფლებით პირდაპირი წესით განკარგვა, არამედ აღნიშნული უფლებამოსილება კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად გააჩნდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილება წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მართალია, აღნიშნული საფუძველით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობას, თუმცა, აღნიშნული არ გამოიცხადეს ასევე კოდექსის 218-ე მუხლის მოცემულ საკითხზე გავრცელების დამაბრკოლებელ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიაში, ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება, რის შესახებაც შპს "... " ეცნობა კანონით დადგენილი წესით. მასვე მიეცა შესაძლებლობა, ადმინისტრაციულ ორგანოში წარედგინა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შპს "... " ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილების საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება არ განუხორციელებია, თუმცა, განმარტა, რომ აღნიშნული მაინც არ წარმოადგენდა აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.08 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "... ", რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ვინაიდან წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, ბათუმის მერიის 1999 წ. 28 ივნისის ¹19 გადაწყვეტილების საფუძველზე შპს "... " მიერ იურიდიული მნიშვნელობის ქმედების განხორციელების თაობაზე სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის. შპს "... " თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" კანონი, როდესაც მიუთითა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების ან სარგებლობის უფლებით პირდაპირი წესით განკარგვაზე უფლებამოსილი პირი იყო მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ვინაიდან ეს შესაძლებლობა კანონმა გაითვალისწინა მხოლოდ 1999 წლის 22 ივლისის შეტანილი ცვლილებით. აქტის გამოცემის დროისათვის აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებდნენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. შესაბამისად, ქ. ბათუმის მერია წარმოადგენდა ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს მიეღო ამ სახის გადაწყვეტილება. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმის მერია არ იყო უფლებამოსილი, ბათილად გამოეცხადებია სხვა, უკვე ლიკვიდირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-3 ნაწილისა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კასატორი მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიის 2007 წლის 27 თებერვლის ¹138 ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 1301.09 წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული. ამავე პალატის 23.03.09 წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა საქმის განხილვის ფორმა ზეპირი მოსმენით. 29.07.09 წ. სხდომაზე კასატორის შპს "... " წარმომადგენელმა დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საქმე განხილულ იქნა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოწვევის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს "... " საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ. ბათუმის მერიის 28.06.99 წ. ¹¹⁹ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს "... " თხოვნა და ყვავილების ბაზრის მოსაწყობად ... ქ. ¹¹³²-ში და უნივერსამსა და სავაჭრო პავილიონს შორის გამოყო ტერიტორია ზომით 40,80X21,7 მეტრი. საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების ამონაწერის თანახმად, ... ქ. ¹¹³²-ში მდებარე 520,80 კვ.მ მიწის ნაკვეთი 01.09.99 წელს დარეგისტრირდა შპს "... " საკუთრებად "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" კანონის საფუძველზე. ქ. ბათუმის მერიის 25.11.99წ. ²¹¹⁹ გადაწყვეტილებით შპს "...-ის" თხოვნა დაკმაყოფილდა და მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ... ქ. ¹¹³²-ში ყვავილების ბაზრის შენობა, რაც დარეგისტრირებულ იქნა შპს "... " საკუთრებად 27.03.04 წ. მდგომარეობით 307,20 კვ.მ., ხოლო 22.09.04 წ. სასარგებლო 506,6 კვ.მ-ით. ქ. ბათუმის მერიის 27.02.07 წ. ¹¹³⁸ ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის გადაწყვეტილებები, მათ შორის 28.06.99 წ. ¹¹⁹ გადაწყვეტილება და დადგინდა ბრძანების გადაგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ამ ბრძანებით ბათილად ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების მიზნით.

ვინაიდან საკასაციო საჩივრის ავტორმა დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძველი, საკასაციო პალატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას შეამოწმებს მხოლოდ ამ ფარგლებში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ არის ჩაბმული სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, როგორც სამართალურთიერთობის მონაწილე. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ ქ. ბათუმი, ... ქ. ¹¹³²-ში მდებარე 520,80 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არის სახელმწიფო. "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის მე-3.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას (გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის მართვის უფლებით გადაცემული, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილისა), და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ამდენად, იგი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებასთან, მათ შორის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წამოჭრილ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს და ამ სახის დავა შეეხება მის ინტერესებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხელახალი განხილვისას საქმეში ჩაბმული უნდა იქნეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ვინაიდან მისი იურიდიული ინტერესის არსებობა განსახილველი დავის მიმართ დადასტურებულია სათანადო მტკიცებულებებით და სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოქმედებას მოახდენს მის უფლებებზე.

სსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება სამართალურთიერთობის მონაწილე მხარის მონაწილეობის გარეშე ქმნის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. საქმის განხილველმა სასამართლომ დავაში უნდა ჩააბას სამართალურთიერთობის მონაწილე პირი, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ყველა გარემოება,

სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "... " საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასათანადო მოპასუხის სათანადოთი შეცვლა

განჩინება

¹ბს-646-614(კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: არასწორად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის უკან დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 4 სექტემბერს ვ. წ-შვილმა, კ. ბ-ძემ, შ. ლ-ძემ, მ. ს-შვილმა, ზ. ხ-ძემ და შ. მ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "... " (ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს) და მესამე პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის, მიმართ არასწორად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის უკან დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ წლების მანძილზე მუშაობდნენ შპს "... " ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და იყვნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილეები, რის გამოც მათზე ვრცელდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი და ამდენად, ხელფასიდან არ უნდა დაქვითოდათ საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვითებოდათ 1992 წლიდან. 2000 წლიდან სარჩელის აღძვრის დრომდე მოსარჩელებს ხელფასიდან დაექვითათ საშემოსავლო გადასახადი - ვ. წ-შვილს - 6304 ლარი, შ. ლ-ძეს - 5083,79 ლარი, ზ. ხ-ძეს - 4825,24 ლარი, მ. ს-შვილს - 5933,26 ლარი, კ. ბ-ძეს - 4712,97 ლარი, შ. მ-ძეს - 5786,83 ლარი. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელებმა მიმართეს შპს "... " ხაშურის სალოკომოტივო სამმართველოს უფროსს, თუმცა უშედეგოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ, მოპასუხეს დაკისრებოდა უკანონოდ დაქვითული თანხების ანაზღაურება: ვ. წ-შვილისათვის - 6304 ლარი, შ. ლ-ძისათვის - 5083,79 ლარი, ზ. ხ-ძისათვის - 4825,24 ლარი, მ. ს-შვილისათვის - 5933,26 ლარი, კ. ბ-ძისათვის - 4712,97 ლარისა და შ. მ-ძისათვის - 5786,83 ლარი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - შპს "... " დაეკისრა ვ. წ-შვილისათვის - 289,16 ლარის, შ. ლ-ძისათვის - 380,53 ლარის, მ. ს-შვილისათვის - 584,11 ლარის, ზ. ხ-ძისათვის - 450,05 ლარის, შ. მ-ძისათვის - 410,88 ლარის, სულ - 2114,73 ლარის გადახდა, ხოლო, რაც შეეხება კ. ბ-ძეს, მართალია,

რაიონულმა სასამართლომ ხსენებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა მასზე, თუმცა იმავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ მასზე ვერავითარი შეღავათი ვერ გავრცელდებოდა, დანარჩენი მოსარჩელების მოთხოვნა კი ფაქტობრივად საფუძვლიანად მიიჩნია მხოლოდ 2005-2006 წლებში ხელფასიდან სამემოსავლო გადასახადის სახით დაქვითული თანხების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. წ-შვილმა, კ. ბ-მემ, შ. ლ-მემ, მ. ს-შვილმა, ზ. ხ-მემ, შ. მ-მემ და შპს "...".

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ შპს "..."-ს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დამატებით, კერძოდ, ვ. წ-შვილისათვის – 4242,86 ლარის, შ. ლ-მისათვის – 3093,28 ლარის, ზ. ხ-მისათვის – 3137,06 ლარის, მ. ს-შვილისათვის – 3687,23 ლარის, კ. ბ-მისათვის – 3413,71 ლარისა და შ. მ-მისათვის – 4141,8 ლარის დაკისრებას.

მეორე აპელანტი – შპს "..."-ს სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად დაბრუნებას.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ განსახილველი დავის საგანი იყო ხელფასის სამემოსავლო გადასახადით დაბეგვრის კანონიერება და ზედმეტად გადახდილი სამემოსავლო გადასახადის თანხების ანაზღაურება, სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად კი მოსარჩელები მიუთითებდნენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, რაც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. საქმეში შპს "..."-ს იყო არასათანადო მოპასუხე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, უნდა შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საგადასახადო ინსპექციით, ხოლო შპს "..."-ს ამავე საქმეში იყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 9 მარტის განჩინებით შპს "..."-ს და ვ. წ-შვილის, კ. ბ-მის, შ. ლ-მის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-მისა და შ. მ-მის სააპელაციო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ვ. წ-შვილის, კ. ბ-მის, შ. ლ-მის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-მისა და შ. მ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – შპს "..."-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებებით კ. ბ-მის ნაწილში სარჩელი დარჩა განუხილველი; დანარჩენ მოსარჩელებთან მიმართ თავდაპირველი მოპასუხე – შპს "..."-ს მათივე თანხმობით შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საგადასახადო ინსპექციით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შპს "..."-ს საქმეში ჩაება მესამე პირად. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელებთან წარმომადგენელმა დააზუსტა სარჩელში მითითებული თანხები.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის განჩინებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-მის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-მისა და შ. მ-მის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის საოქმო განჩინებით, მოსარჩელებთან თანხმობით, არასათანადო მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე ვ. წ-შვილის, შ. ლ-მის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-მისა და შ. მ-მის სარჩელის გამო, მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციის მიმართ, მესამე პირი – შპს

"...", ხელფასიდან ზედმეტად დაქვითული საშემოსავლო გადასახადის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივლისის განჩინებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. წ-შვილის, შ. ლ-ძის, მ. ს-შვილის, ზ. ხ-ძისა და შ. მ-ძის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალა ზედმეტად გადახდილი თანხის, კერძოდ: ზ. ხ-ძის სასარგებლოდ – 450.05 ლარის, შ. მ-ძის სასარგებლოდ – 410,88 ლარის, მ. ს-შვილისათვის – 584,11 ლარის, ვ. წ-შვილისათვის – 289,16 ლარისა და შ. ლ-ძისათვის – 380,53 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის შესაბამისად, "თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკნონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნული სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისგან".

დადგენილია ის ფაქტი, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "... ფილიალ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილეები – აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ 1992 წელს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" პუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 ნოემბრის 1632 ბრძანებულების მე-3 პუნქტით, 2001 წლიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული მოწმობები.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციას, გავრცელებულიყო მათზე კანონით გათვალისწინებული შეღავათი და წარადგინეს შიდა ქართლის ვეტერნათა საქმეების ტერიტორიული განყოფილების შესაბამისი ცნობები, რომლებიც გაცემულია 2005 წლის დეკემბერს და 2006 წლის მარტში, კერძოდ, ზ. ხ-ძემ, შ. მ-ძემ და მ. ს-შვილმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის ცნობები წარადგინეს 2005 წლის დეკემბერში, ხოლო ვ. წ-შვილმა და შ. ლ-ძემ – 2006 მარტში. სამსახურმა მათზე შეღავათი გაავრცელა მხოლოდ მას შემდეგ, როცა წარადგინეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის მოწმობა, კერძოდ, შ. მ-ძეს, ვ. წ-შვილს, შ. ლ-ძესა და ზ. ხ-ძეს საშემოსავლო გადასახადი აღარ დაქვითვიათ 2006 წლის აგვისტოდან. მ. ს-შვილს კი 2006 წლის ივლისიდან.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოთხოვნა 1992 წლიდან საშემოსავლო გადასახადის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, მათ მიერ შესაბამისი ცნობები სამსახურში წარდგენილ იქნა მხოლოდ 2005-2006 წლებში.

საქართველოს 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ, პირი რომელიც ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელფასს უხდის დაქირავებულს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო აგენტის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება დაქირავებულის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში. ამდენად, სასამართლოს მითითებით, ვინაიდან მოსარჩელები მუშაობდნენ შპს "... ხაშურის სალოკომოტივო დეპოში, შესაბამისად, მათთვის დაკავებული საშემოსავლო გადასახადიც გადაიხდებოდა მათი ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის რეგიონალურმა ცენტრმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ გორის საგადასახადო ინსპექცია არ წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს, ვინაიდან მოსარჩელები წარმოადგენენ შპს "... მუშაკებს (დაქირავებულ პირებს) რომელთა მიმართაც ამავე იურიდიულ პირს აკისრია საგადასახადო აგენტის ფუნქცია, რაც ავალდებულებს მას სწორად და დროულად გამოიანგარიშოს, გადასახადის გადამ-

ხდელს დაუკავოს და შესაბამის ბიუჯეტში გადარიცხოს სათანადო გადასახადები; აღრიცხოს ყოველი გადასახადის გადამხდელისათვის დარიცხული და მის მიერ გადახდილი შემოსავლები, აგრეთვე დარიცხული, დაკავებული და ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადები; საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გადასახადების გამოანგარიშების, დაკავებისა და გადასახადის სისწორის კონტროლის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტები.

აპელანტის განმარტებით, ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელება ევალება და შესაბამის ინფორმაციასაც სრულად ფლობს ან უნდა ფლობდეს "...". მის მიერვე უნდა ყოფილიყო აღიარებული (თუ ასეთი მოხდებოდა), რომ გადასახადის დაკავებისას დაშვებულია შეცდომა და ემოქმედა საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს: "თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი თავის მიერ წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომებს, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას (შემცირებას ან გაზრდას), ვალდებულია, საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ანდა დამატება". გარდა ამისა, მოცემული შემთხვევის (შეცდომის, უსწორობის) გამოსწორების მიზანს ემსახურება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 71-ე (ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხის დაბრუნება), 81-ე (გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა) მუხლები და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 მარტის 145 დადგენილებით დამტკიცებული "ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშებისა და ანგარიშწორებათა განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ" ინსტრუქციის მე-10 მუხლი, რომლის შესაბამისად, "ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას შემოსულობის ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების ამ ინსტრუქციაში მოცემული პროცედურები, რაც მოიცავს: ა) ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის დაბრუნებას ბიუჯეტის შემოსულობათა ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშებიდან საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად", ამავე ინსტრუქციის მე-11 მუხლის თანახმად კი "ზედმეტად გადახდილი საგადასახადო შემოსავლის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს ბიუჯეტის შემოსულობათა ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხიდან."

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და გორის საგადასახადო ინსპექციის არასათანადო მოსარჩელედ აღიარებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინების გაუქმებას, არასათანადო მოპასუხედ ცნობასა და მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გორის საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ვ. წ-შვილი, შ. ლ-ძე, მ. ს-შვილი, ზ. ხ-ძე და შ. მ-ძე მუშაობენ შპს "..."-ში ფილიალ ხაშურის სალოკომოტივო დეპოში და არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლის მონაწილეები, კერძოდ, მონაწილეობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992 წელს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 26 ნოემბრის 1632 ბრძანებულების მე-3 პუნქტით, 2001 წლიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემული მოწმობები. აღნიშნული შეეხო მოსარჩელებსაც.

მოსარჩელებზე შეღავათის გავრცელება დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი მხრიდან წარდგენილ იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილის მოწმობა. შ. მ-ძეს, ვ. წ-შვილს, შ. ლ-ძეს და ზ. ხ-ძეს სამემოსავლო გადასახადი აღარ დაჰქვითვიათ 2006 წლის აგვისტოდან, ხოლო მ. ს-შვილს – 2006 წლის ივლისიდან.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების საფუძველზე აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მოსარჩელეთა უფლებრივი საკითხის აღიარების ნაწილში და მართებულად მიიჩნევს საგადასახადო კოდექსის შესაბამის ნორმებზე მითითებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მე-2 მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე საქართველოს მოქალაქის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე. ანალოგიური შინაარსის ნორმას შეიცავდა 2005 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ის, რომ დავას არ იწვევს მოსარჩელეთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ სასამართლომ მოსარჩელების მიმართ საგადასახადო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილი შეღავათი სრულად კანონიერად დაადგინა.

საკასაციო სასამართლო ასევე სრულად იზიარებს კასატორის მხრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლის თაობაზე წარმოდგენილ განმარტებას და აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს არცერთ ეტაპზე სადავოდ არ უქცევია ის მოსაზრება, რომ საწარმოს, მოცემულ შემთხვევაში შპს "...", როგორც საგადასახადო აგენტს ეკისრებოდა ვალდებულება სწორად და დროულად გამოენაგარიშებინა და დაეკავებინა გადასახადი. საკასაციო სასამართლოსათვის ანალოგიური საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია იყო ის ფაქტი, რომ თანხა ამ ეტაპზე ამოღებულია სახელმწიფო ბიუჯეტში და როგორც არასწორად შესული ექვემდებარება დაბრუნებას სწორედ ამ უკანასკნელიდან. ამასთან, ის გარემოება, რომ საქმეზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საგადასახადო ორგანო, არ გამორიცხავს რკინიგზის ვალდებულებას, დაიცვას კანონით გაწერილი მოთხოვნები და წარადგინოს შესწორებული დეკლარაციები.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლო სარჩელის საფუძველზე წყვეტს მხოლოდ უფლებრივ საკითხს და ადასტურებს, რომ კანონით გაწერილი შეღავათი მოსარჩელებზე, როგორც ამ შეღავათის მატარებელ პირებზე, უნდა გავრცელდეს და დაქვითული თანხა, როგორც ბიუჯეტში შეცდომით მოხვედრილი, უნდა დაუბრუნდეთ მოსარჩელებს.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას, ექვექვემ აყენებს გადაწყვეტილების მოცემული სახით აღსრულების შესაძლებლობას და ამ თვალსაზრისით არგუმენტირებულად მიიჩნევს კასატორის – გორის საგადასახადო ინსპექციის პოზიციას მისი, როგორც მოპასუხის, არასათანადოობის თაობაზე.

"ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა – ანგარიშებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშსწორების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 მარტის 145 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ზედმეტად გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნება საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებს ბიუჯეტის შემოსულობათა ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან, უფლებამოსილი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს მიერ, სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილი საგადასახადო დავალების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული ნორმა შეიცავს ცალსახა მითითებას უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოზე, ხოლო შპს "...", გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე იმყოფება მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გორის საგადასახადო ინსპექცია წარმოადგენს არაუფლებამოსილ ორგანოს წარადგინოს საგადასახადო დავალება ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოცემულ პირობებში გორის საგადასახადო ინსპექციას მიიჩნევს არასათანადო მოპასუხედ და თვლის, რომ გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულებისა და მოსარჩელეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით საჭიროა, გორის საგადასახადო ინსპექცია, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეიცვალოს სათანადო მოპასუხით – მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციით, რა მიზნითაც საქმეს აბრუნებს იმავე სასამართლოში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გ. უფლებამონაცვლეობა

განჩინება

1ბს-778_740(კს-07)

13 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ხაშურის მინიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.2007 წ. საოქმო განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სს "...-მ" ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიისა და ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს და კომისიის 22.11.02წ. გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცა მოქალაქე ლ. კ-ძეზე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სს "...-მ" დაფუძნებულია ქონების მართვის ხაშურის რაიონული სამმართველოს მიერ 29.04.99წ. და რეგისტრირებულია ხაშურის რაიონულ სასამართლოში. სს-ის საწესდებო კაპიტალში შესულია მრავალწლიანი ნარგაობა, რაც განთავსებულია 4.08 ჰა მიწის ნაკვეთზე, რომელიც 1996 წელს ხაშურის რაიონის გამგეობამ იჯარით გადასცა ქვიშხეთის მეურნეობას. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ გადახდილი აქვს 1999-2001 წლების მიწის საიჯარო გადასახადი, მიუხედავად იმისა, რომ იჯარის ხელშეკრულება წერილობით არ არის გაფორმებული. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შესული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის უფლება მოპასუხეს არ ქონდა, რის გამოც არსებობს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 12.10.05წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს "...-მ".

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.07წ. საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხეები ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია და ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო შეიცვალა მათი უფლებამონაცვლით ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტით (მუნიციპალიტეტის საკრებულოთი და მუნიციპალიტეტის გამგეობით).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა საოქმო განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის ამოქმედებიდან ხაშურის რაიონის ადგილობრივი მმართველობა (რაიონის გამგეობა და საკრებულო) ლიკვიდირებული იყო. მოპასუხე ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია შექმნილი იყო რაიონის გამგეობის მიერ და შესაბამისად, მასთან ერთად იქნა ლიკვიდირებული, ხოლო, ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო დელეგი-

რებული უფლებამოსილებით ახორციელებდა რაიონის გამგეობის უფლებამოსილებას. ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ორგანული კანონი ადგილობრივი მმართველობის სამართალმემკვიდრედ ახალ თვითმმართველობებს არ მიიჩნევს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. კანონის პირველი მუხლის "ბ", "ე" ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, იგივე დასახლებათა ერთობლიობა, არის თვითმმართველი ერთეული, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი. ამჟამად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, იგი არის მანამდე არსებული თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სამართალმემკვიდრე. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 16.10.97წ. ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობის ორგანო. თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მისი წარმომადგენლობითი ორგანო იყო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა (მთავრობა).

განსახილველ საქმეში მოპასუხეები იყვნენ თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს – ხაშურის რაიონის გამგეობის მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია და ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებდა რაიონის გამგეობის უფლებამოსილებას. სააპელაციო პალატის საოქმო განჩინებით მოპასუხეების უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაერთო ხაშურის მუნიციპალიტეტი. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეული. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ამდენად, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. ორგანული კანონის საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ მართებულად იქნა დადგენილი ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიისა და ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს სამართალმემკვიდრე, შესაბამისად კანონიერია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.07წ. საოქმო განჩინება ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიისა და ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფლებამონაცვლით – ხაშურის მუნიციპალიტეტით შეცვლის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.06.2007წ. საოქმო განჩინება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეობა

განჩინება

1ბს-1133_1084(კს-07) 5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ხაშურის მინიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.2007 წ. საოქმო განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ს., დ., ჯ., ლ. და ე. ხ-მეებმა, პ. მ-მემ, ვ. მ-შვილმა, ა. დ-შვილმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის რაიონულ სამმართველოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს და მიწის გადასახადის გადახდილად ცნობა და მიწის შესყიდვაზე ხელშეკრულების დადება მოითხოვეს. ხაშურის რაიონული სასამართლოს 06.03.2006 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმული იქნა ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 23.03.06წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მოსარჩელებს გადახდილად ჩაეთვალიათ მიწის გადასახადი და მოპასუხეს – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის რაიონულ სამმართველოს დაევალა მათთან მიწის ნაკვეთის შესყიდვის ხელშეკრულების დადება, ხოლო გორის საგადასახადო ინსპექციას დაევალა მოსარჩელებისათვის ცნობების გაცემა მიწის გადასახადის დავალიანების არარსებობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.11.07წ. საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექცია შეიცივალა მისი უფლებამონაცვლით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციით, ხოლო სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ხაშურის რაიონული სამმართველო – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოთი. საქმეში მესამე პირად ჩაბმული ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია შეიცივალა ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა საოქმო განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის ამოქმედებიდან ხაშურის რაიონის ადგილობრივი მმართველობა (რაიონის გამგეობა და საკრებულო) ლიკვიდირებული იყო. საქმეში მესამე პირად ჩაბმული ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია შექმნილი იყო რაიონის გამგეობის მიერ და შესაბამისად, მასთან ერთად იქნა ლიკვიდირებული. ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ორგანული კანონი ადგილობრივი მმართველობის სამართალმემკვიდრედ ახალ თვითმმართველობებს არ მიიჩნევს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. კანონის პირველი მუხლის "ბ", "ე" ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, იგივე დასახლებათა ერთობლიობა, არის თვითმმართველი ერთეუ-

ლი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი. ამჟამად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს. იგი არის მანამდე არსებული თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სამართალმემკვიდრე. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 16.10.97წ. კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობის ორგანო. თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მისი წარმომადგენლობითი ორგანო იყო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა (მთავრობა).

განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩაბმული იყო თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს – ხაშურის რაიონის გამგეობის მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისია, რომელიც შეიცვალა მუნიციპალიტეტის გამგეობით. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეული. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებას განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ამდენად, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. კანონის საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ მართებულად იქნა დადგენილი ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის სამართალმემკვიდრე. შესაბამისად კანონიერია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.2007წ. განჩინება ხაშურის რაიონის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გამცემი კომისიის უფლებამონაცვლით – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობით შეცვლის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.11.2007წ. საოქმო განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეობა

განჩინება

1ბს-171-167(კს-08) 29 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: საპროცესო უფლებამონაცვლედ ცნობის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 6 თებერვალს ე. მ-ვამ სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიმართ და მოითხოვა

ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 22 იანვრის პასუხის, 2001 წლის 21 ივნისის გაცემული საინვენტარიზაციო გეგმისა და 2001 წლის 25 ივნისის ¹12-884 წერილის ბათილად ცნობა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. მ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2004 წლის 22 იანვრის ¹მ-25 ადმინისტრაციული აქტის, ამავე სამსახურის მიერ 2001 წლის 21 ივნისის საინვენტარიზაციო გეგმა, 2001 წლის 25 ივნისის ¹12-884 ადმინისტრაციული აქტი და 2001 წლის 28 სექტემბრის ¹3-285 ცნობა-დახასიათება.

2004 წლის 2 ივლისს ლ. ვ-ანმა განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს ამავე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 აპრილის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 2004 წლის 22 იანვრის ¹მ-25 ადმინისტრაციული აქტის, ამავე სამსახურის მიერ 2001 წლის 21 ივნისის საინვენტარიზაციო გეგმა, 2001 წლის 25 ივნისის ¹12-884 ადმინისტრაციული აქტი და 2001 წლის 28 სექტემბრის ¹3-285 ცნობა-დახასიათება, საინვენტარიზაციო გეგმა და მათი შედეგები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ბ-შვილმა და მოითხოვა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება რაიონული სასამართლოსათვის.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 ივნისის განჩინებით ი. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ბ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 ივნისის განჩინების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით ი. ბ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სსსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად განსახილველად გადაეზღვირა ზემდგომ სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ი. ბ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 ივნისისა და 8 ივლისის განჩინებები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ასევე ე. მ-ვამ და მოითხოვა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 5 ივლისის, 11 აპრილის განჩინებების, 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინებით სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე – ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ამავე განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ი. ბ-შვილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შექმნილია "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" 2004 წლის 1 ივნისის კანონის საფუძველზე. მითითებული კანონის 15.4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს მთავრობას დაევალა კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციისა და საინფორმაციო ბანკის, არქივის, საშტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა.

"სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონის საფუძველზე გამოცემული "საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის 1416 ბრძანებულების მე-2 პუნქტით ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს დაევალებათ ბრძანებულების ამოქმედებიდან ერთ თვეში საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ამ სამსახურებში არსებული მონაცემთა საინფორმაციო ბანკისა და არქივის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა. ამავე ბრძანებულების მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალოს უზრუნველყოფა საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ეროვნულ სააგენტოში არ იძებნება რაიმე აქტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცა სააგენტოს. ამასთან, მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაცემა თავისთავად არ გულისხმობს უფლებამოსილების გადაცემას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმღები ორგანოს ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლედ ცნობას.

"სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის 1416 ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ იქნა ქ. თბილისის მთავრობის 2004 წლის 21 ოქტომბრის 109.16.118 დადგენილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ლიკვიდაციის შესახებ", რომლის პირველი პუნქტით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია, ხოლო მე-2 პუნქტით ამავე კომისიას დაევალოს ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში არსებულ მონაცემთა საინფორმაციო ბანკისა და არქივის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სასამართლოში დაცულია ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივი, რაც გულისხმობს იმას, რომ ეროვნული სააგენტო არ არის უფლებამოსილი შეიტანოს რაიმე ცვლილება არქივში არსებულ მონაცემებში, არ აქვს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება და ა.შ.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მითითებულ სამართლებრივ აქტებში არ არის გადაწყვეტილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების სამართალმემკვიდრეობის საკითხი. ასევე არაფერია ნათქვამი უფლებამოსილების გადაცემის შესახებ. ტექნიკური აღრიცხვის სამსახურების ფუნქციებს დღეისათვის ასრულებენ როგორც სხვადასხვა კერძო ამზომველი კომპანიები, ასევე, სახელმწიფო მმართველობისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შესაბამისი სამსახურები.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, "ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 23 მარტის 106.07.65 დადგენილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულების" მე-2 მუხლის თანახმად, სამსახურის მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების, კეთილმოწყობის ობიექტების, მიწისზედა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური აღრიცხვა-დახასიათება, ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, საინვენტარიზაციო ნახაზების, ტექნიკური პასპორტების და სანოტარო კანტორაში ცნობა-დახასიათების გაცემა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები კი "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის 1835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით, "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" კანონით, ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის 1800 ბრძანებით დამტკიცებული "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციით" ამომწურავად არის განსაზღვრული და ძირითადად წარმოადგენს უძრავ ნივთებზე უფლებების, ყადაღის და საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფუნქციას არ წარმოადგენს ლიკვიდირებული ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამოსილებების შესრულება, რის გამოც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მმართველობით-ფუნქციონალური უფლებამონაცვლეობაც კი გამოირიცხებოდა. შესაბამისად, ტექნიკური

აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიჩნევა და სასამართლო დავაში მისი მოპასუხის სტატუსით ჩართვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, მართებულად დაადგინა მოპასუხე ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ეს უკანასკნელი ჩართო საქმეში საპროცესო უფლებანაცვლედ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ უნდა იქნეს გაზიარებული უსაფუძვლობის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "სახელმწიფო რეესტრის შესახებ" 2004 წლის 1 ივნისის კანონის 15.4 მუხლის შესაბამისად, ლიკვიდირებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირები – ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურები და დადგინდა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მონაცემთა საინფორმაციო ბანკისა და სხვა ქონების, აგრეთვე სამტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა. აღნიშნულის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის 1835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლით განისაზღვრა სააგენტოს ფუნქციები. მითითებული ნორმის თანახმად, სააგენტოს ფუნქციებს წარმოადგენს უძრავ და მოძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაცია და ერთიანი რეესტრის ფორმირება, უძრავ ნივთებზე საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნა, საჯარო რეესტრის ორგანიზება და წარმოება, საჯარო რეესტრის მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 23 მარტის 106.07.65 დადგენილებით განსაზღვრული იყო ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ფუნქციები. მითითებული დადგენილების თანახმად, სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებდა ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნით და მათ ხარჯზე მიწასთან მყარად დაკავშირებული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ აღრიცხვა-დახასიათებას, ძირითადი და მიმდინარე ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციის სამუშაოებს, საკუთრების დამადასტურებელი საბუთების აღრიცხვიანობას და შენახვას, ცნობა-დახასიათების გაცემას და სხვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა უძრავ ნივთებზე არსებულ უფლებათა აღრიცხვა-რეგისტრაცია და ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიჩნევის არამართებულობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ საჯარო რეესტრის მიჩნევის სამართლებრივი წინაპირობა, რადგან ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ლიკვიდაციის შედეგად შექმნილ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა ლიკვიდირებული ადმინისტრაციული ორგანოს დარჩენილი ქონება, მონაცემთა საინფორმაციო ბანკი, არქივი, სამტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსება, შექმნილი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს მსგავსი უფლებამოსილების მატარებელ ორგანოს. შესაბამისად, ის გარემოება, რომ სამართლებრივი აქტები, რომლებითაც განისაზღვრა ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის ლიკვიდაცია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შექმნა, პირდაპირ არ უთითებს სამართალმემკვიდრეობაზე, არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეობის გამომრიცხავ ფაქტორს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უფლებამონაცვლეობის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის რიგ ფუნქციებს დღეისათვის ახორციელებენ სხვადასხვა კერძო კომპანიები და სახელმწიფო მმართველობის თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურები, რადგან ძირითადი ფუნქციის – უფლებათა რეგისტრაციის შესრულება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს რა საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილზე უფლების რეგისტრაციის კანონიერება, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის მიმართ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ

საჯარო რეესტრი წარმოადგენს. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსის 1515-ე მუხლის შე-საბამისად, საჯარო რეესტრის ერთიანი სამსახურის ჩამოყალიბებამდე სამოქალაქო კოდექსით ამ სამსახურისათვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელება დაევალებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებს, რაც გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ ამ ინსტიტუციური რეფორმის განხორციელებამდე სწორედ ტექნიკური ასრულებდნენ საჯარო რეესტრის უფლებამოსილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი განჩინება დაადგინა და სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფლებამონაცვლედ მართებულად დაადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს საფუძვლიან არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-ე-420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინება;
3. კერძო საჩივრის ავტორს დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა 50 ლარის ოდენობით;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეობა

განჩინება

13ს-126-125 (კს-08) 30 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ხაშურის მინიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.01.2008 წ. განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფირმა "...-მ" სარჩელი აღძრა ხაშურის რაიონულ სასამართლოში ხაშურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ და მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 17.04.1986 წ. ხაშურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 164 გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობის ცენტრის მშენებლობისათვის ქ. ხაშურში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ჩრდილოეთ მხარეს 0,1 მიწის ნაკვეთი გამოეყო. აღნიშნული მიწის ნაკვეთზე ხაშურის ქალაქვაჭრობამ სავაჭრო ცენტრი, მაღაზია 110 ააშენა.

1993 წელს, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქვაჭრობის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო კომერციული ფირმა "...". 30.05. 95 წ. ფირმა "... აუქციონის წესით შეისყიდეს თ. გ-ძემ და აწ გარდაცვლილმა მ. ხ-ძემ. სახელმწიფო ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის თანახმად, იმერეთის ქუჩაზე არსებული სავაჭრო ცენტრი, მაღაზია 11 თ. გ-ძეს გადაეცა საკუთრებაში. "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, მის სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ იქნა საკუთრების უფლებით მიკუთვნებული.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 06.03.03წ. განჩინებით საქმეში მესამე პირებად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ჩართულ იქნენ: ქ. ხაშურის თვითმმართველობა და ქონების მართვის ხაშურის რაიონული სამმართველო. 12.03.03 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთო ხაშურის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე. ხაშურის რაიონული სასამართლოს 02.04.03წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩართული, ქ. ხაშურის თვითმმართველი ერთეული შეიცვალა ხაშურის რაიონის გამგეობით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 30.07.03 წ. გადაწყვეტილებით ფირმა "...-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა, მიწის მართვის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს უარი ფირმა "...-ის" მიმართ დოკუმენტებში დაფიქსირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის და რეგისტრაციის შესახებ უკანონოდ იქნა ცნობილი, ფირმა "...-ს" მის სარგებლობაში არსებული 4256 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა და ჯარიმის დაკისრების გარეშე დადგინდა მისი რეგისტრაცია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხაშურის რაიონის მიწის მართვის სამმართველომ. სააპელაციო პალატის 11.12.03 წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ხაშურის საკრებულო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 29.04.04წ. გადაწყვეტილებით ხაშურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 30.07.03წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ფირმა "...-ის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფირმა "...-ის" უფლებამონაცვლემ – შპს "...-მ."

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 02.02.05წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 29.04.04წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო პალატის 13.05.05 წ. განჩინებით ხაშურის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.01.08წ. განჩინებით მესამე პირის – ხაშურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მესამე პირის – ხაშურის საკრებულოს უფლებამონაცვლედ დადგინდა იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მესამე პირის – ქონების მართვის ხაშურის რაიონული სამმართველოს უფლებამონაცვლედ – ხაშურის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო.

სააპელაციო პალატის 14.01.08 წ. განჩინება მესამე პირის – ხაშურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩართვის ნაწილში კერძო საჩივრით გასაჩივრდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა განჩინების ამ ნაწილში გაუქმება იმ საფუძველით, რომ "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65.1 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 01.01.06წ. მდგომარეობით შესაბამის რაიონში თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. "ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 47.3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებამდე რაიონულ დონეზე შექმნილი იყო ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – რაიონის საკრებულო და აღმასრულებელი ორგანო – რაიონის გამგეობა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული იყო, რომ რაიონის გამგეობა იყო სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივი მმართველობის განხორციელებას და დელეგირებულ უფლებამოსილებაზე გადაწყვეტილების მიღებას. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, აღნიშნული ადასტურებს, რომ რაიონის გაგეობა სახელმწიფო ორგანო იყო და მას მინდობილი ჰქონდა დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელება. მუნიციპალიტეტი არ არის მმართველობის ორგანო, ხაშურის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად დავაში მმართველობის ორგანოს – ხაშურის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ თვითმმართველობითი ორგანოს – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დადგენის სამართლებრივი საფუძველი, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. ორგანული კანონის პირველი მუხლის "ბ", "ე" ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, იგივე დასახლებათა ერთობლიობა, არის თვითმმართველი ერთეული, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი. ამჟამად ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, იგი არის მანამდე არსებული თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სამართალმემკვიდრე. "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 16.10.97წ. ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ჰქონდა თვითმმართველობის ორგანო. თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მისი წარმომადგენლობითი ორგანო იყო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა (მთავრობა).

განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩაბმული იყო თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს – ხაშურის რაიონის გამგეობა, რომელიც შეიცვალა მუნიციპალიტეტის გამგეობით. "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის 65¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედების დღიდან ლიკვიდირებულია "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრული ადგილობრივი მმართველობის ორგანო და რაიონის შემადგენლობაში შემავალი თვითმმართველობის ერთეული.

ამდენად, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 16.12.05წ. ორგანული კანონის საფუძველზე სააპელაციო პალატის მიერ მართებულად იქნა დადგენილი ხაშურის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე. შესაბამისად კანონიერია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.01.08წ. განჩინების გასაჩივრებული ნაწილი, რომლითაც ხაშურის რაიონის გამგეობა უფლებამონაცვლით – ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობით შეიცვალა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.01.08 წ. განჩინება;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უფლებამონაცვლეობა

განჩინება

¹3გ/ად-264-კ-02

8 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. ი-შვილის განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 22 იანვრის ¹3გ/ად-264-კ-02 განჩინების აღსრულების მიზნით კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგე-

ობის სამართალმემკვიდრედ ძველი თბილისის რაიონის გამგეობის ცნობისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხი

აღწერილობითი ნაწილი:

07.10.99წ. მ. გ-მემ სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თბილისის კრწანისის რაიონის გამგეობის მიმართ და კრწანისის რაიონის გამგეობის 01.09.99წ. ¹⁴⁸ გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირებად ჩააბა თბილისში, ... ქ. ¹³³-ში მცხოვრები ნ. ი-შვილი და ლ. შ-შვილი. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 07.03.2000წ. გადაწყვეტილებით მ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მემ და ითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 24.04.02წ. გადაწყვეტილებით მ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 07.03.2000წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დაკმაყოფილდა მოსარჩელე მ. გ-ძის, მესამე პირების: შპს "...-სა" და მ. ფ-ძის სარჩელები; ბათილად იქნა ცნობილი კრწანისის რაიონის გამგეობის 1999 წლის 1 სექტემბრის ¹⁴⁸ გადაწყვეტილება მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ი-შვილმა და ლეილა შალოლაშვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.01.03წ. გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისა და ლ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 24.04.02წ. გადაწყვეტილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. გ-ძის, შპს "...-სა" და მ. ფ-ძის სარჩელები, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კრწანისის რაიონის გამგეობის 01.09.99წ. ¹⁴⁸ გადაწყვეტილება და დაევალა კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობას საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

05.09.08წ. ნ. ი-შვილმა სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ნ. ი-შვილის განცხადების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ^{13გ/ად-264-კ-02} საქმეზე დადგენილი უნდა იქნეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.01.03წ. ^{13გ/ად-264-კ-02} გადაწყვეტილებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი და მასში მოვალედ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის ნაცვლად უნდა მიეთითოს ძველი თბილისის რაიონის გამგეობა შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.01.03წ. გადაწყვეტილებით ნ. ი-შვილისა და ლ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 24.04.02წ. გადაწყვეტილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. გ-ძის, შპს "...-სა" და მ. ფ-ძის სარჩელები, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კრწანისის რაიონის გამგეობის 01.09.99წ. ¹⁴⁸ გადაწყვეტილება და დაევალა კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობას საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა.

"ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 12.10.06წ. ¹¹⁻¹ გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 29.12.06წ. ¹⁴⁻²² გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის დებულებაში შეტანილი იქნა ცვლილება და დებულების მე-5 მუხლით ქ. თბილისში განისაზღვრა გლდან-ნაძაღდევის, დიდუბე-ჩუღურეთის, დიდგორის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის და ძველი თბილისის რაიონები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილით სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამო-

ნაცვლით. უფლებამონაცვლობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. განსახილველ შემთხვევაში კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობა ნორმატიული აქტით შეცვლილია ძველი თბილისის რაიონის გამგეობით, რის გამოც ¹3გ/ად-264-კ-02 საქმეზე დადგენილ უნდა იქნეს კრწანისი-მთაწმინდის რაიონი გამგეობის სამართალმემკვიდრედ ძველი თბილისის რაიონის გამგეობა.

“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირთა, ან მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ.

ამდენად, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.01.03წ. ¹3გ/ად-264-კ-02 გადაწყვეტილებაზე გაიცეს სააღსრულებო ფურცელი და მასში მოვალედ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის ნაცვლად მიეთითოს ძველი თბილისის რაიონის გამგეობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით, “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრედ ცნობილ იქნეს ძველი თბილისის რაიონი გამგეობა;
2. გაიცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 22.01.03წ. ¹3გ/ად-264-კ-02 გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცელი და მასში მოვალედ კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის ნაცვლად მიეთითოს ძველი თბილისის რაიონის გამგეობა;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.